და ტერმინი „კორონომიკა“.[Papava V. 2020, 2] მოცემულ მომენტში აშკარად ჩანს, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია დიდ შეფერხებას განიცდის, თუმცა ქართველი ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა თვლის, რომ იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება მსოფლიო ეკონომიკისთვის და აუცილებელია მიწოდებისა და ფასეულობათა ჯაჭვების დივერსიფიცირება.[Papava V., Charaia V. 2020, 3] ცხადია, შექმნილი ვითარება მრავალი მიმართულებით მოახდენს გავლენას კაცობრიობაზე. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი უახლოეს პერიოდში ადამიანის ჯანმრთელობა და ფიზიოლოგიური მდგრადობა იქნება, ეს კი, დიდწილად და მოკიდებული ჯანსაღ, დაბალანსებულ კვებაზე. მიუხედავად იმისა, თუ რომელ - ადგილობრივი წარმოების თუ იმპორტის ხარჯზე შიდა მოთხოვნილების დაკმაყოფილების - სტრატეგიას აირჩევს საქართველო ხორცის მხრივ, ორივე შემთხვევაში აუცილებელი იქნება განისაზღვროს ხორცის ოპტიმალური მოხმარების მოცულობები და სტრუქტურა, რასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

### **ხორცის მოხმარების ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში**

ყოფილ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით საშუალოდ ადამიანს წელიწადში დაახლოებით 65-73 კგ ხორცი და მისი გადამუშავების პროდუქტები ესაჭიროებოდა. ეს ნორმები საკმაოდ დასაბუთებულ სამედიცინო კვლევებს ემყარებოდა. ნორმის გარკვეული მერყეობა კი რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული, რომელთაგან ძირითადად ყურადღება ექცეოდა რეგიონის კლიმატურ პირობებსა და მოსახლეობის შრომით პროფილს. საქართველოსთვის, რომელიც იმპერიის სამხრეთით მდებარეობდა და სუბტროპიკული არეალის ძირითადი ნაწილი ეკავა, აღნიშნული ნორმის დაბალი ნიშნული ითვლებოდა მისაღებად, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ხილი და ბოსტნეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, შრომითი პროფილისა და პირობების გათვალისწინებითაც არ საჭიროებდა კვების განსაკუთრებულ რეჟიმს, რაც საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთში მდებარე ინდუსტრიული ცენტრების მოსახლეობისთვის კვების რაციონში ცხოველური წარმოშობის პროდუქტების და განსაკუთრებით კი, ცხიმების პრივალირებას გულისხმობდა. გამომდინარე აქედან, საქართველოს საშუალო მცხოვრებისთვის ხორცის და მისი პროდუქტების მოხმარება წლიურად დაახლოებით 65 კგ-ით იყო განსაზღვრული. ვფიქრობთ, რომ საორიენტაციოდ ასეთი მონაცემების აღება ჩვენი შემდგომი კვლევისთვისაც იქნება მიზანშეწონილი.

ერთი პრობლემაა კვების ფიზიოლოგიური ნორმის მიღწევა, ხოლო მეორე კი, ამის ოპტიმალური გზით განხორციელება, რაც მოთხოვნის ადგილობრივი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილებას გულისხმობს. ეს კი სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოსთვის მეტად საჭირობოროტო საკითხის, სოფლად და განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში მოსახლეობის დამაგრების შესაძლებლობას იძლევა. ხორცის წარმოება ხომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია და მისი განვითარება სხვა საკითხებთან ერთად ქართული სოფლის ტევადობის ზრდასაც შეუწყობს ხელს და ამ ნიშნულს ოპტიმალურ 300-330 ათას დასაქმებულამდე აიყვანს [Koghuashvili P., Ramishvili B. 2016, 5].

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მსოფლიოში ხორცის მოხმარების ზრდა ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან არის დაკავ-

შირებული, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ამ მხრივ, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მონღოლეთი. აქ ხორცის მოხმარების დინამიკის მხრივ ერთობ საინტერესო ვითარებაა. მაგალითად, 1961 წელს, ამ ქვეყანაში მოსახლეობის 1 სულზე საშუალო წლიური მოხმარება იყო 145 კგ.[Ritchie H. Roser M., 2019, 6]. 1961-2017 წ.წ. პერიოდში მონღოლეთის ეკონომიკაში იყო როგორც ზრდის, ასევე კრიზისული პერიოდებიც, თუმცა ხორცის მოხმარების დინამიკა ხშირად ტრადიციულ ეკონომიკურ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა. მაგალითად, 1993 წელს ამ ქვეყნის ეკონომიკა ყველაზე რთულ ვითარებაში იყო ბოლო წლებში, თუმცა ხორცის მოხმარება დაახლოებით 92 კგ-ს შეადგენდა კგ. [Ritchie H. Roser M., 2019, 6]. მონღოლეთმა სწრაფი ეკონომიკური ზრდა დაიწყო 2000-იანი წლებიდან, თუმცა პირველ ეტაპზე, ამან ხორცის მოხმარების ზრდა კი არა, შემცირება გამოიწვია და 2006 წლისთვის აქ მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 66.5 კგ. ხორცს მოიხმარდნენ, რის შემდეგაც ამ ინდიკატორმა კვლავ დაიწყო ზრდა და 2017 წლისთვის უკვე 88 კგ.იყოკგ.[Ritchie H. Roser M., 2019, 6]. საწყის ეტაპზე, ამ ერთგვარად პარადოქსული სიტუაციის გამომწვევი იყო ის, რომ მონღოლეთის არა მხოლოდ კვების კულტურის, არამედ ეკონომიკისა და ცხოვრების წესის საფუძველი, მეხორცული მიმართულების მესაქონლეობა იყო, რაც განაპირობებდა ხორცის დიდ მოხმარებას. ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ სწრაფი ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება დაიწყო, სულ უფრო მრავალფეროვანი გახდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურაცა და კვების რაციონიც.

ცხრილი 1-ში წარმოდგენილია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყანათა უმეტესობისა და საქართველოს მშპ-ისა და ხორცის მოხმარების მაჩვენებლები. სადღეისოდ, მონაცემთა ანალიზის ანალოგიური პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული, რისი მიზეზიც ეკონომიკური ზრდისა და ხორცის მოხმარების კორელაციაა და რის შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ზოგადი ტრენდის არსებობა უდავოა, ცხრილიდან შესაძლებელია რამდენიმე ნიშანდობლივი ფაქტის გამოაშკარავება. უპირველესად გვინდა მივუთითოთ ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული კვების ტრადიციების შესახებ, რასაც ძირითადად რელიგიური ფაქტორები განსაზღვრავს. კერძოდ, ცხრილი 1-დან ჩანს, რომ რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მისდევს სხვადასხვა სახის ვეგეტარიანელობას. ამის ნათელი მაგალითია ინდოეთი, სადაც ხორცის საშუალო მოხმარება 2018 წელს 3.6 კგ. იყო.

ცხრილი 1

**ზოგიერთი ქვეყნის ხორცის მოხმარებისა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის (2018 წ.)**

ქვეყნები	ფრინველი ს ხორცი კგ.	ღორის ხორცი კგ.	საქონლი ს ხორცი კგ.	ცხვრის ხორცი კგ.	სულ ხორცი კგ.	მშპმოსახლე- ობის 1 სულზე (\$ კმუ)
აშშ-ი	49.7	23.0	26.1	0.5	99.3	62,795
არგენტინა	38.2	10.8	39.9	1.0	89.9	20,611
ავსტრალია	44.1	21.9	18.9	7.3	92.2	51,663
შვეიცარია	14.3	22.5	13.3	1.2	51.3	68,061
ახალი ჯელანდია	39.4	18.9	11.9	4.7	74.9	41,005

ნორვეგია	17.2	20.2	13.7	4.5	55.6	65,511
ისრაელი	64.9	-	20.5	1.6	87.0	39,919
ბრაზილია	39.8	12.3	24.5	0.6	77.2	16,096
ჩილი	36.5	19.0	18.7	0.4	74.6	25,223
რუსეთი	31.4	19.6	10.4	1.4	62.8	27,147
ყაზახეთი	15.0	4.9	19.3	8.2	47.4	27,880
უკრაინა	21.1	12.5	5.0	0.3	38.9	9,233
კანადა	33.8	16.0	18.0	1.0	68.8	48,130
პარაგვაი	5.3	21.6	13.7	0.5	41.1	13,600
გაერთ. სამეფო	27.8	17.4	11.7	4.1	61.0	45,974
მექსიკა	28.8	13.5	8.9	0.5	51.7	19,845
თურქეთი	19.3	-	8.5	4.3	32.1	28,069
ირანი	23.0	-	5.4	4.2	32.6	21,011
იაპონია	16.9	16.2	7.4	0.2	40.7	42,798
ჩინეთი	11.6	30.4	3.8	3.1	48.9	18,237
ინდონეზია	7.6	1.0	2.0	0.4	11.0	13,080
მალაიზია	48.7	5.4	-	1.1	55.2	31,782
ვიეტნამი	13.4	29.7	9.3	0.2	52.6	7,448
ნიგერია	0.9	1.1	1.3	1.8	5.1	5,991
ინდოეთი	2.4	0.2	0.5	0.5	3.6	7,763
ევროპის კავშირი	23.6	35.5	10.8	1.4	71.3	43,738
საქართველო	18.0	11.0	8.0	1.0	38.0	12,005
მსოფლიო	14.2	12.3	6.4	1.8	34.7	17,948

ცხრილი შედგენილია: [7], [8]-სა და [9]-ში მოტანილი მონაცემების საფუძველზე

ასეთი ვითარების მიზეზი ინდოეთის რელიგიურ თავისებურებებში უნდა ვეძებოთ, რაც განსაზღვრავს აქ დამკვიდრებულ კვების კულტურას. სწორედ რელიგიაა მიზეზი, რომ ამ ქვეყანაში ძალიან მცირე რაოდენობით მიირთმევენ ხორცს, ხოლო ზოგიერთი სახეობისას საერთოდ არ მიირთმევენ. ჩვენს მსჯელობას ფაქტიც ადასტურებს, რომ ინდოეთში ხორცის მოხმარება 1961-2018 წ.წ. პერიოდში ფაქტობრივად ერთ დონეზე ნარჩუნდება.

საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ხორცის მოხმარების დაბალი მაჩვენებლები ნიგერიასა და ინდონეზიაში, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობის 90%-ზე მეტი მუსულმანი ან ქრისტიანია. ამავე დროს ეს ინდიკატორი ნიგერიაში თითქმის იგივეა 1961 წლიდან მოყოლებული, ანუ მასზე არ მოქმედებს ეკონომიკური განვითარება. მართალია, ინდონეზიაში 1961 წელთან შედარებით, 2018 წელს ხორცის მოხმარება დაახლოებით სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ის მაინც დაბალი რჩება და 11 კგ-ს შეადგენს. ნიგერიაში მშპ-ი მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე დაბალია ცხრილში წარმოდგენილ მონაცემებს შორის და გარკვეულად ესეც შეიძლება იყოს ხორცის დაბალი მოხმარების ახსნა. თუმცა, ამის თქმა არ შეიძლება ინდონეზიაზე, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი \$13,000-ზე მეტია, რაც საქართველოზე უკეთესი

მონაცემია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში ხორცის მოხმარება 2018 წელს 3.5-ჯერ აღემატებოდა ინდონეზიის შესაბამის მაჩვენებელს.

ხორცის წარმოების განსაკუთრებული პირობები დიდ გავლენას ახდენს იმ ქვეყნების მოსახლეობის რაციონზე, რომლებიც მსგავს რესურსებს ფლობენ. ასეთად უპირველესად გვევლინება ვრცელი სამოვრები ან სხვა სახის მყარი საკვები ბაზა, ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, კარგი კლიმატური პირობები, წყლის რესურსებით უზრუნველყოფა, დიდი ტერიტორია. როდესაც სახეზე გვაქვს ამ ფაქტორების არსებობა, უპირველესად ვითარდება იაფი მსხვილფეხა მესაქონლეობა, თუმცა, ცხადია სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველის თუ ფრინველის ხორცის წარმოების შესაძლებლობებიც მატულობს. დედამიწაზე შეიძლება გამოვყოთ შვიდი ქვეყანა, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო საწარმოო პირობები არსებობს. ესენია, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, კანადა, ჩილე და ახალი ზელანდია. თუ ცხრილი 1-ის მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სწორედ ამ ქვეყნებშია მოსახლეობის ერთ სულზე ხორცის მოხმარება ყველაზე მაღალი. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ევროკავშირი და ისრაელი წარმოადგენს, რომელთაც ქვემოთ შევხებით.

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ქვეყნის მოსახლეობა თავს აძლევს იმ ფუფუნების უფლებას, რომ დიდი რაოდენობით ხორცი მოიხმაროს და რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ხორცის მოხმარების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მსხვილფეხა საქონლის ხორცს უკავია, რაც განსაკუთრებით ძვირად ითვლება. სიძვირე კი, მოხმარებული საკვების მოცულობითაა გამოწვეული. თავად ეს შვიდი სახელმწიფო ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფში შევლენ აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა, სადაც ხორცის წარმოების კარგი საბაზისო პირობების პარალელურად ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეცაა. მეორე ჯგუფში მოხვდებიან არგენტინა, ბრაზილია და ჩილე. ეს ქვეყნები მშპ-ის მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, მესაქონელობის კარგი პირობების გამო, იაფი ხორცის წარმოება მათ მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს მაღალ დონეზე მოიხმარონ ეს პროდუქტი.

ევროკავშირისა და ისრაელში ხორცის მოხმარების მაღალ დონეს უკიდურესად განვითარებული სოფლის მეურნეობა და კარგი ეკონომიკური პირობები უზრუნველყოფს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისრაელი, სადაც რელიგიური მოსაზრებების გამო საერთოდ არ მოიხმარენ ღორის ხორცს და ის ფრინველის ხორციტაა ჩანაცვლებული.

საინტერესოა ნორვეგიისა და იაპონიის მაგალითებიც. ეს ქვეყნები ეკონომიკური განვითარების მხრივ მსოფლიოს ლიდერთა შორის არიან, მაგრამ ხორცის მოხმარება აქ საკმაოდ დაბალ დონეზეა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზია მათი მოსახლეობის რაციონში თევზისა და ზღვის პროდუქტების მაღალი ხვედრითი წილი. ეს განსაკუთრებით იაპონიაზე ითქმის.

ეკონომიკური მოდელის და განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ, საქართველოსთვის სამაგალითო ქვეყანაა შვეიცარია. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებლით ის მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა 2018 წელს ხორცის მოხმარება კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით დაბალია (ჩვენ ძირითადად ვხელმძღვანელობთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, თუმცა არსებობს სხვა

წყაროებიც, სადაც განსხვავებული ინფორმაციაა). ეს ფაქტი ამ ქვეყანაში ჯანსაღი კვების მიმდევართა და ვეგეტარიანთა ზრდით შეიძლება აიხსნას. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ XX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებიდან, როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე აქ 75 კგ-ზე მეტ ხორცს მოიხმარდნენ, ეს მაჩვენებელი პერმანენტულად იკლებს.

ჩვენ ვიეტნამში საგანგებოდ არ ამოვიღეთ ნუსხიდან, რადგან ეს ქვეყანა საინტერესოა დაბალი ეკონომიკური განვითარების ფონზე ხორცის მოხმარების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის გამო. 2018 წელს, საშუალო ვიეტნამელი იაპონელზე მეტ ხორცს მოიხმარდა და ეს მაშინ, როდესაც ვიეტნამის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით დაახლოებით 5.5-ჯერ ნაკლები იყო იაპონიის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

**ხორცის მოხმარების ოპტიმიზაციის თანამედროვე გამოწვევები**

პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეკონომიკური განვითარებისა და ხორცის წარმოების საბაზისო პირობების მხრივ, საუკეთესო მდგომარეობა რუსეთსა და ყაზახეთს აქვს. რუსეთში ხორცის მოხმარება ახლოსაა კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან, რასაც ვერ ვიტყვით ყაზახეთის შესახებ, რაც დომინირებული ისლამური კვების კულტურითაა გამოწვეული და ამიტომ აქ მინიმალურია ღორის ხორცის მოხმარება.

**ცხრილი 2**

**ხორცის მოხმარების სტრუქტურა და გადახრა კვების ფიზიოლოგიური ნორმიდან**

ქვეყნები	ფრინველის ხორცი %	ღორის ხორცი %	საქონლის ხორცი %	ცხვრის ხორცი %	გადახრა (კგ)
აშშ	50.0	23.1	26.3	0.6	+26.3
არგენტინა	42.5	12.0	44.4	1.1	+16.9
ავსტრალია	47.8	23.7	20.4	8.1	+19.2
შვეიცარია	27.9	43.5	25.9	2.7	-13.7
ახალი ზელანდია	52.6	25.9	15.9	6.1	+1.9
ნორვეგია	30.9	36.3	24.6	8.2	-9.4
ისრაელი	74.6	-	23.6	1.8	+22
ბრაზილია	51.6	15.9	31.7	0.8	+4.2
ჩილი	48.9	25.5	25.1	0.5	+1.6
რუსეთი	50.0	31.2	16.6	2.2	-2.2
ყაზახეთი	31.6	10.3	40.7	17.3	-17.6
უკრაინა	54.2	32.1	12.9	0.8	-26.1
კანადა	49.1	23.3	26.1	1.5	=
პარაგვაი	12.9	52.6	33.3	1.2	-23.9
გაერთ. სამეფო	45.6	28.5	19.2	6.7	-4
მექსიკა	55.7	26.1	17.2	1.0	-13.3
თურქეთი	60.1	-	26.5	13.4	-32.9
ირანი	70.6	-	16.6	12.8	-32.4
იაპონია	41.5	39.8	18.2	0.5	-24.3

ჩინეთი	23.7	62.2	7.8	6.3	-16.1
ინდონეზია	69.1	9.1	18.2	3.6	-54
მალაიზია	88.2	9.8	-	2.0	-9.8
ვიეტნამი	25.5	56.5	17.7	0.3	-12.4
ნიგერია	17.6	21.6	25.5	35.3	-59.9
ინდოეთი	66.7	5.5	13.9	13.9	-61.4
ევროპის კავშირი	33.1	49.8	15.1	2.0	=
საქართველო	47.4	28.9	21.1	2.5	-27
მსოფლიო	40.9	35.4	18.4	5.3	-30.3

ცხრილი შედგენილია: ცხრილი 1-ში მოტანილი მონაცემების საფუძველზე

უკრაინა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების მხრივ საკმაოდ პერსპექტიული ქვეყანაა, თუმცა ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო აქ დაბალია ხორცის მოხმარების ინდიკატორი.

ცხრილი 2-ში 2018 წლის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილია ხორცის მოხმარების სტრუქტურა და გადახრა კვების ფიზიოლოგიური ნორმიდან, რაც ჩვენს მიერ იანგარიშება როგორც სხვაობა კვების ფიზიოლოგიური ნორმების ქვედა და ზედა ზღვარსა და ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ხორცის მოხმარების მაჩვენებელს შორის. მაგალითად, იმ ქვეყნების მონაცემები, სადაც მოხმარების მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე 65 კგ-ზე ნაკლებია, ცხრილის შესაბამის სვეტში წარმოდგენილი იქნება „-“ ნიშნით, ხოლო სადაც 73 კგ-ზე მაღალია, „+“ ნიშნით, ხოლო ნორმის დიაპაზონში, ანუ 65-73 კგ-ს შორის მაჩვენებლები, ჩვენს მიერ მიჩნეულია ნორმის ფარგლებში მყოფად და აღნიშნულია „=“ ნიშნით. როგორც ვხედავთ, ნორმის ფარგლებშია ევროკავშირის გასაშუალოებული და კანადის ინდიკატორები. მოსახლეობის ერთ სულზე ხორცის მოხმარების მაჩვენებელი გადაჭარბებულია ცხრილში წარმოდგენილ შვიდ ქვეყანაში, ხოლო ნორმაზე დაბალია თვრამეტში და ეს მაშინ, როდესაც შრომაში წარმოდგენილ ცხრილებში განხილულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს მონაცემები. ცხადია, დანარჩენ მსოფლიოში შექმნილი ვითარება ხორცის მოხმარების მხრივ უფრო უარესი იქნება.

ხორცის მოხმარების სტრუქტურაში ჩვენს მიერ განხილულია ფრინველის, ღორის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ხორცის მოხმარება, თუმცა ამ უკანასკნელში შეიძლება ჩართული იყოს აგრეთვე თხის ხორციც. ასეა მაგალითად საქართველოს შემთხვევაში. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა სახის ხორცის მოხმარებასაც (მაგალითად, ჩინეთში, ამ ქვეყნის მეტად მრავალფეროვანი სამზარეულოს გათვალისწინებით), თუმცა, გლობალურად, რაოდენობრივი თვალსაზრისით ეს არ უნდა იყოს არსებითი, ამიტომ მისი აღრიცხვა, როგორც წესი, არ ხდება.

უკანასკნელ პერიოდამდე მსოფლიოში ხორცის მოხმარების სტრუქტურაში ღორის ხორცი დომინირებდა. ჩინეთსა და ევროკავშირში დღესაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ღორის ხორცს უკავია, თუმცა ბოლო პერიოდში იგრძნობა ფრინველის ხორცის მოხმარების ზრდა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის ხორცი ყველაზე იაფი ჯდება, რადგან სხვა ხორცის წარმოებასთან შედარებით, რამდენიმეჯერ დაბალია საკვების



ხარჯი. ამასთან, მეფრინველეობა, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, სწრაფად მომწიფებად დარგად ითვლება. მაგალითად, „გამოჩევიდან 50 დღის განმავლობაში ბროილერი წიწილისა და იხვის წონა იზრდება 40-ჯერ, მკვერცხული წიწილისა 13.5-ჯერ, ინდაურისა 15.6-ჯერ. მაშინ როდესაც, ამ ასაკის გოჭის ცოცხალი წონა იზრდება 12.3-ჯერ, ხბოსი კი მხოლოდ 1.97-ჯერ [ჯაჭვაძე დ., 1976, 10 გვ. 6]. ფრინველის ხორცის მოხმარების ზრდის სასარგებლოდ მოქმედებს ჯანსაღი კვების ის ტენდენცია, რასაც განვითარებულ ქვეყნებში აქვს ადგილი. ცნობილი ფაქტია, რომ ფრინველის ხორცში უხვადაა ადამიანისთვის საჭირო ცხოველური ცილები და სხვა ხორცის სახეობებთან შედარებით ნაკლებია ქოლესტერინის შემცველობა.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ხორცის მოხმარების კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი დონის მიღწევას, რაც ჩვენს მიერ 65 კგ-ით არის განსაზღვრული. ამავე დროს აუცილებელია განისაზღვროს ხორცის მოხმარების სტრუქტურაც, რაც ძირითადად ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობებს, დამკვიდრებულ კვების კულტურასა და ჯანსაღი კვების პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. 2018 წლისთვის საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარდნენ 38 კგ. ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, ხოლო სახეობების მიხედვით სტრუქტურულად ეს მოცულობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 47.4% მოდიოდა ფრინველის ხორცზე, 28.9% ღორის ხორცზე, 21.1% მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო 2.5% კი ცხვრისა და თხის ხორცზე. ჩვენი აზრით, ეს პროპორციები, რაც საბაზრო ძალების ზემოქმედების შედეგადაც დადგინდა, მნიშვნელოვნად არ უნდა შეიცვალოს, თუმცა გარკვეული კორექტირება სასურველია. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ხორცის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 27 კილოგრამით უნდა გაიზარდოს, მსგავსი ცვლილებების უმტკივნეულოდ განხორციელების შესაძლებლობა არსებობს.

ფრინველის ხორცის მოხმარება, ჩვენი აზრით, მინიმუმ 50% უნდა იყოს, რაც კვების ფიზიოლოგიური ნორმიდან გამომდინარე, აბსოლუტურ მაჩვენებელში 32.5 კგ-ის შესაბამისია. აუცილებლად უნდა მოხდეს მეფრინველეობის დარგის დივერსიფიცირება და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინდაურის ხორცის ადგილობრივი წარმოებისა და მოხმარების ზრდას. არსებითად უნდა გაიზარდოს ცხვრისა და თხის ხორცის მოხმარება, ეს განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ეხება, რადგან თხა დასავლეთ საქართველოსთვის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პირუტყვია. ამ კატეგორიას უნდა დაემატოს ბოცვრის ხორციც და მთლიანად ცხვრის, თხისა და ბოცვრის ხორცის მოხმარება არსებითად უნდა გაიზარდოს და ხორცის რაციონის მინიმუმ 6%, ანუ დაახლოებით 4 კგ. უნდა შეადგინოს. საქონლის ხორცის მოხმარების ზრდის დიდი რეზერვები საქართველოში არ არსებობს, ამიტომ ის საუკეთესო შემთხვევაში დაახლოებით 20%-ის დონეზე დარჩება, რაც კვების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე 13 კგ.-ის შესაბამისია. დანარჩენი 15.5 კგ, ანუ დაახლოებით 24% ღორის ხორცზე გადანაწილდება, რაც ქართული კვების ტრადიციიდან გამომდინარე, ყოველთვის დარჩება ხორცის რაციონის მნიშვნელოვან მონაწილედ.

## დასკვნა

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ხორცის მოხმარების კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი დონის მიღწევას (ჩვენი გაანგარიშებით - 65 კგ). ჩვენი აზრით, ის პროპორციები, რაც საბაზრო ძალების ზემოქმედების შედეგად დადგინდა სხვადასხვა სახის ხორცის მოხმარებაში, მნიშვნელოვნად არ უნდა შეიცვალოს, თუმცა გარკვეული კორექტირება შესაძლებელია. ავტორები საქართველოს საშუალო მოქალაქისთვის ხორცის მოხმარების ოპტიმალურ სტრუქტურას იძლევიან, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გამოიხატება: მოხმარების 50% უნდა მოდიოდეს ფრინველის ხორცზე, 24% ღორის ხორცზე, 20% მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო დანარჩენი 6% კი ცხვრის, თხისა და ბოცვრის ხორცზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ხორცის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 27 კილოგრამით უნდა გაიზარდოს, რაც რეალობად აქვეყნს დასახელებული ცვლილებების უმტკივნეულოდ განხორციელების შესაძლებლობას.

აუცილებლად უნდა მოხდეს მეფრინველეობის დარგის დივერსიფიცირება და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინდაურის ხორცის ადგილობრივი წარმოებისა და მოხმარების ზრდას. არსებითად უნდა გაიზარდოს ცხვრისა და თხის ხორცის მოხმარება.

ხორცის წარმოებაში, პერსპექტივაში აუცილებლად უნდა მოხდეს კოოპერაციული ურთიერთობების დანერგვა, რის გარეშეც რთული იქნება საქართველოს მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა ამ პროდუქტის მიხედვით. კარგი იქნება, თუ კოოპერაციულ საწყისებზე მოხდება ამ დარგში ვერტიკალური და ჰორიზონტალური საწარმოო ურთიერთობების ფორმირება [Koghuashvili P., Ramishvili B., Mamukelashvili D 2019, 11].

ნაშრომში წარმოდგენილი ხორცის მოხმარების სტრუქტურის მნიშვნელოვანი საფუძველია ის, რომ მისი დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების ხარჯზე უნდა განხორციელდეს. უნდა გვახსოვდეს ის ფაქტიც, რომ ხორცი ფასეულობათევად პროდუქტს წარმოადგენს და მისი წარმოების ადგილობრივად განვითარება გაზრდის ქართული მიწის პროდუქტიულობას, რენტას და შესაბამისად ფასს და მას, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან აქტივს, ეკონომიკურ ბრუნვაში სრულფასოვანი ჩართვის შესაძლებლობას მისცემს [Koghuashvili P., Ramishvili B. 2018, 12].

## გამოყენებული ლიტერატურა

1. The World Bank. GDP per capita, PPP (current international \$)  
URL:<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?view=chart>
2. <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019>
3. Papava V. (2020). Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29, online at, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

4. **Papava V., Charaia V.** (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. Expert Opinion, No. 136, Tbilisi, GFSIS, online at, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>.
5. **Koghuashvili P. and Ramishvili B.** (2016) The capacity of rural territories in Georgia „Annals of Agrarian Science“. pp 11-16.
6. **Ritchie H. and Roser M.**, (2019) Meat and Dairy production. URL:<https://ourworldindata.org/meat-production#which-countries-eat-the-most-meat>
7. Meat consumption. OECD data. URL:<https://data.oecd.org/agroutput/meat-consumption.htm>
8. National Statistics Office of Georgia (Geostat). URL:<https://www.geostat.ge/>
9. The World Bank. GDP per capita, PPP (current international \$) URL:<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?view=chart>
10. **ჯაჭვამე დ.**, (1976) მეგრინველეობა სამრეწველო საფუძვლებზე, თბილისი
11. **Koghuashvili P., Ramishvili B., Mamukelashvili D.**, (2019) *Cooperative domestic production relationships—the basis for agricultural cooperative viability* „Economics and Business“ 1 URL: <http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2019-04-18>
12. **Koghuashvili P. and Ramishvili B.** (2018) Specific of agricultural land's price formation „Annals of Agrarian Science“ 16 pp 324-326

**Paata Koghuashvili**

*Professor of Georgian Technical University,*

**Badri Ramishvili**

*Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## ASSESSMENT OF THE OPTIMAL QUANTITY AND STRUCTURE OF MEAT CONSUMPTION IN GEORGIA

### Expanded Summary

The rapid growth of meat production and consumption in recent decades is driven by astonishing improvements in economic and social situation of most countries of the world. For example, in 1961, one inhabitant of the world consumed an average of about 20 kg of meat, and almost 36 kg by 2018. Over the same period, the GDP per capita has increased about 4 times. This link between social wealth and meat consumption, in turn, is due to the fact that animal products, especially meat and meat products, have a high value, and can be affordable mostly for the financially established population. However, if we undertake a planetary analysis of meat consumption, we will see that there are several exceptions in this respect, which is due to the local alimentary culture, ethno-religious issues, specific conditions of meat production and other factors. For example, the so-called lacto-vegetarian and lacto-ovo-vegetarian diets excluding meat consumption. Recently, there has also been an increase in the number of vegetarians and vegans.

World economy 2020 has faced completely a new problem due to spread of coronavirus. The term “coronomic crisis” has been established, which underlines the importance of events. At the given moment it is clear that global economy undertakes some impediments. The isolation and deglobalisation will bring negative results to the world economy and it is essential

to diversify supply and value chains. It is evident current situation will affect the humankind for a long time. Although the most important in the nearest future is the health of humans and physiological sustainability, and this is by a huge part dependent on healthy, balanced feeding. Despite the fact, in the expense of which - local production or import strategy- Georgia will choose to meet meat demands in the country, in both cases it will be essential to define optimal consumption of volumes and structure of meat, to which this work is dedicated.

According to the physiological standards of nutrition established in the former Soviet Union, the average person requires about 65-73 kg of meat and its by-products per year. These standards were based on well-justified medical research. Some fluctuations in the standard were due to several reasons, most of which were associated with climatic conditions in the region and the employment profile of the population. For Georgia, which was located in the south of empire and covered the main part of subtropical area, the low value of this standard was considered acceptable because fruits and vegetables were more affordable products for the local population. It should also be noted that the vast majority of the population of Georgia, taking into account the employment profile and conditions, did not need a special diet that includes the prevalence of animal products, especially fats, in the diet of the population of the industrial centers in the North of the Soviet Union. Therefore, the average annual consumption of meat and its by-products for the average resident of Georgia was about 65 kg. We believe that using these data as a common guideline would be appropriate for our further research.

One problem is to achieve the physiological standard of nutrition, while the other is to achieve this in an optimal way, which means to meet the demand by local production. This would, among other things, allow Georgia to retain its population, especially in rural areas, especially in the mountain countryside. After all, meat production is one of the most labor-intensive industries, and its development, among other things, will contribute to growth in the capacity of Georgian rural area, and this will raise this rate to the optimal 300-330 thousand employees.

The specific conditions of meat production have a great influence on the populations' dietary habits in countries with similar resources. These are primarily extensive pastures or the other type of a stable food base, fertile agricultural land, good climatic conditions, water resources, and a large area. When we face these factors, the first thing that is developing is a cheap cattle breeding, however, it is clear that the opportunities for other types of animal or poultry meat production are also increasing. We can point to seven countries on earth, where the above listed basic production conditions exist. These are: the United States, Argentina, Australia, Brazil, Canada, Chile and New Zealand.

The people in seven countries listed above took the liberty of having the right to eat large quantities of meat, and specifically cattle meat, which is considered particularly expensive, accounts for a significant proportion in meat consumption patterns. The expensiveness is due to the quantity of food intake. These seven states themselves can be parted into two groups. The first group will consist of the United States, Australia, New Zealand and Canada, where along with favorable framework conditions of meat production, the level of economic development is high as well. The second group of countries will consist of Argentina, Brazil and Chile. In terms of the GDP per capita, these countries can be considered the moderately advanced countries, but owing to favorable conditions of cattle breeding, production of cheap meat allows their people to consume this product at a high level.

The high rates of meat consumption in the EU and Israel are provided by the highly developed agriculture and the healthy economic environment. Of particular note is Israel, where, for religious reasons, pork is not consumed at all, and it is replaced by poultry meat.

The examples of Norway and Japan are also interesting. These countries are among the world leaders in terms of economic development, but the rate of meat consumption is quite low there. In our view, the main reason for this is a high proportion of fish and seafood in the diet of their inhabitants. This is especially true for Japan.

Switzerland is an exemplary country for Georgia in terms of an economic development model, especially of an agricultural development model. In terms of the GDP per capita, it is one of the world leaders, however in 2018, meat consumption was below the physiological standards of nutrition (we are primarily guided by data provided by the Organization for Economic Cooperation and Development, although there are also other various information sources). This could be explained by the increase in the number of followers of healthy nutrition. This view is also supported by the fact that since the mid-1970s, when the per capita meat consumption was more than 75 kg, this figure has been declining steadily.

Russia and Kazakhstan have the best conditions in terms of economic development and framework conditions of meat production in the post-Soviet space. Meat consumption in Russia is close to the physiological standards of nutrition, and the same cannot be said of Kazakhstan, which is explained by the predominated Islamic food culture, and therefore the consumption of pork is at a minimal level there. Ukraine is a highly promising country in terms of agriculture and livestock development, but because of the current economic and political instability, the meat consumption rate is at a low level there.

In meat consumption patterns, we have discussed the consumption rates of poultry, pork, cattle and ovine meats, although goat meat may also be included in the latter. This is the case in Georgia, for example. In some countries, the consumption of other types of meat may also be of some significance (for example, in China, given the country's highly varied cuisine), but globally, in quantitative terms, it should not be substantial, so it is not usually accounted.

Until recently, pork was dominant in meat consumption pattern in the world, in the diet of the major consumers such as China and the European Union, and pork still is the highest percentage in the diet, although there has been a recent increase in poultry consumption, which is due to several factors. First, it should be noted that poultry meat is the most inexpensive, as compared to production of other meat products, the cost of feeding stuffs is several times lower. However, owing to its biological characteristics, poultry is considered to be a fast-growing sector. Trend in healthy nutrition observed in developed countries contribute to an increase in poultry meat consumption. It is a well-known fact that poultry meat is rich in animal proteins and low in cholesterol as compared to other types of meat.

From a socio-economic point of view, great importance is attached to achieving an appropriate level of the physiological standards of nutrition in meat consumption in Georgia, which we determined at a level of 65 kg. At the same time, it is also necessary to identify meat consumption pattern, which should be based mostly on local production opportunities, the established food culture and the principles of healthy eating. By 2018, an average annual meat and meat products consumption per capita was 38 kg in Georgia, and structurally this volume was divided by type as follows: 47.4% accounted for poultry, 28.9% - for pork, 21.1% - for beef, and 2.5% accounted for ovine and goat meat. In our view, these proportions, which have been established as a result of the impact of market forces, are not going to change significantly, although some adjustments are desirable. In addition, if we also take into account that meat consumption per capita in Georgia should increase by 27 kilograms, these adjustments can be made smoothly.

In our view, the rate of poultry meat consumption in Georgia should be at least at a level of 50%, which, according to the physiological standards of nutrition, is equivalent to 32.5 kg in absolute numbers. The poultry industry must be diversified, and special attention should be attached to promoting the local production and consumption of turkey meat. Consumption of ovine and goat meat should be significantly increased, especially the latter, as goat is a traditional farm animal for western Georgia. To this category should also be added the rabbit meat, and the total consumption rate of ovine, goat and rabbit meat should be increased substantially, and meat rationing should make up at least 6%, or about 4 kg. There are no large reserves for the growth of beef consumption in Georgia, so at best, it will remain at a level of about 20%, which, according to the physiological standards of nutrition, is equivalent to 13 kg.

The remaining 15.5 kg, or about 24%, will be attributed to pork, which will always remain an important part of the meat rationing due to Georgian dietary habits.

Particular importance is attached to achieving an appropriate level of the physiological standards of nutrition in meat consumption in Georgia (by our calculations - 65 kg). In our view, these proportions, which have been established as a result of the impact of market forces, in our view, the proportions that have been established as a result of the impact of market forces on the consumption of different types of meat should not change significantly, although some adjustments are possible.

In addition, it should also be taken into account that meat consumption per capita in Georgia should increase by 27 kilograms that allows to make these adjustments smoothly.

The poultry industry must be diversified, and special attention should be attached to promoting the local production and consumption of turkey meat. Consumption of ovine and goat meat should be increased significantly.

An important basis of meat consumption pattern presented in the paper is that it should be covered by local production. We should also remember that meat is a valuable product, and development of its local production will increase the productivity, net rent and, consequently, the price of Georgian land, and this will allow it, as an important asset of agricultural production, to become fully involved in economic activities.

---

---

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

---

---

*Lia Totladze*

*Doctor of Economics, Assistant Professor  
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

THE IMPACT OF GOVERNMENT EXPENDITURE ON EDUCATION AND R&D AS FACTOR OF HUMAN CAPITAL ON ECONOMIC GROWTH

**Annotation.** *The Strategies of many countries are focused on the area of growth such as sustainable and inclusive growth. These goals could be realized with a good education and training system a creative industries and a great effort to create a research-intensive economy. This couldn't be achieved without major contribution of human capital.*

*This research aims study how the factors of human capital impact on economic growth. Studying contribution of human capital to economic growth, the main methodological problems is to choose the correct measure of human capital. Therefore we analyze three approaches for human capital measurement. We highlights channel through witch human capital influence on economic growth. The paper tried to reveal the role of government expenditure in education and R&D as a factors of the growth human capital in Georgia. We have used three proxies for human capital accumulation: government expenditure on education, government expenditure on R&D and number of patents application by residents. Our main results support the argument that expansion of education expenditure has a positive effect on per capita GDP and to argue that the investment in human capital influence the sustainable development of the county.*

**Key Words:** *Human Capital; Economic Growth; R&D Expenditure; Government Expenditure in Education; Econometric Model.*

### Introduction

Identifying economic and non-economic aspects, the OECD proposed a broad definition of human capital as “*The knowledge, skills, competencies and attributes embodied in individuals that facilitate the creation of personal, social and economic well-being*” (OECD, 2001). This definition has obtained wide acceptance.

Schultz (1961) introduced the term “human capital” and referred it to the value of human capabilities. He declared that human capital is not dissimilar to other types of capital, it could be invested in various ways such as education and training. That is, the more education and training, the higher the accumulated human capital stock is. As a result, such investment will generate higher productivity, thus raising one’s earnings and resulting in higher aggregate level of production, and so does the national income (Izushi H., Huggins R., 2004).

Human capital was generally defined into five categories: Health facilities and services; On-the-job training; Formally organized education at the elementary, secondary and higher levels; Study programs for adults; Migration of individuals and families to adjust to changing job opportunities. The concept of human capital relate to the abilities and skills

of human resources of countries, while human capital formation relate to the process of acquiring and increasing the number of people with the skills, good health, education and experience that are critical for economic growth. Therefore, investment in education and health are considered as human capital components.

Human capital might affects growth through two channels. First - human capital directly participate in production as a productive factor. Consequently, the accumulation of human capital would directly generate the growth of output. Second - human capital can contribute to raising technical progress and the level of human capital affects productivity growth.

### The Methodological Framework

The contribution of human capital to economic growth accepted by theoretical models and as by empirical studies. The main methodological problems is to choose the indicator used to measure human capital. In the other words how to measure human capital. There are three the approaches for human capital measurement.

*The Cost-Based Approach.* Among direct measurement approaches, the approach measures human capital by looking at the stream of past investments undertaken by individuals, households, employers and governments. The cost-based approach is relatively easy to apply, because of the ready availability of data on both public and private expenditures in formal education. In terms of mathematical formula, the cost-based approach can be expressed as the following.

$$C = \sum_{j=1}^t c_j = \sum_{j=1}^t \left[ \sum_{i=1}^m s_i^e / (1+r)^i \right]_j$$

where C is the discounted total cost;  $c$  is the expected cost in the year  $j$ ;  $s$  is the expected cost in the year  $i$  and  $r$  is the discount rate.

*The Income-Based Approach.* The approach measures human capital by looking at the stream of future earnings that human capital investment generates over the lifetime of a person. Therefore, in contrast with the cost-based approach, which focuses on the input side, the income-based approach measures the stock of human capital by looking at the output side. This approach measures human capital by summing the discounted values of all future income streams that all individuals expect to earn throughout their working life or lifetime. Mathematically,

$$Y = \sum_{j=1}^T y_j = \sum_{j=1}^T \left[ \sum_{i=1}^m w_i^e / (1+r)^i \right]_j$$

where Y is the discounted total expected income;  $y$  is the expected income in the year  $j$ ;  $e_i$   $w$  is the expected income in the year  $i$ , and  $r$  is the discount rate.

The approach elaborated by Jacob Mincer is empirically implemented by explaining the logarithm of the wage of a worker from her/his educational attainment and labour market experience (which is also source of human capital formation), while controlling for a set of background characteristics such as gender, type of labour contract (e.g. full-time or part-time, fixed term or tenure), and sector of economic activity:

$$\log(w, t) = \alpha + \beta + \gamma + \epsilon, t$$



where  $w$  is the gross hourly wage of worker  $i$  in year  $t$ ,  $X$  includes background characteristics,  $\gamma$  is the regression coefficient of these background characteristics,  $\alpha$  is a constant term, and  $\varepsilon$  is an error term. The term  $S$  indicates the schooling level of the individual, and regression coefficient  $\beta$  measures the private return to investment.

The schooling level  $S$  is often measured as the number of years of education. In that case the quasi-elasticity  $\beta$  has a straightforward interpretation: it measures the % increase in the person's wage when (s)he would take an additional year of schooling. existing estimates of  $\beta$  are in the range of 5 to 15%. (Mincer, J. (2004)).

Starting point is the idea that schooling is an investment in human capital, and this investment would generate a future return in the form of a higher wage for the individual.

*The Output-Based Approach.* This approach measures human capital by its output. In other words, several indicators that can sufficiently represent the stock of human capital as a whole or at least as a group might be employed as the proxy. It is important to note that this approach does not directly view human capital as accumulated. Rather, it tends to find a suitable indicator or index that reflects the amount of human capital of an economy or a group of people. They might be average years of schooling, literacy rate, enrolment rate, net enrolment, gross enrolment, or some other educational attainment indexes. The formula can be expressed below.

$$\bar{H} = \sum I L H_{it}$$

Where  $H$  is human capital,  $I L$  is the proportion of the labor force with the  $i$ th level of education and  $I H$  is the number of years of schooling associated with the its level of education.

*The Indicators-based Approach.* Recently several indicators are widely used for measurement of human capital. 1. The UN Human Development Index (HDI), which combines measures of average achievements in a country in three basic dimensions of human development, i.e. health, education and knowledge, and standards of living. The structure of the index is constituted to health, knowledge, and standard living with many sub-variables such as life expectancy at birth, adult literacy rate, gross enrollment ratio, and GDP per capita. The Human Development Index (HDI) provides a single index measure which aims to capture three key dimensions of human development: a long and healthy life, access to knowledge and a decent standard of living (<https://unctad.org>); 2. World Bank Human Capital Index (HCI) (<https://ourworldindata.org>); 3. The PISA, which tests 15-16 year olds students for their cognitive skills in terms of reading, mathematics, science and problem solving; 4. The PIAAC, which tests adults for their competencies in terms of literacy, numeracy and ability to solve problems in technology-rich environments (<http://data.uis.unesco.org>).

A new approaches of human capital measurement clarifies what indicators can be considered to precisely measure more accurate human capital. Measurement is closely linked to education-related factors as proxies of human capital.

There are many study in economic literature that show the channels through which human capital accumulation and education may lead to economic growth. One of the main methodological difficulty is to choose the proxy indicator used to measure human capital. Human capital is considered as a fundamental factor for the research sector, where current

research has a positive spillover for the productivity of future research. R&D is intensive in human capital relative to other sectors.

Mankiw, Romer, and Weil (1992) have built a model to explain the growth endogenously by extending the Solow growth model to enlist human capital as a separate input from labor (known as MRW models). The variables in their model can be expressed in terms of efficiency unit of labor. Based on the similar production function and by assuming that the country specific shock is not correlated with the saving rate and population growth, the OLS estimation can be employed. They use average percentage of working people in secondary school to proxy for human capital investment rate and other traditional variables as well as the baseline coefficients, and establish relations among the variables through the so called Augmented Solow model. The results show this model can explain over 67% of the cross-country difference in income per capita. Also, another interesting result is that the poor countries tend to converge to the steady state faster than the rich countries

There are research papers estimating the relationship between public funding of education and economic growth both in developed and transition countries. Results of Barro (1999) showed positive link between education quality and economic growth. Gregorios and Ghosh (2007) made use of the heterogeneous panel data to study the impact of government expenditure on economic growth. Their results suggest that countries with more government expenditure tend to higher economic growth. Nonnemen and Vanhoudt (1996) use as proxy in MRW model, the share of education expenditure in GDP and they conclude that the relationship between human capital and economic growth is insignificant. Murthy and Chien (1997) as a proxy of human capital using a weighted average of the population registered in tertiary education, secondary and primary and they conclude that there is a significant positive and direct links with economic growth. Barro and Lee (1993), Islam (1995) used as a proxy for human capital the average number of years of schooling of the population over 25 years (Pelinescu E. (2015)). María Serena (2001) used as a proxy for human capital both individual income (assuming these increase as the accumulation of human capital increases) and the educational attainment of the population aged 25 years and over, as an average years of education. The positive impact of education quality more than quantity is highlighted by Hanushek and Woessmann (2007) and Hanushek and Kimbo (2000), who use as indicators of human capital the results of PISA and TIMS tests. Hanushek and Schultz (2012) for example showed that a deviation of 100 points in PISA test results may lead to a difference of 2 percentage points in the growth rate of GDP per capita (Pelinescu E. (2015)).

In many papers, because the average number of years of schooling is difficult to determine, this indicator was replaced by gross enrolment rate in primary, secondary and tertiary school or by enrolment rate (literacy rate).

### **The model and Empirical results**

The models used in the literature provides the opportunity to highlight some derived limits either from the election of the indicators used, either in their form of expression (as pace, level or logarithm) or the method of calculation. After analyzing above mentioned methods we applied a regression model and have used three different proxies for human capital accumulation: government expenditure on education, government expenditure on re-

search and development and number of patents application by residents. We have applied annual statistical data during the period 2000-2017 for Georgia.

In highlighting the impact of human capital on economic growth will be take into the consideration other variables such a Private R & D Expenditure and high technology export but due the limited data we cannot take into account this variables. The source of the data is Eurostat, World Bank, UNESCO and UNctat. Therefore, our model is as follows:

$$Y = b_0 + b_1 GOVE + b_2 GERD + b_3 NoP + U, \quad (1)$$

Where,

$Y$  is *GDP Per Capita Atlas Method (Current \$)* in country for year  $t$ , (GDP/capita is the real level of GDP per capita and is a direct function of human capital (H));

$GOVE$  - *Expenditure on education as percentage of total government expenditure %* for year  $t$ ;

$GERD$  - *Government expenditure on R&D as a percentage of GDP;*

$NoP$  - *Patents applications by residents* it is the number of patents for year  $T$ .

In the present study, two models were performed. Firstly, this method is used as a means of finding the estimators of the coefficients of the model. According to this method, we look for a line that minimizes the sum of squares of residues. For the estimated model (Linear Regression) we employ three explanatory variables, such as government expenditure on education, R&D expenditure, number of patents. The results from the estimate of the regressions are presented in the following table.

Table #1

	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>
$C$	1704,132818	1556,832569	1,094615344	0,292160553
$GOVE$	1593,315181	447,0214506	3,56429245	0,003111361
$GERD$	-4223,073066	1617,895603	-2,610225937	0,020563827
$NoP$	-14,3408208	2,363168109	-6,068472552	2,89424E-05

Source: The processing of the author

At next stage, the variables are generated as logarithmic values of the sum of GDP Real and expenditures on education and number of patents. We performed the regression by including all the variables in the model. This model therefore estimates that:

$$\ln(Y) = b_0 + b_1 \ln(GOVE) + b_2 \ln(GERD) + b_3 \ln(NoP) + U, \quad (2)$$

Using Statistics dates, we obtain the following regression output represents in the table #2

Table #2

	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>
$C$	9,23641	1,254134	7,36477	3,54E-06
$\ln(GOVE)$	2,260754	0,579083	3,904024	0,001589
$\ln(GERD)$	-0,37981	0,119316	-3,18319	0,006639
$\ln(NoP)$	-0,86682	0,183948	-4,71232	0,000333

Source: The processing of the author

Both of models are statistically significant. The linear model revealed a positive relationship, statistically significant between GDP per capita and public expenditure on education as expected according to economic theory. Unexpected is the negative relationship between expenditure in R&D and GDP per capita.

The chosen logarithmic model we find significant results for the one of the explanatory variables - public expenditure on education. The model revealed a negative relationship, statistically significant between GDP per capita and innovative capacity of human capital (evidenced by the number of patents). Unexpected is the negative relationship between expenditure in R&D and GDP per capita. Therefore, our results should be interpreted in this context: The regression outcomes could be improved with longer time series for human capital as human capital affects economic growth with essential time lag. In the future we will use in the model as alternative variables for human capital.

In the future we will use in the model as alternative variables for human capital, weighted average of the population enrolled in primary education, secondary and tertiary to highlight how the results were influenced by choosing the proxy for human capital.

### Conclusions

At presented paper we have empirically investigated the extent to which investments in human capital accumulation have contributed to the growth dynamics in Georgia over the last decades. We have applied statistical data with random effects during the period 2000-2017. We have used three different proxies for human capital accumulation: government expenditure on research and development government expenditure on education and number of patents application by residents.

From the Regression Results it was found that the government expenditure on education in Georgia has significant effect on Real Gross Domestic Product (RGDP). Consequently, public financing of education is a true parameter of measuring economic growth. This paper suggest that education is not the only, or the major contributing factor of per capita GDP, there are other contributing factors.

To conclude, the relationship between R & D expenditure and economic growth needs to be built in the long run in order to have a positive correlation. Survey results have shown that increasing the amount spent on R & D does not necessarily lead to economic growth. Our main results support the argument that expansion of education expenditure has a positive effect on per capita GDP. Therefore, policy makers must pay more attention to the quality of education.

The regression outcomes could be improved with longer time series for human capital as human capital affects economic growth with essential time lag. Therefore, our results should be interpreted in this context. In the future we will use in the model as alternative variables for human capital.

### References

- Acemoglu, D., Johnson, S., Robinson, J. A., & Yared, P. (2005). From education to democracy? *The American Economic Review*, 95(2), 44-99. <https://doi.org/10.1257/000282805774669916>
- Appiah E. N. The Effect of Education Expenditure on Per Capita GDP in Developing Countries. *International Journal of Economics and Finance*; Vol. 9, No. 10; 2017. <https://doi.org/10.5539/ijef.v9n10p136>

- Hanushek, E. A., & Wößmann, L. (2010). Education and Economic Growth. In P. Peterson, E. Baker, & B. McGaw (Eds.), *International Encyclopedia of Education* (Vol. 2, pp. 245-252). <https://doi.org/10.1016/B978-0-08-044894-7.01227-6>
- Hanushek, E., & Kimko, D. (2000). Schooling, Labor Force Quality, and the Growth of Nations. *American Economic Review*, 90(5), 1184-1208. <https://doi.org/10.1257/aer.90.5.1184>
- Izushi H., Huggins R., 2004, Empirical analysis of human capital development and economic growth in European regions, Cedefop Reference series, 54, Office for Official Publications of the European Communities.
- Mankiw, G. N. (2007). *Principles of microeconomics* (4th ed.). Mason, USA: Thomson South-Western Publisher.
- Mankiw N. G; Romer D, Weil D.N, 1992 Contribution to the Empirics of Economic Growth, *The Quarterly Journal of Economics*, Vol. 107, No. 2 (May, 1992), pp. 407-437;
- Mincer, J. (1974). *Schooling, Experience, and Earnings*. Nat. Bur. of Economic Research, New York.
- Mincer, J. (2004) Human Capital and Economic Growth. **NBER Working Paper No. w0803**
- Nonneman, V, Vandhoul P, 1996, A further augmentation of the Solow model and the empirics of economic growth for OECD countries, *Quarterly Journal of Economics*, 111 (3), pp.943-953.
- Pelinescu E. (2015) The impact of human capital on economic growth. *Procedia Economics and Finance* 22 , 184 – 190 Available online at [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Romer, P. M. (1990). Endogenous technological change. *The Journal of Political Economy*, 98(5), S71-S102. <https://doi.org/10.1086/261725>
- Serena María J. Freire, 2001. Human capital accumulation and economic growth, *Investigaciones Económicas*, vol.XXV (3), pp.585-602;
- Schultz, T. P. (1999). Health and schooling investment in Africa. *The Journal of Economics Perspectives*, 13(3), 67-88. <https://doi.org/10.1257/jep.13.3.67>
- Schultz, T. W. (1961). Investment in human Capital, *American Economic Review*, 51(1), 1-17.
- Tiruneh M., Radvanky M. (2011) The Contribution of Human capital to European Economic Growth: An empirical exploration from a panel data. Conference paper. Available at: <https://www.researchgate.net/publication/315067205>  
<http://data.uis.unesco.org> ;  
<https://unctad.org>;  
<https://ourworldindata.org/government-spending>;  
<https://www.wipo.int/ipstats/en/statistics>.

ლია თოთლაძე

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი

განათლებასა და R&D-ზე სახელმწიფო დანახარჯების, როგორც ადამიანისეული  
კაპიტალის ფაქტორების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება  
ვრცელი რეზიუმე

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტრატეგია ორიენტირებულია ეკონომიკური  
ზრდის მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორცაა მდგრადი და ინკლუზიური ზრდა.

ამ მიზნების მიღწევა შეიძლება განხორციელდეს განათლებისა და ტრენინგის გამართული სისტემის, კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D) ორიენტირებული ინდუსტრიებისა და მეცნიერებატევადი ეკონომიკის შექმნით. ეს კი შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვანი წვლილის გარეშე.

ნაშრომი მიზნად ისახავს ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის ემპირიული ასპექტების გამოკვლევას, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა. აღნიშნულიდან გამომდინარე შემოთავაზებულია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის შემდეგი მიდგომები: დანახარჯების მიხედვით, რომელიც ემყარება ადამიანისეული კაპიტალის შეფასებას იმ დანახარჯების მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო/კერძო სტრუქტურები ახორციელებენ მისი განვითარებისათვის; შემოსავლების მიხედვით, რომელიც ემყარება მინსერის მიდგომას - ადამიანისეული კაპიტალი შეფასდეს იმ შემოსავლების მიხედვით, რასაც იღებს ადამიანი მისი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად; ინდექსების მიხედვით, რომელიც ემყარება ფართოდ გავრცელებულ ისეთ ინდექსებს, როგორცაა: გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), მსოფლიო ბანკის ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი (HCI), PISA ტესტი და სხვა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ არხების ანალიზს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანისეული კაპიტალი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. დადგენილია ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ემპირიული ზეგავლენის ხარისხი. ნაშრომში გამოვლენილია განათლებასა და R&D-ში სახელმწიფო ხარჯების ადამიანისეული კაპიტალსა და ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის წვლილი საქართველოში. ზემოთ მოტანილი მიზნის მისაღწევად აგებულია როგორც წრფივი, ისე ლოგარითმული მოდელები, რომლებშიც ამხსნელ ცვლადებად განხილულია სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე, კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D), ასევე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა. საქართველოს ემპირიული მონაცემების მოდელირების შედეგები განათლებაზე გაწეული დანახარჯების შემთხვევაში თანხვედრაში აღმოჩნდა თეორიულ ეკონომიკურ დებულებებთან. რაც შეეხება დანარჩენ ეკონომიკურ ცვლადებს - დანახარჯებს კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D) და რეგისტრირებული პატენტების რაოდენობას, მიუხედავად მათი სტატისტიკურად მნიშვნელოვნებისა, ისინი უარყოფით კორელაციაში აღმოჩნდა შედეგობრივ ცვლადთან. ამ შედეგის ინტერპრეტაცია მხოლოდ შემდეგი შეიძლება იყოს: აღნიშნული ცვლადების ზემოქმედების შეფასებისათვის გასათვალისწინებელია დროითი ლაგი და აუცილებელია უფრო გრძელვადიანი პერიოდის მოდელირება.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანისეული კაპიტალი; ეკონომიკური ზრდა; R&D სახელმწიფო დანახარჯები; სახელმწიფო დანახარჯები განათლებაში; ეკონომეტრიკული მოდელი.

სექტორული ეკონომიკა – SECTORAL ECONOMY

მედეა მელაშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის  
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,

ქეთევან ქველაძე  
ეკონომიკის დოქტორი,

ნუნუ ქისტაური  
ეკონომიკის დოქტორი

განათლების თავისებურებები ევროკავშირსა და მის  
ზოგიერთ ქვეყანაში

**ანოტაცია.** სტატიაში გამოკვლეულია განათლების სისტემის სრულყოფისა და განვითარების თავისებურებები ევროკავშირსა და მის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, გაანალიზებულია განათლების სისტემის ფორმები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: დიდი ბრიტანეთი<sup>3</sup>, შვეიცარია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, რომლებმაც ამ დარგში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს. მითითებულია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკაზე წარმატებული გადასვლა, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლებელია განათლების სფეროს სრულყოფით.

**საკვანძო სიტყვები:** ცოდნის ეკონომიკა, განათლების სისტემა, ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური სისტემები, ევროკავშირის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები.

შესავალი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართო გავრცელება ჰპოვა ტერმინმა „ცოდნის ეკონომიკა“, რომელიც შემოიტანა ავსტრო-ამერიკელმა მეცნიერმა ფრიც მაჰლუპმა 1962 წელს. იგი თვლიდა, რომ ბუნებრივი მატერიალური რესურსები, მართალია, რჩება როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველი, მაგრამ მთელი სამეურნეო სისტემის ზრდა და განვითარება უზრუნველყოფილია არა იმდენად გარე, არამედ უფრო მეტად შიდა, არამატერიალური ფაქტორებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ცოდნა, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ფაქტორი არის ადამიანისეული კაპიტალია [3].

გაეროს ექსპერტების აზრით, ცოდნის ეკონომიკა - ეს არის ეკონომიკა, სადაც ცოდნა იქმნება, ვრცელდება და გამოიყენება ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამალგების მიზნით. ამასთან, ცოდნა ამდიდრებს ეკონომიკური პროცესების ყველა მონაწილეს, ყველა დარგს, ყველა სექტორს. ცოდნის ეკონომიკის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება ისეთი ეკონომიკა, როდესაც მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება იმ დარგებში, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ახალ ცოდნას, ინფორმაციულ სიახლეებს და მომსახურებას, ასევე მოწყობილობებს ცოდნის გადაცემისა და გადამუშავებისათვის. ცოდნის ეკონომიკას არსებობა და განვითარება შეუძლია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც მეცნიერება, როგორც

<sup>3</sup>ნაშრომში შესწავლილია დიდი ბრიტანეთის განათლების სისტემა, ვინაიდან იგი ევროკავშირის შემადგენლობიდან სულ ახლახან გამოვიდა

ძირითადი კომპონენტი, გავლენას ახდენს ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროზე, ხოლო სამეცნიერო ცოდნის შექმნა და გამოყენება განისაზღვრება არა მარტო ეკონომიკური ეფექტიანობის მოთხოვნებით, არამედ იმითაც, რომ იგი სხვადასხვა ფორმით იჭრება ყველა ადამიანის ყოფით ცხოვრებაში.

### ევროკავშირის განათლების სისტემის თავისებურებები

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დღეისათვის განვითარებული ქვეყნების შიდა პროდუქტის 50% ცოდნაზეა დამყარებული. ცოდნას კი ძირითადად განათლების სისტემა იძლევა მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით, რომელიც მიმართული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. ამ მიზნით სრულიად გადაუდებელი გახდა ევროკავშირში შესაბამისი კადრების აღზრდა, ამიტომ დაიწყო განათლების სისტემის სრულყოფა, რასაც წინ უძღოდა შესაბამისი ერთიანი პოლიტიკის შემუშავება.

ევროკავშირის შექმნისთანავე (1993) აქ წინა პლანზე წამოიწია ევროპის ერთიანი ინოვაციური სივრცის შექმნისა და შემდგომი განვითარების საკითხმა. მალევე, 1995 წელს, ევროკომისიამ განსახილველად წარმოადგინა ე.წ. „ინოვაციების მწვანე წიგნი“ („Green Paper on Innovation“), სადაც ევროპაში ინოვაციური საქმიანობის პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქნა აღიარებული. შემდეგ, 2000 წელს, ევროკომისიაში ინიცირებულ იქნა წინადადება ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის (European Research Area) შექმნის შესახებ, რომლის მთავარი ამოცანები ძირითადად იყო: ინვესტიციების გაზრდა ცოდნის სფეროში; წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნა; ევროპულ დონეზე მეცნიერთა კარიერისათვის ხელშეწყობა; ევროპულ მკვლევართა მობილურობის გაზრდა და სხვა [1]. ეს ამოცანები კი არ შეიძლებოდა გადაჭრილიყო მათი საფუძვლის - განათლებისა და მეცნიერების განვითარების გარეშე.

იმავე 2000 წელს ლისაბონში ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, 2010 წლისათვის ევროკავშირი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე უნდა გასულიყო. მას ეწოდა „ლისაბონის დეკლარაცია“, ხოლო დასახულ მიზნებს – „ლისაბონის სტრატეგია“. ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით, დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე 2010 წლისათვის უნდა გაზრდილიყო მშპ-ს 3 პროცენტამდე ყველა ქვეყნის მიხედვით, ამასთან, კერძო სექტორის წილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული დანახარჯების ორი მესამედი [1].

ევროკავშირში არაერთი დოკუმენტი მომზადდა ევროპის სამეცნიერო-კვლევითი სფეროს სტრატეგიის და განვითარების პოლიტიკის შესახებ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „უნივერსიტეტების დიდი ქარტია“; „ლისაბონის კონვენცია“; „სორბონის დეკლარაცია“; „ბოლონიის დეკლარაცია“; „ლისაბონის დეკლარაცია“; „ლისაბონის სტრატეგია“; „ლიუბლიანის პროცესი“; „სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამები“; პროგრამა „ევროპა 2020“; „ჰორიზონტი 2020“; „ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები“ და სხვა [2]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის დოკუმენტები, რომლებიც კერძოდ საგანმანათლებლო სფეროს არეგულირებს. მაგალითად, 1988 წელს ევროკავშირში ხელი მოეწერა საერთო დეკლარაციას, რომელსაც ეწოდა „უნივერსიტეტების დიდი ქარტია“ (Magna Charta Universitatum) და რომელშიც გამოხატული იქნა პოზიცია უნივერსიტეტების საქმიანობის შემდგომი მიმართულებების შესახებ.



ასევე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტთა შორის თანამშრომლობაზე პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების მომზადების, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობისა და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში.

1997 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა კონვენციის კვალიფიკაციის აღიარების შესახებ, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით. კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტების ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო სამართლებრივი ნორმების გარკვეული უნიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო დიპლომებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებასთან.

1998 წელს ხელი მოეწერა “სორბონის დეკლარაცია”, რომლის მთავარი მიზანი იყო ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი ღია სივრცის შექმნა. სორბონის დეკლარაციის შემდეგ 1999 წელს მიღებული იქნა საყოველთაოდ ცნობილი “ბოლონიის დეკლარაცია”, რომელშიც საუბარია უნივერსიტეტების მიერ კადრების მომზადებაზე ერთიანი ევროპული შრომის ბაზრისათვის. ბოლონიის პროცესი მოითხოვდა სერიოზულ გარდაქმნებს უნივერსიტეტების სტრუქტურაში, სასწავლო გეგმებში, სწავლების პროცესებში. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სწავლების ორი საფეხური – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, შემდეგ კი დაემატა დოქტორანტურა, რომელიც ანიჭებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს (ლათინურად Philosophiae doctor, შემოკლებით PhD) [1].

მოგვიანებით, 2006 წელს, ბოლონიის პროცესის შესაბამისად შემუშავდა დოკუმენტი – “უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები” (Standards and Guidelines for quality assurance in the European Higher Education Area). 2008 წელს კი შეიქმნა “უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ევროპული რეგისტრი” (European Quality Assurance Register for Higher Education, EQAR).

იმავე 2006 წელს ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა დოკუმენტი – “ცოდნის დანერგვა პრაქტიკისაკენ. ევროკავშირის ფართო ინოვაციურისტრატეგია” (“**Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the European Union**”), რომელშიც აღიარებულია, რომ ინოვაციური განვითარების საფუძველია განათლება და მეცნიერება. მათი კავშირი პრაქტიკასთან, ანუ ეკონომიკასთან (ბიზნესთან).

ევროკავშირში, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, უნდა შეიქმნას და განვითარდეს ერთიანი ჯაჭვი ფუნდამენტური კვლევებიდან მათ კომერციალიზაციამდე. სწორედ ამ მიზნით 2010 წელს მიღებული იქნა პროგრამა “ევროპა 2020”, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროგრესი განათლების, მეცნიერებისა და შემუშავებათა ანუ ინოვაციების სფეროში.

ამ პროგრამის ერთ-ერთი ბლოკი „ახალგაზრდობის მოძრაობა“ მიმართულია განათლების სისტემების შედეგიანობის ზრდაზე. ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს ორ – რეგიონულ და ლოკალურ დონეზე. პირველს ახორციელებს ევროპული კომისია მთლიანად ევროკავშირის ტერიტორიაზე, მეორეს – უშუალოდ პროგრამის წევრი ქვეყნები.

პირველი დონის პრიორიტეტული ამოცანებია ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება, ევროკავშირის ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირება, სტუდენტების მობილურობის დონის ამაღლება,

არსებული საგანმანათლებლო სისტემების რეფორმირება. ლოკალური დონის ამოცანებია ინვესტირების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა, განათლების შედეგიანობისა და ხარისხის, მასწავლებელთა პროფესიული უნარების და კვალიფიკაციის, საგანმანათლებლო სისტემების ღიაობის და ხელმისაწვდომობის ზრდა. ამ მიზნების შესრულება აუცილებელია ღია ევროპული ბაზრის შესაქმნელად, რომელიც მუდმივად შეივსება კვალიფიციური ადამიანისეული რესურსით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ევროკავშირში არასოდეს შეცვლილა პრიორიტეტები, არ შეწყვეტილა და დღესაც წარმატებით გრძელდება მუშაობა დასახული მიმართულებით. ამის ნათელი დასტურია ევროკავშირში ჩამოყალიბებული მჭიდრო და ორგანული კავშირი განათლებას, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის, რამაც იგი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

2004 წელს მსოფლიო ბანკმა სპეციალური პროგრამის, „ცოდნა განვითარებისათვის (Knowledge for Development – K4D)“, ფარგლებში შეიმუშავა და დღესაც გამოიყენება ყოველწლიური „ცოდნის ეკონომიკის ინდექსი“ – კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების დონეს. მას იყენებს სხვადასხვა ქვეყანა ცოდნის შექმნის, მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობების შესაფასებლად. ამ ინდექსის მიხედვით ბოლო წლებში მოწინავე პოზიციებზე მუდამ არიან ევროკავშირის ისეთი ქვეყნები, როგორცაა: დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ესპანეთი, იტალია, ფინეთი.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირის ქვეყნები წარმატებით ახორციელებენ განათლების ამა თუ იმ აპრობირებული სისტემის დანერგვასა და შემდგომ განვითარებას. ნებისმიერი საგანმანათლებლო სისტემის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული მისი საწყისი ეტაპის - სასკოლო განათლების სწორად ორგანიზებასა და განვითარებაზე. ევროპული სკოლების უპირატესობა ის არის, რომ მათი კურსდამთავრებულები იოლად განაგრძობენ სწავლას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, იგი უზრუნველყოფს ცოდნის აუცილებელ დონეს და უცხო ენის ფლობას. სკოლებში არიან კონსულტანტები, რომლებიც ბავშვებს მომავალი სპეციალობის არჩევაში ეხმარებიან, ამზადებენ უნივერსიტეტის გამოცდებისათვის და ეხმარებიან იმ დოკუმენტების შეგროვებაში, რომელიც მათ ჩარიცხვისთვის სჭირდებათ. ეს ყველაფერი მოზარდებს უნივერსიტეტში ჩაბარების გარანტიას უქმნის, თანაც არა მხოლოდ ევროპის, არამედ, სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებშიც.

ევროპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვები სწავლობენ დაახლოებით 6-დან 18 წლამდე. არსებობს დაბალი (6-11 წელი), საშუალო (11-16 წელი) და მაღალი (16-18 წელი) ტიპის სკოლები. სწავლის ბოლოს ყველა აბარებს გამოსაშვებ გამოცდას. ამასთან, სკოლები იყოფა მუნიციპალურ და კერძო სკოლებად. მუნიციპალური ხელმისაწვდომია უცხოელი ბავშვებისთვისაც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მშობლები ცხოვრობენ ან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ მოცემულ ქვეყანაში (ამიტომ უცხოელების უმრავლესობა კერძო სკოლებში სწავლობს).

### განათლების სისტემები ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში

ევროკავშირის დაარსებისთანავე (1993) შეთანხმდნენ, რომ არ მოხდებოდა განათლების სისტემის სრული უნიფიკაცია. იგი რჩებოდა ცალკეული ქვეყნის კომპეტენციაში.

ევროპული სკოლები საერთო სტანდარტს იცავს, მაგრამ დეტალებში შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ეს განსაკუთრებით ეხება სწავლების ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილს – საშუალო სკოლის ბოლო ორ წელიწადს, რომელიც მოსწავლეს ატესტატის მიღებისათვის ამზადებს:

**დიდი ბრიტანეთში**, რომელიც, მართალია, დღეს უკვე აღარაა ევროკავშირის წევრი, მაგრამ საგანმანათლებლო სფერო სწორედ ევროკავშირის სტრატეგიული გეგმის მიხედვით აქვს აწყობილი, სასწავლო წელი სექტემბერში იწყება და ტრიმესტრებად იყოფა (თითო ტრიმესტრი - 13 კვირა); სწავლება, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზეა. 14 წლიდან მოსწავლეები ერთვებიან პროგრამაში, რომელიც მათ ამზადებს საშუალო განათლების სერტიფიკატის GCSE (General Certificate of Secondary Education) მისაღებად. მასში შედის სავალდებულო საგნები (ინგლისური და მათემატიკა) და რამდენიმე დამატებითი საგანი, რომლებსაც თავად ირჩევენ (მაგალითად, ხელოვნება, დიზაინი, ბიზნესი, უცხო ენები და სხვ.). პროგრამის ბოლოს აბარებენ გამოცდას და იღებენ სერტიფიკატს ქულებით შეფასების სისტემით. 16 წლიდან სკოლაში იწყება A-Level - უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მოსამზადებელი პროგრამა. ის მოიცავს სავალდებულო საგნებს და დამატებით ორ-სამ არჩევით დისციპლინას. მოზარდებს შეუძლიათ ზუსტი მეცნიერებების, ბიზნესის საფუძვლების, ბუნებრივი და კულინარიის, ასევე ენების, მათ შორის, ძველბერძნულის და ლათინურის შესწავლა. ყველა საგნის კურსის ბოლოს ბარდება გამოცდა. საგნების და საგამოცდო ნიშნების ერთობლიობაზეა დამოკიდებული ის, მიიღებენ თუ არა მოსწავლეს სასურველ უნივერსიტეტში. სამაგიეროდ, A-Level-ის დიპლომებს არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტები აღიარებენ. დიდი ბრიტანეთის სკოლებში განათლების მიღება საკმაოდ ძვირია - სწავლის ფასები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ საშუალოდ ის წელიწადში დაახლოებით 20 000-30 000 ფუნტია [13].

**შვეიცარიაში** სწავლა ოთხ ენაზეა შესაძლებელი: ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად და ინგლისურად. ქვეყანაში დაახლოებით 250 სკოლა-პანსიონია, რომლებიც სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემების მიხედვით მუშაობენ. მათ შორის გავრცელებულია A-Level და IB (International Baccalaureate), მაგრამ განსაკუთრებით პოპულარულია IB პროგრამა, რომელიც შვეიცარიაში შეიმუშავეს როგორც უნივერსალური სასკოლო მოსამზადებელი პროგრამა ევროპელი ბავშვებისათვის, რომლებსაც სურთ სწავლა უნივერსიტეტებში განაგრძონ. პროგრამა მოიცავს სავალდებულო საგნებს, როგორცაა: მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზოგადი კურსი, ორი ენა - მშობლიური და უცხოური, ასევე ორი საგანი, რომელსაც თავად მოსწავლე აირჩევს. IB დიპლომისა და გარკვეული დონის შეფასებების მქონე აბიტურიენტს ნებისმიერი ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტში შეუძლია ჩაბარება გამოცდების გარეშე (გარდა ესპანეთისა, სადაც უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად ინდივიდუალური გამოცდების ჩაბარებაა საჭირო). სკოლის მოსწავლეები ასევე ირჩევენ იმ საგნებს, რომლებიც მათ უნივერსიტეტებში ჩასაბარებლად გამოადგებათ: ჰუმანიტარულ დისციპლინებს, ხელოვნებას, სწავლობენ

კრიტიკულ აზროვნებას, ივითარებენ დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს. ძირითადი დისციპლინების გარდა სასკოლო პროგრამა მოიცავს კლასგარეშე მეცადინეობას და აუცილებლად სპორტს. შვეიცარიაში განსაკუთრებით პოპულარულია სპორტის ზამთრის სახეობები: სამთო თხილამურები, სნოუბორდი და ციგურაობა. შვეიცარიის კერძო სკოლაში სწავლის წლიური საფასური იწყება 40 ათასი ევროდან. უფრო პრესტიჟულ სკოლა-პანსიონებში სწავლის ღირებულება ძალიან ძვირია. ის წელიწადში 100 ათას შვეიცარულ ფრანკს, ანუ დაახლოებით 95 000 ევროსაც კი აღწევს [14].

**ესპანეთში** სწავლა სავალდებულო და უფასოა მხოლოდ საშუალო სკოლის პერიოდში, ანუ 6-დან 16 წლამდე მოზარდებისათვის. უცხოელებისათვის სწავლა ფასიანია. დაწყებითი სკოლა შეიძლება იყოს სახელმწიფო, რელიგიური და კომერციული. ეს უკანასკნელნი შეიძლება იყვნენ სრულიად დამოუკიდებელი ან ნაწილობრივ სახელმწიფო დაფინანსებაზე. მიუხედავად დაფინანსების ფორმისა, სასკოლო განათლების მთელი პროცესი - მისი ხარისხი, პედშემადგენლობა, შენობების აღჭურვა, მეთოდოლოგიური პროგრამები - სრულიად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ესპანეთის ე.წ. დახურული სკოლები, სადაც სწავლის პროცესი წარმართება ორმაგი პროგრამებით ერთდროულად რამდენიმე უცხო ენის შესწავლით. ამ საკმაოდ ძვირადღირებული კერძო სასწავლებლების პრესტიჟულობა განმტკიცებულია მათი დიპლომების საერთაშორისო აკრედიტაციით. ამ სკოლების მოსწავლეები უმეტესწილად უცხოელი ბავშვები არიან. ესპანეთში სწორედ ამ ტიპის და რელიგიური სასწავლებლები ითვლება ყველაზე პრესტიჟულად და რეიტინგის მიხედვით ყველაზე ხარისხიანად. საბაზო საშუალო განათლების მიღების შემდეგ ესპანელი მოზარდები ირჩევენ გააგრძელონ სწავლა კოლეჯში ან უნივერსიტეტში. აქ კერძო უნივერსიტეტებში სწავლის ღირებულება წელიწადში დაახლოებით 15 000 ევროა [15]. ასევე აღნიშვნის ღირსია ერთი რამ - ესპანეთში ძალიან ბევრი მიგრანტია, რომლებიც მხოლოდ მუნიციპალურ სკოლებში ახერხებენ სწავლას. ისინი ცუდად საუბრობენ ესპანურად და დაბლა სწევენ მთლიანად კლასის მოსწრების დონეს, რითაც დანარჩენ ბავშვებს ეშლება ხელი მაღალი დონის განათლება მიიღონ. ამიტომ ესპანელი მშობლების უმეტესობა ცდილობს ბავშვებს კერძო და ნახევრად კერძო სკოლებში ასწავლოს.

**იტალიაში** სრულიად განსხვავებული სწავლების პრაქტიკა ჩამოყალიბდა. იტალიური საშუალო განათლება 13 წელს გრძელდება. 5-6-დან 18-19 წლის ასაკამდე. იტალიის ბევრი კერძო სკოლა გაკვეთილებს IB პროგრამით არა იტალიურ, არამედ ინგლისურ ენაზე ატარებს. კერძო იტალიურ სკოლა-პანსიონში სწავლა წელიწადში საშუალოდ 30 000-40 000 ევროა [17].

იტალია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც პრაქტიკაში დანერგა ბოლონიის პროცესის სტანდარტები. განათლების სისტემის მდგომარეობა იტალიის განვითარების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. იტალიის კონსტიტუციის 34-ე მუხლის მიხედვით, „სკოლები ყველასთვის ღიაა. დაწყებითი განათლება, არანაკლებ რვა წლის ხანგრძლივობისა, სავალდებულოა და უფასო. ნიჭიერ და ღირსეულ მოსწავლეებს, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაბამის საშუალებას, სწავლის მაღალ საფეხურებზე გადასვლის უფლება აქვთ. იტალიის რესპუბლიკა ამ უფლებას უზრუნველყოფს სტიპენდიებითა და სხვადასხვა სახის დახმარებებით, რომლებიც კონკურსების გზით მოიპოვება (Costituzione della Repubblica Italiana, Articolo 34).

განათლება იტალიაში რამდენიმე საფეხურიანია: პირველი საფეხური – სკოლამდელი აღზრდა (3-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის); მეორე საფეხური – სასკოლო განათლება, რომელიც მოიცავს დაწყებით (6-10, 3-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის) და საშუალო კლასებს (11-13 წლის ასაკის ბავშვებისათვის) ეს საფეხურები უფასოა და სავალდებულო. შესაბამისი ატესტაციის შემდეგ მოსწავლეები იღებენ უფლებას, გააგრძელონ სწავლა შემდეგ საფეხურზე; მესამე საფეხური – საშუალო განათლება, რომელიც მოიცავს უმაღლეს კლასებს (14-19 წლის ასაკის მოზარდებისათვის) და ლუიცეუმს. უმაღლესი კლასებში იღებენ პროფესიულ განათლებას (განსაკუთრებით პოპულარულია დიზაინის სკოლები). ლიცეუმებში (არსებობს 3 ტიპის – კლასიკური, საბუნებისმეტყველო და ლინგვისტური) მოსწავლეებს ამზადებენ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად; მეოთხე საფეხური – უმაღლესი განათლება, რომელიც მოიცავს საუნივერსიტეტო (კერძო, სახელმწიფო უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლები უცხოელებისათვის, უმაღლესი სკოლები, სატელეკომუნიკაციო უნივერსიტეტები) და არასაუნივერსიტეტო (სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის უმაღლესი სკოლები, ეროვნული აკადემია, კონსერვატორია, ქორეოგრაფიული სასწავლებლები. ასევე ვიწრო ტექნიკური მიმართულებების, დიპლომატიის, საარქივო, სამხედრო და მთარმგნელობითი საქმის ინტეგრირებული სასწავლებლები) ჯგუფებს.

უმაღლესი განათლება იტალიის კერძო უნივერსიტეტებში საკმაოდ ძვირია და წელიწადში ნდაახლოებით 15 000 ევროს უტოლდება [16].

**საფრანგეთში** განათლება მოიცავს შემდეგ საფეხურებს: 1. დაწყებითი: ბავშვები სკოლაში შედიან 6 წლის ასაკიდან, სწავლა გრძელდება 4-5 წელი; 2. საშუალო: მოსწავლეები შედიან 11 წლის ასაკიდან, 3 წელი სწავლობენ კოლეჯში, ხოლო შემდეგი 3 წელი - ლიცეუმში, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა ბაკალავრის დიპლომი (დაწყებითი და საშუალო სწავლა აუცილებელი და უფასოა). საფრანგეთში საკმაოდ უჩვეულოა გამოცდების პერიოდულობის გრაფიკი. სწავლის პერიოდში ბავშვს არანაირად არ აძალბებენ რაიმეს შესწავლას, მთელი სწავლის პროცესი მიმდინარეობს მსუბუქად, მასწავლებელი თუ საჭიროა ყოველდღე დარჩება გაკვეთილების შემდეგ და ინდივიდუალურად დაეხმარება მოსწავლეს. მაგრამ სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ახალი მასალის შესწავლის შემდეგ ეწყობა გამოცდები. ასე, რომ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოზარდს გაუჭირდება გამოცდის ჩაბარება. თუ გადაბარებასაც ვერ მოახერხებს, წლის ბოლოს გამოცდებზე არ დაიშვება და მას გარიცხავენ. ეს კი ძალიან დიდ პრობლემას უქმნის მშობლებს, რომლებიც საკმაოდ ძვირს იხდიან შვილების განათლებაში. სწავლის ფასი ფრანგულ ლიცეუმებში საკმაოდ განსხვავდება ადგილმდებარეობის მიხედვით და მერყეობს 9 000-დან 25 000 ევრომდე წელიწადში [12]; 3. უმაღლესი: შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრის დიპლომის მფლობელთათვის. უმაღლესი განათლების ტიპებია: მოკლევადიანი (2-3 წელი), რომელიც ამზადებს სპეციალისტებს სამრეწველო და მომსახურების სფეროს დარგებისათვის სპეციალურ უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში; გრძელვადიანი, რომელიც ითვალისწინებს განათლებას უნივერსიტეტებში.

უმაღლესი განათლების მიღება საფრანგეთში შესაძლებელია სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში. სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლა უფასოა უცხოელებისთვისაც კი, მაგრამ კერძო უნივერსიტეტებში იგი საკმაოდ ძვირია და წელიწადში სხვადასხვა ადგილას 25 000-35 000 ევროს უტოლდება [12].

**ფინეთში**, სპეციალისტების აზრით, ბოლო წლების განმავლობაში ევროპასა და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოშიც ყველაზე წარმატებული განათლების სისტემა ჩამოყალიბდა. ფინეთი მსოფლიოში მოსახლეობის განათლების დონისა და ხარისხის მიხედვით, ერთ-ერთი ლიდერია, აქ განათლების სისტემა მეტად მოქნილია, რომელიც მყისიერად რეაგირებს დარგის ყველა სიახლეზე. საერთაშორისო გამოცდილებით, ბოლო წლებში ფინელი მოზარდები მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანთა რეიტინგში უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ და განუხრელად ლიდრობენ 15 წლის მოსწავლეთა შორის.

ფინელი მოსწავლეების აკადემიურმა წარმატებამ მრავალი ქვეყნის მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ისინი ყოველწლიურად აკვირდებიან და იკვლევენ, თუ როგორ მოახერხა სახელმწიფომ, ჰქონდეს ასეთი განათლების სისტემა, ჰყავდეს ამდენი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და სისტემატურად ზრუნავდეს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ფინეთში მოსწავლეები სწავლას 7 წლის ასაკიდან იწყებენ და 16 წლის ასაკში ამთავრებენ საშუალო განათლების მიღებას. ბავშვები, უკვე დაწყებით ეტაპზე ბევრ რამეს უფროსების დახმარების და ჩარევის გარეშე აკეთებენ. ყველა საფეხურზე მასწავლებლები გაკვეთილის გეგმებსა და სტრატეგიებს მათთან შეთანხმებით და მათი მონაწილეობით ადგენენ. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობები კი - სკოლის მართვაში. აქ არ არსებობს ელიტური სკოლები, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები სისტემის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. ფინელები სწორედ იმით ამაცობენ, რომ მათი სასწავლო სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო მოსწავრებისა და ყველაზე დაბალი მოსწავრების მოსწავლეებს შორის მინიმალურია. ამას მოსდევს 3 წლიანი არასავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ან პროფესიული სწავლება, რის შემდეგაც ახალგაზრდები ახარებენ უნივერსიტეტებში ბაკალავრის ხარისხის დასაუფლებლად. შესაბამისად, მოსწავლეს მიღებული აქვს გარკვეული პრაქტიკული უნარები მისთვის საინტერესო სფეროში და შეგნებულად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა პროფესიის დაუფლება სურს საბაკალავრო საფეხურზე. აქ მთავარია ახალგაზრდებმა ადრევე გაიგონ განათლების ყველა „სიკეთე“, დანარჩენი მხოლოდ მათ მონდომებაზეა დამოკიდებული. მშობლების ფუნქცია ამ „სიკეთის“ სწორად ახსნა და ინსტიტუციური მოწყობაა. ფინურ „ნოუ-ჰაუს“ წარმოადგენს გაკვეთილის დაგეგმვის „თანასწავლების“ მეთოდი, რაც პროცესში ერთზე მეტი საგნის სპეციალისტის ჩართვას გულისხმობს. მასწავლებლებს, რომლებიც ამ სისტემაზე გადადიან, ხელფასზე დანამატსაც სთავაზობენ. 2016 წლისათვის სკოლის მასწავლებელთა 70 პროცენტს უკვე ჩაუტარდა ახალ სისტემაზე გადასვლის ტრენინგი. ზოგადად, რაც ჩვენი აზრით, განსაკუთრებულობას სძენს ფინური განათლების სისტემას, ეს არის მასწავლებლის პროფესიის სათანადო დაფასება, მათი როგორც მორალური, ასევე მატერიალური წახალისება. მასწავლებლის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასის მაჩვენებელზე მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, ამ პროფესიის პოპულარობას უზრუნველყოფს ფინეთში. აქ პედაგოგის ადგილზე კონკურსი ძალიან დიდია. ყოველივე ამის გამო თითქმის ყველა მასწავლებელს ან მაგისტრის, ან სამეცნიერო ხარისხი აქვს. აქ აცნობიერებენ რა განათლების სისტემის გადამწყვეტ როლს ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში, სათანადოდ ზრუნავენ, რომ უზრუნველყონ პროფესიონალი მასწავლებ-

ლების მაქსიმალურად მაღალი დონე. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ფინეთის განათლების სისტემა დგას არა ნიჭიერ მოსწავლეებზე, არამედ ნიჭიერ მასწავლებლებზე.

ყოველწლიურად განათლების დასაფინანსებლად ფინეთის სახელმწიფო 5.5 მლნ ევროს ანუ 15.5%-ს გამოყოფს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან. განათლებაზე გაწეული ხარჯების 21.7% მიდის უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე. ეს ნიშნავს, რომ ფინეთში წელიწადში ერთ სტუდენტზე სახელმწიფო ხარჯავს 8 ათას ევროს. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას ფინეთში, აქ იგი საშუალოდ წელიწადში 10 000 ევროს შეადგენს [18].

საერთოდ ითვლება, რომ ევროპაში უმაღლესში სწავლა ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, თითქმის ყველა ქვეყანაში არის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც სტუდენტებს უფასოდ იღებენ, ოღონდ არის აუცილებელი პირობა – პირველივე სემესტრში გამოცდების წარმატებით ჩაბარება და სახელმწიფო ენის აუცილებელი ცოდნა. ეს, რა თქმა უნდა, უმეტესად უცხოელებს ეხებათ. ზოგჯერ (მაგალითად, ფინეთში) განათლების მიღება უცხოელი სტუდენტებისათვისაც თითქმის უფასოა და წელიწადში 400-2000 ევროს უტოლდება.

მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის ქვეყნების განათლების სისტემათა შორის განსაკუთრებულად პროგრესული ფინური სისტემაა. პირველი, რაც აქ თვალში საცემია, ეს არის სწავლის საფასური, რაც ფინეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო იაფია. ეს კი შანსს აძლევს ყველას სურვილის შემთხვევაში მიიღოს მაღალი დონის უმაღლესი განათლება. ქვეყანა, გამოყოფს რა ბიუჯეტიდან განათლების დასაფინანსებლად საკმაოდ დიდ თანხას (წელიწადში 5.5 მლნ ევრო), შედეგად იღებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით ავსებენ იგივე ბიუჯეტს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებლის პროფესიის სათანადო დაფასება, მათი როგორც მორალური, ასევე მატერიალური წახალისება. მასწავლებლის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასის მაჩვენებელზე მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, ამ პროფესიის პოპულარობას უზრუნველყოფს ფინეთში.

კიდევ ერთი გამორჩეული თავისებურება, რაც ფინური განათლების სისტემას ახასიათებს, არის ის, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობები კი - სკოლის მართვაში. ფინელები სწორედ იმით ამაყოფენ, რომ მათი სასწავლო სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო მოსწრებისა და ყველაზე დაბალი მოსწრების მოსწავლეებს შორის მინიმალურია. აქ მთავარია, ახალგაზრდებმა ადრევე გაიგონ განათლების ყველა „სიკეთე“, დანარჩენი მხოლოდ მათ მონდომებაზეა დამოკიდებული. მშობლების ფუნქცია ამ „სიკეთის“ სწორად ახსნა და ინსტიტუციური მოწყობაა.

### დასკვნა

1. ნებისმიერი ქვეყნის სამეურნეო სისტემის ზრდა და განვითარება უზრუნველყოფილია არა იმდენად გარე, არამედ უფრო მეტად შიდა, არამატერიალური ფაქტორებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ცოდნა, განვითარების ინოვაციურ რელსებზე გადასვლა, რაც შეუძლებელია ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე.

2. ევროკავშირშიც მისი ფორმირებისთანავე (1993) წინა პლანზე წამოიწია ევროპის ერთიანი ინოვაციური სივრცის შექმნისა და შემდგომი განვითარების საკითხმა. აქ კარგად ესმოდათ, რომ ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა განათლების სისტემის სრულყოფის გარეშე. ამიტომ შემუშავებული და დანერგული იქნა ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, როგორცაა: „უნივერსიტეტების დიდი ქარტია“; „ლისაბონის კონვენცია“; „სორბონის დეკლარაცია“; „ბოლონიის დეკლარაცია“; „ლისაბონის დეკლარაცია“; „ლისაბონის სტრატეგია“; „ლიუბლიანის პროცესი“; „სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამები“; პროგრამა „ევროპა 2020“; „ჰორიზონტი 2020“; „ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები“ და სხვ.

3. 1988 წელს ევროკავშირში ხელი მოეწერა საერთო დეკლარაციას, რომელსაც ეწოდა “უნივერსიტეტების დიდი ქარტია” (Magna Charta Universitatum) და რომელშიც გამოხატული იქნა პოზიცია უნივერსიტეტების საქმიანობის შემდგომი მიმართულებების შესახებ. ასევე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტთა შორის თანამშრომლობაზე პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების მომზადების, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობისა და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში.

4. 1997 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა კონვენციას კვალიფიკაციის აღიარების შესახებ, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით. კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტების ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო სამართლებრივი ნორმების გარკვეული უნიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო დიპლომებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებასთან.

5. 1998 წელს ხელი მოეწერა “სორბონის დეკლარაციას”, რომლის მთავარი მიზანი იყო ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი ღია სივრცის შექმნა. მალევე, 1999 წელს მიღებული იქნა საყოველთაოდ ცნობილი “ბოლონიის დეკლარაცია”, რომელშიც საუბარია უნივერსიტეტების მიერ კადრების მომზადებაზე ერთიანი ევროპული შრომის ბაზრისათვის. ბოლონიის პროცესი მოითხოვდა სერიოზულ გარდაქმნებს უნივერსიტეტების სტრუქტურაში, სასწავლო გეგმებში, სწავლების პროცესებში. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სწავლების ორი საფეხური – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, შემდეგ კი დაემატა დოქტორანტურა, რომელიც ანიჭებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს (ლათინურად Philosophiae doctor, შემოკლებით PhD) [1].

6. 2010 წელს შემუშავდა და მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი სტრატეგია: „ევროპა - 2020“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროგრესი განათლების, მეცნიერებისა და შემუშავებათა ანუ ინოვაციების სფეროში და რომლის მიზანია ევროკავშირში შეიქმნას და განვითარდეს ერთიანი ჯაჭვი ფუნდამენტური კვლევებიდან მათ კომერციალიზაციამდე.

7. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში წლების მანძილზე გაწეული ძალისხმევის შედეგია ის, რომ ისინი განათლების სფეროში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე იმყოფებიან. მათ შორის განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწიეს დიდმა ბრიტანეთმა, შვეიცარიამ, ესპანეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ფინეთმა.



8. ევროკავშირის ქვეყნებს, მართალია, ევროკავშირის დაარსებისთანავე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, განათლების საკუთარი განსაკუთრებული სისტემა გააჩნიათ, მაგრამ მათი საქმიანობა ამ სფეროში ასევე ეფუძნება კავშირის ერთიან სტანდარტებს, რაც ევროკავშირის შეუფერხებელი წინსვლის საფუძველს ქმნის.

9. ჩვენს მიერ განხილულ ევროკავშირის ქვეყნების განათლების სისტემათა შორის განსაკუთრებულად პროგრესულად ფინური სისტემა მიგვაჩნია. პირველი, რაც აქ თვალში საცემია, ეს არის სწავლის საფასური, რაც ფინეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო იაფია. ეს კი შანსს აძლევს ყველას სურვილის შემთხვევაში მიიღოს მაღალი დონის უმაღლესი განათლება. ქვეყანა, გამოყოფს რა ბიუჯეტიდან განათლების დასაფინანსებლად საკმაოდ დიდ თანხას (წელიწადში 5.5 მლნ ევრო), შედეგად იღებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით ავსებენ იგივე ბიუჯეტს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებლის პროფესიის სათანადო დაფასება, მათი როგორც მორალური, ასევე მატერიალური წახალისება. მასწავლებლის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასის მაჩვენებელზე მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, ამ პროფესიის პოპულარობას უზრუნველყოფს ფინეთში.

კიდევ ერთი გამორჩეული თავისებურება, რაც ფინური განათლების სისტემას ახასიათებს არის ის, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობები კი - სკოლის მართვაში. ფინელები სწორედ იმით ამაყოფენ, რომ მათი სასწავლო სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო მოსწრებისა და ყველაზე დაბალი მოსწრების მოსწავლეებს შორის მინიმალურია. აქ მთავარია ახალგაზრდებმა ადრევე გაიგონ განათლების ყველა „სიკეთე“, დანარჩენი მხოლოდ მათ მონდომებაზეა დამოკიდებული. მშობლების ფუნქცია ამ „სიკეთის“ სწორად ახსნა და ინსტიტუციური მოწყობაა.

10. ნებისმიერ ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკაზე წარმატებული გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომით: განვითარებული ცოდნის ეკონომიკის, გამართული ინოვაციური სისტემის პირობებში, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს: განათლებაში გრძელვადიან ინვესტიციებს, ინოვაციური პოტენციალის განვითარებას, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური სტიმულების და ინსტიტუციური რეჟიმის შექმნას. ეს ყველაფერი მხოლოდ სწორი სახელმწიფო ეკონომიკური სისტემის პირობებშია შესაძლებელი. მისი წარმატებით გატარება კი მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2016
2. აბესაძე რ. ევროკავშირის ინოვაციური სისტემა. “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, ტ. X. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2017;
3. . . . . , 1966.

4. მელაშვილი მ., ქველაძე ქ., ქისტაური ნ. მსოფლიოში საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემები და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2018
5. ქისტაური ნ. ფინეთის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემა, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, ტ. X. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2017
6. თავლაძე თ. ესპანეთის ინოვაციური სისტემა, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, ტ. X. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2017
7. ქველაძე ქ. იტალიის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, ტ. IX. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2016
8. ქველაძე ქ. იტალიის ეროვნული ინოვაციური სისტემა, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი. “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, ტ. X. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2017
9. განათლებავერობაში  
<https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/ganatilebaketevani/ganatileba-evropashi>
10. . . . , 2017  
<https://vivaeurope.ru/education/obrasovanie-v-evrope>
11. . . . ,  
<https://cyberleninka.ru/article/n/15897992>
12.  
<https://www.ustudy.ru/articles/stoimost-ucheby-vo-francii>
13.  
<https://www.ustudy.ru/articles/stoimost-ucheby-v-velikobritanii>
14.  
<https://www.ustudy.ru/articles/stoimost-obrazovaniya-v-shvejcarii>
15. . . . ?  
<https://espanarusa.com/ru/pedia/article/644803>
16. . . . ?  
<https://www.hotcourses.ru/study-in-italy/money/education-fee-in-italy/>
17. . . . .
18.  
<http://smapse.ru/catalog/country-11/type-1/>
19.  
<https://www.ustudy.ru/articles/stoimost-ucheby-v-finlyandii>

**Medea Melashvili**

*Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU*

**Ketevan Kveladze**

*Doctor of Economics*

**Nunu Kistauri**

*Doctor of Economics*

## **PECULIARITIES OF EDUCATION IN THE EU AND SOME OF ITS COUNTRIES**

### **Expanded Summary**

Since the 1990s, the term "knowledge economy" has been widely used in Western economics by Austrian-American scientist Fritz Mahlup in 1962, who believed that natural material resources remain the basis for economic prosperity but the growth of the entire agricultural system and its development is provided not so much by external, but rather by internal, intangible factors, the most important of which is knowledge, that the main factor in the formation and development of the knowledge economy is human capital.

According to UN experts, the knowledge economy is an economy where knowledge is created, disseminated and used to increase the country's international competitiveness. The existence and development of a knowledge economy can only be achieved in a society where science, as a key component, affects almost every field of economics, and the creation and use of scientific knowledge is determined not only by the demands of economic efficiency.

According to the World Bank, 50% of the domestic products of developed countries today are based on knowledge. Knowledge is mainly provided by the education system based on scientific research, which should be aimed at increasing competitiveness. To this end, it has become urgent to bring up relevant staff in the EU, so the education system has been perfected, leading to the development of an appropriate unified policy.

With the creation of the European Union (1993), the issue of creating and further developing a unified innovative European space came to the fore here. Soon after, in 1995, the European Commission presented the so-called The „Green Paper on Innovation“, which has been recognized as one of the most important issues in Europe. Then, in 2000, the European Commission initiated a proposal to create a single European Research Area, whose main objectives were: to increase investment in knowledge; Creating a network of leading scientific centers; Promoting the careers of scientists at the European level; Increasing the mobility of European researchers and more. These tasks could not have been solved without the basis of their development - education and science.

In the same year, 2000, the leaders of the EU member states adopted a resolution in Lisbon, according to which by 2010 the EU should take the lead in the world. It was called the Lisbon Declaration, and its goals were called the „Lisbon Strategy“. According to Lisbon's strategy, spending on research and development should increase at about 3 percent of GDP by 2010 by all countries, with the private sector accounting for two-thirds of that spending.

A number of documents have been prepared in the European Union on the strategy and development policy of the European scientific-research field. Among them is the "Great Charter of Universities"; „The Lisbon Convention“, the „Sorbonne Declaration“, „Bologna Declaration“, „Lisbon Declaration“, „Lisbon Strategy“, „Ljubljana Process“, "Framework Programs for Scientific Research and Technological Development"; „Europe“ 2020 program; Horizon 2020; "European Technological Platforms" and others. We are especially interested in the documents that regulate the educational sphere in particular. In 1988, for example, the European Union signed the „Universal Declaration of Magna Charta Universitatum“, which set out its position on the future of universities. Emphasis was also placed on cooperation between

universities in the development of programs, textbook preparation, student and teacher mobility, and research.

In 1997, the Convention on the Recognition of Qualifications was signed in Lisbon, which was another step towards the establishment of a unified European educational space. Under the Convention, in addition to the recognition of the autonomy of universities, certain unification of legal norms had to take place, which was related to the mutual recognition of diplomas and relevant qualifications.

In 1998, the Sorbonne Declaration was signed, with the main goal of creating a unified open space for European higher education. Following the Sorbonne Declaration in 1999, the well-known "Bologna Declaration" was adopted, which discusses the preparation of staff by universities for the single European labor market. The Bologna Process required serious changes in the structure of universities, curricula, and teaching processes. Initially, there were two levels of teaching - bachelor's and master's degrees, and then a doctoral degree was added, which gives the degree of Doctor of Philosophy (Latin - Philosophiae doctor (PHD)).

Later, in 2006, a document was developed in accordance with the Bologna Process - „Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area“. In 2008, the „European Quality Assurance Register for Higher Education (EQAR)“ was established.

In 2006, the European Union adopted a document entitled “From Knowledge to Practice. The EU's Extensive Innovative Strategy ” (“Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the European Union”) recognizes that the basis for innovative development is education and science, their connection to practice, i.e. economics (business).

Based on the above-mentioned documents in the EU, according to the strategic plan for the development of the scientific and educational sphere, a unified chain should be created and developed in the EU from fundamental research to their commercialization. To this end, in 2010 the program "Europe 2020" was adopted, one of the main requirements of which is progress in the field of education, science and development i.e. innovation.

Studies conducted at different times and by different international organizations clearly indicate that EU countries are successfully implementing and further developing this or that proven education system. The success of any educational system depends largely on the proper organization and development of its initial stage - school education. The advantage of European schools is that their graduates can easily continue their studies at the world's leading universities, it provides the necessary level of knowledge and foreign language proficiency. There are consultants in schools who help children choose their future specialty, prepare them for university exams, and help them collect the documents they need to enroll. All this guarantees the admission of adults to the university, not only in Europe, but also in higher education in other countries.

Children attend European secondary schools from about 6 to 18 years of age. There are low (6-11 years), secondary (11-16 years) and high (16-18 years) type schools. At the end of the study, everyone passes the graduation exam. In addition, schools are divided into municipal and private schools. Municipalities are also available for foreign children, but only if their parents live or work in a given country for a long time (that is why most foreigners study in private schools).

With the founding of the European Union (1993), it was agreed that there would be no complete unification of the education system. It remained within the competence of a single country.

European schools meet a common standard, but the details may differ. This is especially true for the most responsible part of teaching - the last two years of high school, which prepares the student for the certificate.

We have been interested in the perfection and development of the education system in some EU countries, particularly in countries such as the United Kingdom<sup>4</sup>, Switzerland, Spain, Italy, France, and Finland, which have made significant strides in this area. It is stated that a successful transition to a knowledge economy in any country, among other factors, is possible by perfecting the field of education.

Among the education systems in the EU countries discussed by us, we consider the Finnish system to be particularly progressive. The first thing that stands out here is the tuition fee, which is cheaper in Finland than in other countries. This gives everyone a chance to get a higher level of education if they want to. The country, which allocates a large amount of money from the budget to finance education (5.5 million euros per year), receives highly qualified specialists with higher education who successfully fill the same budget.

Particularly noteworthy is the proper appreciation of the teaching profession, as well as their moral and material encouragement. Teacher salaries in the country are higher than the average salary. This, of course, ensures the popularity of this profession in Finland.

Another distinctive feature of the Finnish education system is that students actively participate in school life. Students' self-governments - in school management. Finns are proud of the fact that their education system is less stressful and open to different types of teaching methods. As a result, the difference between the best-performing and the lowest-achieving students is minimal. The main thing here is that young people understand all the "goodness" of education early on, the rest depends only on their diligence. The function of parents is to properly explain and institutionalize this "goodness."

In any country, a successful transition to a knowledge economy can only be achieved with a complex approach: a developed knowledge economy, an innovative system that must include: long-term investment in education, innovative development, modernization of information infrastructure, institutional economic incentives and entrepreneurship. It's all possible only in the conditions of right state economic system. Its successful implementation is only the prerogative of the state.

---

<sup>4</sup> The paper also examines the UK education system, as it has just left the European Union.

გიგა კვიციანი

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის დოქტორანტი

### იპოთეკური სესხების როლი თბილისში ბინათმშენებლობის ბაზრის განვითარებაზე

**ანოტაცია.** ბოლო ათწლეულების განმავლობაში, უძრავი ქონების, განსაკუთრებით კი საცხოვრისის ბაზარი, მუდმივად არის აქტუალური განხილვის საგანი მთელ მსოფლიოსა და საქართველოშიც. ბოლო დროინდელი 2007-2008 წლის კრიზისი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სწორედ უძრავი ქონების ბაზრასა და დაბალი ლიკვიდობის მქონე სესხებთან. შესაბამისად, დღითიდღე იზრდება მისი მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა და ინტერესი.

ბინათმშენებლობა მომგებიან ბიზნესს წარმოადგენს, რადგან არსებობს ადამიანთა უწყვეტი მოთხოვნა ფლობდნენ საკუთარ საცხოვრისს, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, დამოუკიდებლობასა და კონფიდენციალურობას. ეს, თავის მხრივ, სამშენებლო კომპანიებს შორის წარმოშობს მძაფრ კონკურენციას - მოიზიდონ მყიდველთა დიდი რაოდენობა, რომელიც მათ პროექტებში ინვესტიციებს განახორციელებს. თუმცა, ჯერ კიდევ არარსებული ბინების ყიდვა დიდ რისკს უკავშირდება, თუ ამ ბინების მშენებლობა დამოკიდებულია ისეთი ადამიანების „კეთილ ნებაზე“, რომლებიც მიდრეკილნი არიან არამართლზომიერი სქემების გამოყენებისკენ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

საქართველოში, საცხოვრისის ბაზრის კვლევების მხრივ, არ არის სახარბიელო მდგომარეობა, თუ არ ჩავთვლით ბოლოდროინდელ „თიბისი კაპიტალის“ და Colliers International Georgia-ს საცხოვრისის ბაზრის კვლევებს, რაც ძირითადად დეველოპერებისა და ინვესტორების დაკვეთით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი 2015 წლიდან ახდენს მონაცემების გამოქვეყნებას სესხების შესახებ, თუმცა, აქ მოცემულია მხოლოდ იპოთეკური სესხების მოცულობა და ხელშეკრულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით და ვადიანობა, სესხის უზრუნველყოფასთან ერთად. აღნიშნული მონაცემები არ გვაწვდის იმ ინფორმაციას, თუ რა ასაკობრივ კატეგორიას აქვს ალებული ძირითადად იპოთეკური სესხები და რა წილი უჭირავს სესხების მიზნობრიობაში დაუსრულებელი საცხოვრისის შეძენის მოცულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დეკადაში, (2010 წ.) ცნობილმა სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ კლიენტების მიერ მშენებლობებში გადახდილი ფული არამიზნობრივად გამოიყენა, როგორც ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 2012 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რის შედეგადაც თითქმის 6 200-მა ოჯახმა დაკარგა მათ მიერ გადახდილი თანხები - ვერ მიიღო ბინები, რომლის უმეტესობაც ჯერ კიდევ აუშენებელია. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უწყებით, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მესაკუთრეები მოტყუებით დაეუფლნენ მოქალაქეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს. ყოველივე ამის ფონზე, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების ზრდასთან ერთად, იზრდება იპოთეკურ სესხებზე მოთხოვნაც. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის მიზანია იმის გამორკვევა, თუ ძირითადად რა მიზნით აქვთ ალებული იპოთეკური სესხები მომხმარებლებს, ვინაიდან სწორედ ისინი ქმნიან

მოთხოვნას საცხოვრისის ბაზარზე. ეს ყოველივე გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ სესხის გადაუხდელობის შესაძლო რისკები გრძელვადიან პერიოდში და გამოვავლინოთ მომხმარებელთა წილი, რომელიც დაუსრულებელი საცხოვრისის შესაძენად იღებს სესხს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია იპოთეკური სესხების მომხმარებლების მონაცემების ანალიზი ქ. თბილისის მაგალითზე და ნაჩვენებია ძირითადი ტენდენციები, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება 2019 წლის აპრილსა და აგვისტოში ჩატარებულ ბანკის მომხმარებლების გამოკითხვას.

აღნიშნულთან ერთად, საცხოვრისის ბაზრის სფეროში არსებული კვლევებისა და ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, წარმოდგენილია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ავტორისეული მოსაზრებები, დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში საცხოვრისის ბაზრის განვითარების ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგების სამეცნიერო ფასეულობას, უპირველესად, წარმოადგენს საცხოვრისის მოთხოვნის ფორმირების შესახებ საქართველოში არსებული პრაქტიკული კვლევების შევსება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრისის ბაზრის განვითარების მიმართულებით. კვლევა იძლევა იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებულ ძირითად სურათს. ეს ინფორმაცია მხოლოდ ბანკებს აქვთ მათი შიდა მოხმარების მიზნით, რაც ფართო აუდიტორიისთვის არ არის ხელმისაწვდომი.

**საკვანძო სიტყვები:** საცხოვრისი, საცხოვრისზე მოთხოვნა, უძრავი ქონების ბაზარი, მომხმარებლის კვლევა, იპოთეკური სესხები.

## შესავალი

საცხოვრისის ბაზარი ემორჩილება მოთხოვნა-მიწოდების კანონს. როდესაც მოთხოვნა იზრდება, მაგრამ საცხოვრისი არაა საკმარისი, ფასები იზრდება. როცა დასრულებული საცხოვრისების რაოდენობის მიწოდება იზრდება, ფასები შედარებით მცირდება, თუმცა, წონასწორობის მიღწევა ამ ბაზარზე არც ისე მარტივია. დასრულებული საცხოვრისის მიწოდებას სჭირდება მნიშვნელოვანი დრო და ძალისხმევა. შესაბამისად, მიწოდების ზრდა, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფს ხოლმე მომხმარებლის მოთხოვნილებების დროულ დაკმაყოფილებას (Kimmons, 2019). სწორედ ამიტომ, მომხმარებლები მიმართავენ ბანკებს იპოთეკური სესხების ასაღებად, რომელიც, როგორც წესი, გრძელვადიანია. საცხოვრისზე მოთხოვნა, მენქიუსა და ვეილის მოდელში, საცხოვრისის ფასების უკუპროპორციულია, ხოლო მიწოდება კი ფასების პირდაპირპროპორციული (Raymond Y.C. Tse, 1999).

შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების ზრდასთან ერთად, ადამიანები ცდილობენ შეიძინონ საცხოვრისი, ვინაიდან ის აკმაყოფილებს მათ ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს. საქსტატის მონაცემების მიხედვით, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში საშუალოდ 15,6%-ით არის გაზრდილი<sup>5</sup>. ყოველივე ამის ფონზე კი იზრდება იპოთეკური სესხების მოცულობაც. საქართველოს ეროვნული ბანკი 2015 წლიდან აქვეყნებს

<sup>5</sup>იხ. მბული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

მონაცემებს სესხების მოცულობისა და გაცემული ხელშეკრულების რაოდენობის შესახებ<sup>6</sup>. 2019 წლის მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მთლიან რაოდენობაში იპოთეკური სესხების რაოდენობის წილი თბილისში 4%-ს შეადგენს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, იპოთეკური სესხების რაოდენობა 2.1-ჯერ არის გაზრდილი, რაც მიუთითებს საცხოვრისზე მაღალ მოთხოვნაზე თბილისში<sup>7</sup>. აღსანიშნავია ასევე, რომ სამშენებლო სექტორი, ძირითადად თბილისსა და ბათუმზე მოდის(ნამჩავაძე, 2018).

მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სექტორია. მოთხოვნას კი ამ სექტორში ქმნიან მომხმარებლები. ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ და ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ დანახარჯებისა და სარგებლის შედარების გზით (მენქიუ, 2008). იპოთეკური სესხის მომხმარებელთა წინაშე დგას ძირითადად ორი არჩევანი - დასრულებული ან დაუსრულებელი საცხოვრისის შეძენა. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, დაახლოებით ორჯერ იაფი ჯდება. თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს რისკი იმისა, რომ საცხოვრისი არ ჩაბარდეს და დეველოპერული კომპანიების მფლობელებმა მიითვისონ მომხმარებელთა თანხები. მსგავს სიტუაციას ჰქონდა ადგილი „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიერ 2005-2007 წლებში, როდესაც კომპანიამ ეფექტური სარეკლამო კამპანიის მეშვეობით, დაარწმუნა ათასობით კლიენტი, შეესყიდათ ჯერ კიდევ არაშენებული ბინები, შემდეგ კი, მათ მიერ მშენებლობაში გადახდილი 310 მლნ აშშ დოლარი არამიზნობრივად გამოიყენა (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2012). გარდა ამისა, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მიერ 2016 წლის დასაწყისში დაანონსდა მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტების დაწყება ისე, რომ კომპანიას მშენებლობის შესაბამისი ნებართვები არ ჰქონდა მიღებული. დიდი ოდენობით თანხის მოსაზიდად ჩატარდა აქტიური სარეკლამო კამპანია, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით, რითაც მოხდა ბინის შეძენით დაინტერესებული როგორც ადგილობრივი, ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მოზიდვა. კომპანიის მფლობელები კი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლნენ მოქალაქეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს (ბიძინაშვილი, 2018).

საცხოვრისის ბაზრის შესახებ საქართველოში თეორიული და ემპირიული ლიტერატურის ნაკლებობა აღინიშნება. დღემდე არ არის ჩატარებული კვლევები იპოთეკური სესხების მიზნობრიობის შესახებ, არ გვაქვს ინფორმაციამოსახლეობის რა ასაკობრივ ჯგუფს აქვს აღებული ძირითადად სესხი და რა წილი უჭირავს მიზნობრიობაში დაუსრულებელი საცხოვრისის შეძენას. ამ ინფორმაციას ფლობენ მხოლოდ კომერციული ბანკები, მხოლოდ შიგა მონხმარების მიზნით.

შესაბამისად, სტატისტიკის კვლევის საგანია იპოთეკური სესხები. კვლევის ობიექტია იპოთეკური სესხების მომხმარებლები, კვლევის მიზანი იპოთეკური სესხის მქონე მომხმარებელთა შესწავლაა, რათა გამოვლინდეს სესხების მიზნობრიობა და ინდივიდთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო შემდგომ მოხდეს ბაზარზე მოთხოვნის ანალიზი. ინფორმაციის მიღება და ძირითადი

<sup>6</sup> იხ. ბმული: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715>

<sup>7</sup> იხ. ბმული:

[https://analytics.nbg.gov.ge/views/3/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&showAppBanner=false&display\\_count=no&showVizHome=no](https://analytics.nbg.gov.ge/views/3/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&showAppBanner=false&display_count=no&showVizHome=no)



სურათის აგება კი შესაძლებელია ანკეტური გამოკითხვის მეთოდით, პირისპირ ინტერვიუთი, რაც პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ხერხია. შესამაბისად, კვლევის ინსტრუმენტია კითხვარი, რომელიც შემუშავდა ჩვენ მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის გამო, რათა შეივსოს არსებული კვლევები. ამ უკანასკნელში მოიაზრება Colliers International Georgia-ს<sup>8</sup> და „თიბისი კაპიტალის“ კვლევები<sup>9</sup>, რაც შესაბამისად, 2017 და 2019 წლებში ჩატარდა და ძირითადად ორიენტირებულია საცხოვრისის ბაზარზე არსებულ ფასებზე, დეველოპერულ კომპანიებზე, ტრანზაქციებზე, ბინების რეალიზაციაზე. თუმცა, ამ კვლევებში არ ჩანს იპოთეკური სესხის მომხმარებლების კატეგორია, სქესი, ასაკობრივი ჯგუფი, სამსახურებრივი სტატუსი და სესხების მიზნობრიობა, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბაზარზე მოთხოვნის ფორმირების პროცესის შესასწავლად და ისეთი ტენდენციების გამოსავლენად, რომელიც ჩვენამდე არსებული კვლევებიდან არ ჩანს.

### ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ მწირია ლიტერატურა, რომელიც განიხილავს საცხოვრისის ბაზარს საქართველოში, კერძოდ, თბილისში. მაგალითად, ნინო ბერაიას სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად ეხება უძრავი ქონების საფასო ინდიკატორების ცვლილების ტენდენციებისა და ციკლოზობის ანალიზს (ბერაია, 2015).

საქართველოს საცხოვრებელი ბაზრის კვლევებს რაც შეეხება, ამ მხრივ, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კერძო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშებია წარმოდგენილი, სადაც მიმოხილულია თბილისის საცხოვრისის ბაზარი, საუბარია სამშენებლო პროექტების მიწოდების მაჩვენებლებზე, ტრანზაქციების რაოდენობაზე, ძირითად დეველოპერულ პროექტებსა და საცხოვრისის ფასებზე. თუმცა, არაფერია ნათქვამი იპოთეკური სესხების მიზნობრიობაზე, სესხების მომხმარებელთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილზე.

„თიბისი კაპიტალის“ მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული საცხოვრისის ბაზრის ანალიზში<sup>10</sup> მოცემულია, ასევე, ტრანზაქციების რაოდენობები, ბინებზე მოთხოვნა, იპოთეკურ სესხების შეფარდება მშპ-სთან, ფასების მაჩვენებლები. მართალია, აღნიშნულ ანგარიშში მოცემულია სესხების გაცემის მაჩვენებლები რეზიდენტებზე და მათზე ხელმისაწვდომობა, თუმცა, ის ითვალისწინებს ახალი საბანკო რეგულაციების ამოქმედების შედეგებს. აქ არაა განხილული იპოთეკური სესხების მიზნობრიობა მომხმარებლების დონეზე და არც ასაკობრივ-სქესობრივი ჭრილითაა მოცემული ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ (Kordzaia & Chigilashvili, 2019).

ქართულ ენაზე არსებულ კვლევებში, ასევე, არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც ძირითადად ეხება მშენებლობის სექტორს, უძრავი ქონების გაყიდვებს, ფასებსა და რეგულაციებს (ნამჩავამე, 2018). თუმცა, აქაც არაა ნაჩვენები იპოთეკური სესხების ტენდენციები.

<sup>8</sup> იხ. ბმული: <https://www2.colliers.com/ka-GE/Research/Tbilisi/Residential-Market-in-Georgia-2017>

<sup>9</sup> იხ. ბმული: <http://tbccapital.ge/en/research/reports/residential-real-estate-sector-analysis-1>

<sup>10</sup> იხ. ბმული: <http://tbccapital.ge/en/research/reports/residential-real-estate-sector-analysis-1>

აღსანიშნავია, ასევე, რომ 2018 წელს საქსტატის მიერ გამოქვეყნდა პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე<sup>11</sup>. კვლევის თანახმად, განცხადებული და დოკუმენტირებული მფლობელობის წილი აჩვენებს, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ფლობენ აქტივებს, ვიდრე ქალები და ძირითად აქტივებს შორის საცხოვრისის მფლობელობის წილი ყველაზე მაღალია (საქსტატი, 2018). თუმცა, აქაც არაა მოცემული იპოთეკურ სესხების მფლობელობა სქესის მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული ლიტერატურისა და კვლევების განხილვის საფუძველზე, საჭიროდ მივიჩნით, ჩაგვეტარებინა იპოთეკური სესხების მომხმარებელთა კვლევა, რასაც წინ უძღოდა სხვადასხვა მეცნიერის მიერ განხილული თეორიები.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი თეორია უკავშირდება ასაკს. ეს არის ე.წ. ცხოვრების ციკლის თეორია, რომლის თანახმადაც, ასაკი წარმოადგენს ფინანსური დაგეგმვის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამ ჰიპოთეზის თანახმად, შინამეურნეობების წევრების დანაზოგები იზრდება ასაკის მატებასთან ერთად, ხოლო ახალგაზრდა ასაკში ისინი ცდილობენ სესხის აღებას (DeVaney & Chiremba, 2005).

რაც შეეხება შინამეურნეობებს, ისინი დამოკიდებულია ოჯახის წევრების რაოდენობაზე სესხის აღების დროს. ოჯახის ცხოვრების ციკლი გავლენას ახდენს დანაზოგებსა და ინვესტიციებზე, როგორც ამას მკვლევარები ადასტურებენ. მას შემდეგ, რაც ბავშვები გაიზრდებიან და ყველანაირი სესხის გადახდა მორჩება, ოჯახები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან დანაზოგებისკენ (Malroux & Xiao, 1995). შესაბამისად, შინამეურნეობები, რომლებიც დამოკიდებული არიან ბავშვებზე, ნაკლებად ახერხებენ თანხების დაზოგვას. გარდა ამისა, ემპირიული ლიტერატურის მიხედვით, დაქორწინებული და დასაოჯახებელი ადამიანების ქცევა განსხვავდება დანაზოგებთან მიმართებით. ადამიანები, რომლებიც დაოჯახებული არიან, უფრო მეტად ფიქრობენ ოჯახის ფინანსურ სტაბილურობაზე, შესაბამისად, ისინი მიდრეკილი არიან დანაზოგებისკენ (Li, Montalto, & Geistfeld, 1996).

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ შემოსავალი და ასაკი წარმოადგენს ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელოვან ინდიკატორს ინდივიდებში (Richardson & Kilty, 1989). გარდა ამისა, დასაქმების სტატუსიც დიდ გავლენას ახდენს დანაზოგების ფორმირებაზე. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, კადრების გადინება უფრო დაბალია საჯარო სექტორში, კერძო სექტორთან შედარებით. საშუალო განათლების მქონე ადამიანები ამჯობინებენ კერძო სექტორში მუშაობას, ხოლო უმაღლესი განათლების მქონენი ძირითადად სახელმწიფო სექტორს ანიჭებენ უპირატესობას (Blank, 1985). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბანკების ნდობა საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანების მიმართ უფრო მაღალია, ვინაიდან ისინი მეტი სტაბილურობით ხასიათდებიან.

ემპირიულ ლიტერატურაში მოცემულია ასევე სქესის მახასიათებლები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქალები უფრო მეტად რისკავენ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას, ვიდრე მამაკაცები (Diaz-Serrano & O'Neill, 2004). გარდა ამისა, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, საშუალოდ, უფრო დაბალი შემოსავალი აქვთ, როგორც OECD-ის ქვეყნებში (Fernandez-Lopez, Otero, Vivel, & Rodeiro, 2010), ასევე საქართველოშიც. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალები ნაკლები ფულადი სახსრების გამო, დანაზოგებს ვერ ქმნიან.

<sup>11</sup> იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3212>

### კვლევის აღწერა და შედეგების ანალიზი

ემპირიული და თეორიული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, არსებული პრობლემის გადაწყვეტის გზად დავისახეთ იპოთეკური სესხის მომხმარებელთა გამოკითხვა. მომხმარებელთა გამოკითხვისთვის, პროექტის ფარგლებში, დავამუშავეთ კითხვარი, სადაც გათვალისწინებული იყო ყველა ის ცვლადი, რომლის აღწერაც მოხდა ზემოთ. ესენია: ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, შინამეურნეობის ზომა, სამსახურებრივი მდგომარეობა და შემოსავალი. რადგან მონაცემთა შეგროვების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ინტერვიუს ჩატარება, სწორედ ის გამოვიყენეთ (პერსონალური ინტერვიუ) მონაცემთა შეგროვებისთვის. ვინაიდან ამით ინტერვიუერი რესპონდენტს უსვამს კითხვებს, რაც ისეა შედეგნილი ავტორის მიერ, რომ მოგვცეს პასუხები კვლევის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით (ფრანკფორტ-ნაჩმიასი & ნაჩმიასი, 2009). კვლევისთვის შეირჩა სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, კითხვარის შინაარსი თითოეული რესპონდენტისთვის არის ერთი და იგივე, რაც იძლევა გამოპასუხების აგრეგირების საშუალებას (Bryman & Bell, 2011). შესაბამისად, ჩვენს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა იპოთეკური სესხის მქონე ბანკის მომხმარებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით<sup>12</sup>, 2019 წელს საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებების რაოდენობა 15-ია. ვინაიდან, ჩვენ არ გვქონდა ბაზა, შერჩევის ჩარჩოს(გენერალური ერთობლიობის შემადგენელი ადამიანების სია, რომელიც შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრისთვის გამოიყენება)წარმოადგენდა სწორედ ამ ბანკების რაოდენობა. თუმცა, გამოკითხვა მიმდინარეობდა ძირითადად ორ მსხვილი ბანკის: „თიბისი“ და „საქართველოს ბანკის“ ფილიალებთან. პოპულაციას, ანუ იგივე გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებზეც ხელშეკრულებით გაიცა სესხი. ეროვნული ბანკის მონაცემებით, თბილისში შინამეურნეობებზე გაცემული იპოთეკური სესხების ხელშეკრულებების რაოდენობა, 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით 61 000 შეადგენდა<sup>13</sup>. რესპონდენტების სასურველი რაოდენობის გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა(Abrahamsson & Lindblom, 2012):

$$n = (2500 * N * Z^2) / ((25(N - 1) + (2500 * Z^2)))$$

სადაც n არის შერჩევის ზომა; N - გენერალური ერთობლიობა, ანუ ჩვენს შემთხვევაში 61 000, ხოლო Z აღნიშნავს სტანდარტულ შეცდომას, რომელიც 95%-იანი ნდობის ინტერვალისთვის ლეზულობს მნიშვნელობა - 1.96. ფორმულაში ჩასმის შემდეგ რესპონდენტების სასურველი რაოდენობა გამოვიდა 382 ადამიანი.

ჩვენს შემთხვევაში ინტერვიუებმა სულ გამოიკითხეს 358 რესპონდენტი, რაც ახლოსაა სასურველ რაოდენობასთან. ინტერვიუებზე შერჩეულნი იყვნენ სტუდენტები, რომლებსაც შეეხება ჰქონდათ ბანკებთან და იცოდნენ გამოკითხვის მეთოდები. ინტერვიუები ტარდებოდა ძირითადად ბანკების ფილიალებთან სამუ-

<sup>12</sup> იხ. ბმული: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>

<sup>13</sup> იხ. ბმული:

[https://analytics.nbg.gov.ge/views/3/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&:showAppBanner=false&:display\\_count=no&:showVizHome=no](https://analytics.nbg.gov.ge/views/3/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&:showAppBanner=false&:display_count=no&:showVizHome=no)

შაო საათებში, რათა მაქსიმალურად მომხდარიყო იპოთეკური სესხის მომხმარებელთა გამოვლენა. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად - 2019 წლის აპრილსა და აგვისტოში. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ მარტივი შემთხვევითი შერჩევა, რათა გენერალური ერთობლიობის ყოველ ელემენტს ჰქონდეს ცნობილი და თანაბარი შანსი, რომ იგი შერჩევით ერთობლიობაში მოხვდეს (დურგლიშვილი, 2006). ინტერვიუებები ყოველ მე-3 მომხმარებელს ეკითხებოდნენ, ჰქონდათ თუ არა მათ იპოთეკური სესხი. კითხვარების შევსების შემდეგ მოხდა შედეგების ლოგიკური კონტროლი, კოდირება და პროგრამის მიხედვით ცხრილების გამოტანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემპირიული ლიტერატურის თანახმად, შინამეურნეობების უფროსები ახალგაზრდა ასაკში ცდილობენ სესხის აღებას. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი ჰიპოთეზა შემდეგია:

*H1: ახალგაზრდა ასაკის ადამიანები უფრო არიან მიდრეკილნი, აიღონ იპოთეკური სესხი, ვიდრე - ხანშიშესულნი.*

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, შინამეურნეობები, რომლებიც დამოკიდებული არიან ოჯახის წევრების რაოდენობაზე, ვერ ახერხებენ თანხების დაზოგვას, შესაბამისად, ჩვენ შეიძლება დავუშვათ ჰიპოთეზა, რომ:

*H2: დაოჯახებული ადამიანები უფრო მეტად იღებენ იპოთეკურ სესხს საცხოვრისის შესაძენად.*

ემპირიული ლიტერატურის და მეცნიერების დასკვნის საფუძველზე (Wang, Yang, & Wang, 2012) აღმოჩნდა, რომ კადრების გადინება უფრო დაბალია საჯარო სექტორში, კერძო სექტორთან შედარებით. საქართველოშიც საჯარო სექტორი უფრო მეტი სტაბილურობით ხასიათდება. შესაბამისად შეგვიძლია დავუშვათ შემდეგი ჰიპოთეზა:


*H3: საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს უფრო გრძელვადიანი იპოთეკური სესხი აქვთ, ვიდრე კერძო სამსახურში დასაქმებულებს.*

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2018 წლის მიხედვით, ვინაიდან, საქართველოში ქალების საშუალო ხელფასი, მამაკაცების ხელფასთან შედარებით 1.6-ჯერ დაბალია, ხოლო დაუსრულებელი საცხოვრისის ღირებულება უფრო იაფია დასრულებულთან შედარებით და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალები მეტად რისკავენ ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას, მომდევნო ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოვყალიბეთ:

*H4: ქალები უფრო მეტად იღებენ სესხს დაუსრულებელი საცხოვრისის შესაძენად, ვიდრე მამაკაცები.*


ჩამოთვლილი ჰიპოთეზების დასადასტურებლად ან უარსაყოფად, მონაცემთა ორგანიზების, აღწერისა და შეჯამებისთვის გამოვიყენეთ აღწერითი სტატისტიკა. ჩვენთვის საინტერესო ცვლადების ერთმანეთთან დამოკიდებულების გამოსავლენად ავაგეთ კროსტაბულაციური ცხრილები /პროგრამა SPSS-ის დახმარებით, სადაც შევიყვანეთ უკვე კოდირებული კითხვარების შედეგები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ჩანს, რომ იპოთეკური სესხის მომხმარებლები არიან ძირითადად 25-34 წლის ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები, რომლის წილიც 50%-ს შეადგენს, შემდეგ მოდის 35-44 წლის ასაკის ადამიანები. შედეგები გვიჩვენებს, რომ მართლაც ახალგაზრდა ასაკის მომხმარებლებს უფრო აქვთ იპოთეკური სესხი, ვიდრე ხანშიშესულებს, შესაბამისად, პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა.




\* ეს და მომდევნო დიაგრამები შედგენილია ავტორის გამოთვლების მიხედვით

**დიაგრამა 2-**ზე ნაჩვენებია იპოთეკური სესხის მომხმარებლების განაწილება მათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.



გამოკითხულთა შორის უმეტესობა აღმოჩნდა დაოჯახებული. შესაბამისად, მეორე ჰიპოთეზა, რომ დაოჯახებული ადამიანები უფრო მეტად იღებენ სესხს - დადასტურდა.


**დიაგრამა 3**  
**იპოთეკური სესხის მომხმარებელთა განაწილება**  
**ხაზსახურებრივი მდგომარეობისა და სესხის ხანგრძლივობის**  
**მიხედვით, %**



**დიაგრამა 3** გვიჩვენებს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულთა უმეტესობას აქვს ძირითადად გრძელვადიანი იპოთეკური სესხი, საჯარო სექტორთან შედარებით. შესაბამისად, მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა. ეს ფაქტი შესაძლოა აიხსნას, რომ კერძო სექტორში უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ ინდივიდებს.

ბოლო ჰიპოთეზის ტესტირებისთვის შევადგინეთ **დიაგრამა 4**, სადაც ჩანს იპოთეკური სესხის მომხმარებელთა განაწილება სესხის მიხედვით.


**დიაგრამა 4**  
**იპოთეკური სესხის მომხმარებელთა განაწილება**  
**სესხისა და ხესხის მიხედვით, %**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, იპოთეკური სესხის მომხმარებლები ძირითადად არიან მამაკაცები. გამოკითხულთა შორის 232 რესპონდენტი იყო მამაკაცი, ხოლო 126 - ქალი. როგორც აღმოჩნდა, მამაკაცების რაოდენობა 18,8%-ით უფრო მეტია ქალებთან შედარებით, რომლებიც დაუსრულებელი საცხოვრისის შესაძენად იღებენ იპოთეკურ სესხს. შესაბამისად, ჩვენი ბოლო ჰიპოთეზა არ დადასტურდა.

საინტერესოა ასევე, იმის ჩვენება, თუ მომხმარებელთა რა კატეგორიას აქვს აღებული დიდი მოცულობის იპოთეკური სესხი. როგორც ცნობილია, 2019 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საბანკო რეგულაციები და ბანკებს მოქალაქეთა შემოსავლების დეტალური ანალიზის გარეშე, სესხის გაცემა შეეზღუდათ. ადამიანებისთვის, რომელთა დეკლარირებული შემოსავალიც დღეს 1200 ლარზე ნაკლებია, იპოთეკის პოტენციური ჭერი მხოლოდ და მხოლოდ 11,000 ლარია, რაც ნიშნავს, რომ მათთვის იპოთეკური სესხი ხელმისაწვდომი არაა. თუმცა „თიბისის“ მკვლევარები დასკვნების გამოტანას ნაადრევად მიიჩნევენ(ტყეშელაშვილი, 2019).

**დიაგრამა 5**  
**იპოთეკური სესხის მომხმარებელთა განაწილება**  
**შემოსავლისა და საცხოვრისის ღირებულების მიხედვით, %**



ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ძირითადად თვეში 1401-1800 ლარიან შემოსავლის მქონე მომხმარებლებს აქვთ სესხი აღებული 31-40 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საცხოვრისზე. ხოლო მომხმარებლები, რომელთა შემოსავალიც 1400 ლარზე ნაკლებია, დაბალი ღირებულების საცხოვრისზე აკეთებს სესხს. ამ მონაცემების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბანკო რეგულაციებმა თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა იპოთეკური სესხის ხელმისაწვდომობაზე.

**დასკვნა**

იპოთეკური სესხების მომხმარებელთა კვლევამ მოგვცა ისეთი მონაცემები, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისთვის და მხოლოდ ბანკებში ინახება. კვლევის შედეგად შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა იპოთეკური სესხის ძირითადი მომხმარებლები სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იპოთეკური სესხის მომხმარებელთა უმეტესობა მიეკუთვნება 25-44 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს. შესაბამისად, ადამიანები ახალგაზრდა ასაკში ცდილობენ უფრო მეტად გარისკონ და აიღონ გრძელვადიანი სესხი.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დაოჯახებული ადამიანები უფრო მეტად ფლობენ იპოთეკურ სესხს, ვიდრე დასაოჯახებელი ინდივიდები. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ადამიანები ცდილობენ შეიძინონ საცხოვრისი ოჯახის ზრდასთან ერთად.

როგორც აღმოჩნდა, გრძელვადიანი იპოთეკური სესხით საჯარო სექტორში დასაქმებულები უფრო მეტად სარგებლობენ, ვიდრე კერძო სექტორში, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში უფრო მეტია კადრების გადინება, რაც სესხის გადაუხდელობის რისკებთანაა დაკავშირებული.

კვლევის ძირითადი დასკვნაა ის, რომ მომხმარებელთა უმეტესობა იპოთეკურ სესხს იღებს დაუსრულებელი საცხოვრისის შესაძენად. ეს ზრდის რისკს, რომ სამშენებლო კომპანიის მფლობელებმა მომხმარებლების მიერ მიღებული თანხები არამიზნობრივად გამოიყენონ და კვლავ განმეორდეს თაღლითობის ფაქტები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „ცენტრ პოინტის“ და სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მაგალითზე.

იპოთეკური სესხის მქონე მომხმარებელთა შორის ჭარბობენ მამაკაცები, რაც შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საშუალოდ მამაკაცების ხელფასი მეტია ქალების ხელფასთან შედარებით, შესაბამისად, მათი სესხზე ხელმისაწვდომობაც მაღალია.

მართალია, კვლევამ არ მოიცვა თბილისში მოქმედი თხუთმეტივე ბანკის მომხმარებლები, მაგრამ მისი მეშვეობით მოხდა ორი უმსხვილესი ბანკის იპოთეკური სესხის მომხმარებელთა დახასიათება, რამაც საინტერესო მონაცემები მოგვცა, შეავსო არსებული კვლევები და მეცნიერული ჰიპოთეზებიც დაამტკიცა.

სამომავლოდ, მსგავს კვლევას, კითხვარში დამატებითი კითხვების ჩართვის საფუძველზე, შეუძლია ასევე განიხილოს ჰიპოთეზა - აქვს თუ არა გავლენა თაღლითობას მომხმარებელთა გადაწყვეტილებაზე გრძელვადიან პერიოდში და იყოს უფრო რეპრეზენტატული.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბერაია, ნ.** (2015). უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. **ბიძინაშვილი, ნ.** (2018 წლის 3 ოქტომბერი). <https://netgazeti.ge/>; <https://netgazeti.ge/news/308539/>-დან
3. **დურგლიშვილი, ნ.** (2006). სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
4. **მენქიუ, გრ.** (2008). ეკონომიკის პრინციპები. თბილისი: "დიოგენე".
5. **ნამჩავაძე, ბ.** (2018). მშენებლობის სექტორი საქართველოში. თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.
6. **საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2012)**, „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ - ყველაზე დიდი სამშენებლო სკანდალი საქართველოში. თბილისი.
7. **საქსტატი. (2018)**. პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე. თბილისი: საქსტატი.
8. **ტყეშელაშვილი, შ.** (02.07. 2019). [www.forbes.ge](http://www.forbes.ge). Forbes Georgia-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://forbes.ge/news/6633/ra-Secvala-ipoTekis-bazarze-sabanko-regulaciebma>-დან
9. **ფრანკფორტ-ნაჩმისი ჩ., & ნაჩმისი, დ.** (2009). კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.



10. **Abrahamsson, J., & Lindblom, N. (2012).** *A study about Swedes attitude towards product placements in Movies and TV-shows.* Sweden: Linnaeus University School of Business and Economics.
11. **Blank, R. M. (1985).** An Analysis of Workers' Choice between Employment in the Public and Private Sectors. *Industrial and Labor Relations Review*, 213-215.
12. **Bryman, A., & Bell, E. (2011).** *Business Research Methods* (3rd გამო.). New York: Oxford University Press.
13. **DeVaney, S. A., & Chiremba, S. T. (2005).** *Comparing the Retirement Savings of the Baby Boomers and Other Cohorts.* Washington: U.S. BUREAU OF LABOR STATISTICS.
14. **Diaz-Serrano, L., & O'Neill, D. (2004).** *The Relationship between Unemployment and Risk-Aversion.* Germany: Discussion Paper Series.
15. **Fernandez-Lopez, S., Otero, L., Vivel, M., & Rodeiro, D. (2010).** What Are the Driving Forces of Individuals' Retirement Savings? *Finance a úvěr-Czech Journal of Economics and Finance*, 232.
16. **Kimmons, J. (2019 წლის 6 January).** *www.thebalancesmb.com.* მოპოვებული [www.thebalancesmb.com: https://www.thebalancesmb.com/real-estate-supply-and-demand-2866979-დაბ](https://www.thebalancesmb.com/real-estate-supply-and-demand-2866979-დაბ)
17. **Kordzaia, T., & Chigilashvili, L. (2019).** *Residential Real Estate Sector Analysis.* Tbilisi: TBC Capital.
18. **Li, J., Montalto, C. P., & Geistfeld, L. V. (1996).** Determinants Of Financial Adequacy For Retirement. *Financial Counseling and Planning*, 43.
19. **Malroux, Y. L., & Xiao, J. J. (1995).** Perceived Adequacy of Retirement Income. *Financial Counseling and Planning*, 17-18.
20. **Raymond Y.C. Tse, C. H. (1999).** Matching housing supply and demand: an empirical study of Hong Kong's market. *Construction Management and Economics*, 626-626.
21. **Richardson, V., & Kilty, K. M. (1989).** Retirement Financial Planning Among Professionals. *The Gerontologist*, 35.
22. **Wang, Y.-D., Yang, C., & Wang, K.-Y. (2012).** Comparing Public and Private Employees' Job Satisfaction and Turnover. *Public Personnel Management*, 557-573.

**Giga Kikoria**

*PhD Student*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
Faculty of Economics and Business*

## THE ROLE OF MORTGAGE LOANS IN THE DEVELOPMENT OF THE HOUSING MARKET IN TBILISI

### Expanded Summary

Over the last decades, the real estate market, especially the housing market, has been a subject of constant debate throughout the world and in Georgia as well. Recent cri-

ses are related to the real estate market and low liquidity loans. Consequently, the necessity and interest of its scientific study is increasing day by day.

Homebuilding is a lucrative business as there is a steady demand for people to own their own home, ensuring their safety, independence and privacy. This, in turn, creates fierce competition among construction companies to attract large numbers of buyers who will invest in their projects. However, the purchase of non-existent flats is at great risk if the construction of these flats depends on the good will of people who are inclined to use illegal schemes for their own interests.

In Georgia, housing market research is not favorable unless we look at recent TBC Capital and Colliers International Georgia, mainly conducted researches for developers and investors. It is noteworthy that the National Bank of Georgia has been publishing data on loans since 2015, though only the volume of mortgages and the number of contracts by regions and maturity, together with the collateral, are given here. The above data does not provide information on what age groups have mainly mortgage loans taken, what purpose and what is the share of unfinished housing purchase.

It should be noted that in the last decade, the well-known construction company Center Point Group has misused the money paid by clients in construction, resulting in nearly 6,200 families losing their money and apartments, many of which are still under construction. In addition, the owners of the construction company "Sveti" deceived the large amount of money owned by citizens. After all, with the increase in household disposable income, the demand for mortgage loans is increasing. Accordingly, the purpose of this article is to determine the purpose of mortgage loans for bank users as they create demand in the housing market. All of this allows us to assess the potential risks of non-repayment over the long term and identify the share of customers who are taking out a mortgage loan for an unfinished housing.

This article examines mortgage lending data from the example of Tbilisi and shows the key trends based on a survey of bank customers in April and August 2019.

In addition, based on the research and literature available on the housing market the author's findings, conclusions and recommendations on housing market development in Georgia are presented.

The scientific value of the research results is primarily due to complementing the existing research on housing demand formation in Georgia, which is particularly important in the development of the housing market.

The research gives a basic picture of mortgage loans that are available only in banks and are not accessible to ordinary consumers.

The housing market obeys the law of supply and demand. When demand increases, but housing is not enough, prices rise. As the supply of finished housing increases, prices fall relatively, however, achieving equilibrium in this market is not so easy. Delivery of completed housing requires considerable time and effort. Consequently, the increase in supply usually does not ensure the timely satisfaction of customer needs.

That's why consumers turn to banks to get mortgage loans, which are usually long-term. Demand for housing is disproportionate to housing prices, and supply is directly proportional to prices.

With the increase in disposable income of households, people are trying to buy housing as it meets their fundamental needs. According to Geostat data, average monthly income per household has increased by an average of 15.6% over the last 5 years.

Against the background of all this, the volume of mortgage loans is also increasing. The National Bank of Georgia has been publishing data on the volume of loans and the number of loans issued since 2015.

According to the data of 2019, the share of mortgage loans in the total number of loans issued to households in Tbilisi is 4%. In the last 5 years, the number of mortgage loans has increased 2.1 times, which indicates a high demand for housing in Tbilisi.

There are basically two options for mortgage customers - buying a finished or unfinished home. The latter usually costs about twice as cheap. However, in this case there is a risk that the dwelling will not be handed over and the owners of the development companies will misappropriate the money from the customers.

There is a lack of theoretical and empirical literature on the housing market in Georgia. To date, there have been no studies on the purpose of mortgage loans, we do not know what age group of the population has taken the loan and what share it occupies in the purchase of unfinished housing. This information is owned only by commercial banks, for internal use only.

**Keywords:** Housing; Housing Demand; Real estate markets; Consumer Research; Mortgages.

**მენეჯმენტი – MANAGEMENT**

**მანანა ხარხელი**

ივ.ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ - ის ასოცირებული პროფესორი;

**გიორგი მორჩილაძე**

ბიზნესის ადმინისტრირების მეცნიერებათა დოქტორი,  
ლექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**დროის ეკონომიის ძირითადი წყაროები**

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია დროის ეკონომიის ძირითადი წყაროები, კერძოდ, შრომითი პირობების სრულყოფის გზები, თათბირების ჩატარებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები, თვითმენეჯმენტის მნიშვნელობა და სხვა არსებითი საკითხები, რომელიც, როგორც დაქვემდებარებულებს, ისე მენეჯერებს, მისცემს საშუალებას უფრო ეფექტიანად და პროდუქტიულად მართონ თავინთი დრო.

**საკვანძო სიტყვები:** სამუშაო ობიექტები; სამუშაო მოწყობილობები; შრომის ეფექტიანობა; დროის რაციონალური გამოყენება; თვითმენეჯმენტი, ენდოგენური და ეგზოგენური ფუნქციები.

**შესავალი**

დროის დინებას ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ზოგისთვის იგი სწრაფად გადის, ზოგისთვის პირიქით, ძალიან ნელა. თუმცა, სინამდვილეში, დრო ისე გადის, როგორც უნდა გადიოდეს. ერთადერთი რესურსი, რომელსაც ადამიანები თანაბრად ფლობენ, ეს დროა. დროის წინაშე ყველა ერთნაირია, განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ ვინ როგორ გამოიყენებს მას. წარმატებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია დროის ეფექტიანი გამოყენება.

მენეჯერი კომპანიის კოლექტივის წევრია. მას არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ მთელი კოლექტივის ხელმძღვანელობა ავალია. თუმცა, კოლექტივის თითოეულ წევრსა და მენეჯერს თანაბარი დროითი შესაძლებლობები გააჩნიათ, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტივის წევრი მხოლოდ საკუთარ დროს, ხოლო მენეჯერი როგორც პირადს, ასევე კოლექტივის წევრების დროსაც მართავს.

ორგანიზაციაში არსებული შრომითი პირობები, შრომის და დასვენების რაციონალური განაწილება, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დასაქმებულის მიერ სამუშაოს ჯეროვნად და დროულად შესრულებაზე. აუცილებელია სამუშაო ადგილზე შრომითი პირობების სრულყოფა, რისთვისაც საჭიროა მუშაობის პროცესში კომფორტის შექმნა, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის შრომისუნარიანობაზე, რაც ინდივიდუალური ხასიათისაა.

გარემო, სადაც ხელმძღვანელებს საშუალოება ეძლევათ ზეგავლენა მოახდინონ ადამიანებზე და აიმაღლონ იმიჯი, არის გამოსვლები, შეხვედრები, თათბირები. შესაბამისად, ნებისმიერი მცდელობა ხელმძღვანელისა, რომ დადებითი რეპუტაცია შეიქმნას თანამშრომლების თვალში, ჯეროვან მომზადებას საჭიროებს. ამიტომ დროის მენეჯმენტის სპეციალისტები ურჩევენ მათ თათბირის თუ ნებისმიერი შეხვედრის წარმართვისას იყვნენ პროფესიონალები და მაქსიმალურად ეცადონ, მათი გამოსვლები არ იყოს უინტერესო, დროში გაწელილი, დაზოგონ როგორც საკუთარი, ასევე აუდიტორიის დროითი რესურსი.

რადგან საკითხი დროის ეკონომიას ეხება, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს მენეჯერებისა და მთლიანად ორგანიზაციის მიერ დასაქმებულთათვის შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი დროის მოცულობას. შრომა კეთილმოწყობილ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს, რათა რომელიმე არახელსაყრელი გარემო ფაქტორი დამაბრკოლებლად არ წარმოგვიდგეს. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დროის ეკონომიას მოგვცემს თათბირების ჩატარებისას გამოყენებული დროის კონტროლია. ამიტომ თათბირების მომზადებას ხელმძღვანელმა გაცილებით მეტი დრო უნდა დაუთმოს, ვიდრე მის ჩატარებას. გამოყენებული დროის შემცირება ასევე შესაძლებელია თვითმენეჯმენტით. როცა ადამიანი მაქსიმალურად მოახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, იმუშავებს ნაყოფიერად, გააზრებულად მართავს დროს, იგი დაძლევეს არა მხოლოდ პირად, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს.

#### **შრომითი პირობების სრულყოფა**

სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებაზე არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციაში არსებული შრომის ნორმალური პირობები, ასევე შრომისა და დასვენების რაციონალური განაწილება. შრომა ნორმალურ მარტივად ადაპტირებად გარემოში უნდა მიმდინარეობდეს და სამუშაო ადგილების ორგანიზება, დაგეგმვა, აღჭურვა უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევებს. შრომის ნორმალური პირობები და სამუშაო ადგილების სწორად ორგანიზება ხელს უწყობს, დადლილობის შემცირებას და ზრდის შრომის მწარმოებლურობას. პერსონალის მართვის ცნობილმა ექსპერტმა ა. მაკენზმა 100 მენეჯერი გამოკითხა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „100 მენეჯერიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა საკმარისი დრო, 10-ს სჭირდებოდა 10 პროცენტით მეტი დრო, 40-ს 25 პროცენტით მეტი, ხოლო დანარჩენებს - 50 პროცენტი და მეტი“. ეს, რასაკვირველია, მათ უგეგმო, არაორგანიზებულ, უსისტემო მუშაობასა და თვითმენეჯმენტის დაბალ დონეზე მიუთითებს.

სამუშაო ადგილის ორგანიზებისა და შრომის პირობების სრულყოფის ძირითადი ამოცანაა მუშაობის პროცესში კომფორტის შექმნა, სამუშაო ადგილის რაციონალური გაბარიტების კონსტრუქციისა და ფორმის ყველა საჭირო საგნით უზრუნველყოფა, ოპტიმალური ზონის დაცვა. სამუშაო ადგილის დაგეგმარებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მომუშავეთა ანთროპომეტრული და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები.

მნიშვნელოვანია მოვახდინოთ სამუშაო სისტემის ანალიზი, ამისათვის საჭიროა გამოყოთ სამუშაო გარემოს შემადგენელი ობიექტები.

1 სამუშაო ობიექტები:

- ) სამუშაოს მატერიალური ობიექტები: გარემო პირობები, ობიექტის ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ფორმა, მასა, ზომა;
- ) ენერჯია;
- ) ინფორმაცია;

2 სამუშაო მოწყობილობები

- ) მოწყობილობები, ინსტრუმენტები, ობიექტის ფიზიკური თვისებების გაზომვის საშუალებები;
- ) სატრანსპორტო საშუალებები;
- ) სხვა მოწყობილობები;
- ) გამოსახვის საშუალებები და საზომი ხელსაწყოები;
- ) დამხმარე სენსორული ტექნიკის საშუალებები;
- ) სამუშაო მაგიდა, სკამი, შენობა;
- ) სამუშაო გარემო;
- ) გარემოს ზემოქმედება, სამუშაოს საფრთხიანობა და პროფესიული დაავადებების რისკი;
- ) ორგანიზაციული და სამუშაო გარემო;
- ) სამუშაოს დროითი ორგანიზაცია;
- ) სამუშაოს ადგილი წარმოების პროცესში;
- ) სამუშაოს ადგილი ორგანიზაციის იერარქიაში;
- ) სამუშაოს ადგილი კომუნიკაციის სისტემაში;
- ) სამუშაოს ანაზღაურების პრინციპები და მეთოდები;
- ) ანაზღაურების პრინციპები;
- ) ანაზღაურების მეთოდები;

შრომის ეფექტიანობასა და დროის რაციონალურ გამოყენებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ოპტიმალური გარემოპირობები, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ ფსიქოლოგიური ფაქტორები. ადამიანები უმეტესწილად ინფორმაციის 80-90 პროცენტს მხედველობის საშუალებით იღებენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილი სათანადოდ იყოს განათებული. განათების დონე შესასრულებელი სამუშაოს ხასიათზე დამოკიდებული და რაც უფრო ზუსტია სამუშაო, მით მაღალი განათებაა საჭირო. მომუშავეთა შრომისუნარიანობის მაღალი დონის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალურ ტემპერატურასა და ტენიანობას. გონებრივი შრომისას, როცა მნიშვნელოვან ფიზიკურ დამაბულობას ადგილი არა აქვს, ნორმალურ ტემპერატურად ითვლება 18-20 გრადუსი, ხოლო ტენიანობად არაუმეტეს 60-80 პროცენტისა. მაღალი ტემპერატურის დროს მნიშვნელოვანია სავენტტილაციო და ჰაერის კონდიცირების დანადგარების გამოყენება. ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, იმისთვის რომ დასაქმებულმა დრო იმაზე ფიქრში არ გაატაროს, თუ როგორ გათბეს, საჭიროა შესაბამისი გათბობის სისტემით იქნეს უზრუნველყოფილი სამუშაო ოთახი.

**თათბირების ჩატარების ხელოვნება**

თანამედროვე ქართული ორგანიზაციების თანამშრომელთა უმრავლესობა დღემდე ჩივის იმაზე, რომ გაუთავებული თათბირები ძირითად საქმეს აცდენთ, რაც შემდეგ სამუშაოსათვის დამატებითი დროის დათმობას აიძულებთ (ეს კი,

თავის მხრივ, აუნაზღაურებელი რჩება). სპეციალისტებს მოაქვთ მონაცემები საქმიანი ადამიანების სხვადასხვა კატეგორიებში (დირექტორი, მენეჯერი და სხვ.) დროის ხარჯვის ხასიათის შესახებ. ამ მონაცემთა შეფარდებით დროის ხარჯვა თათბირის ჩატარებაზე იჭერს მეორე და ხშირ შემთხვევაში მესამე ადგილს (სხვადასხვა ურთიერთობებისა და დოკუმენტებზე მუშაობის შემდეგ) და ძირითადად მთელი სამუშაო დროის 10-15%-ს შეადგენს. სხვადასხვა ორგანიზაციებში გვხვდება მენეჯერთა განსაზღვრული ქვეჯგუფი (20-25% - მდე მთელი მმართველი შემადგენლობის, ხშირად ესენი არიან მენეჯერები მაღალი და საშუალო რგოლებიდან), რომელნიც უბრალოდ „მიჯაჭვულნი“ არიან თათბირებს და თავისი სამუშაო დროის 50% მასზე ხარჯავენ.

როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, ბევრი ამ მენეჯერთაგან „მიჯაჭვულია“ თათბირებს იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ კარგად ატარებენ მას, თუმცა არ ყოფნით დრო სხვა ფუნქციების შესასრულებლად. ამასთანავე, თათბირის ეფექტურობის გასაზრდელად საჭიროა გათვითცნობიერება თათბირის სამი შესაძლებელი ტიპის.

სხვადასხვა მიზნების მისაღწევად, შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის თათბირი - „იდეალური“ და „სწორი“ არის ზუსტად ისეთი თათბირი, რომლის ფარგლებში ჯდება მხოლოდ ერთადერთი მიზანი. ნებისმიერი გაერთიანება ან მიზნების შერევა ერთი თათბირის ჩარჩოებში მნიშვნელოვნად გაართულებს მის ჩატარებას. პირველი ტიპის თათბირის მთავარი მიზანი არის კოლეგიალური გარჩევა და მმართველობის გადაწყვეტილების მიღება. როგორც წესი, საქმე ეხება არჩევას, ერთადერთი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ბევრი, თითქმის ერთნაირი ვარიანტების განხილვისას. თათბირი საჭიროა იმიტომ, რომ უკვე ნაცნობი ალტერნატივიდან აირჩეს საუკეთესო. თუ არჩევანი არ არსებობს, ე.ი. ერთი გადაწყვეტილება აშკარად „ჯობნის“ სხვა შესაძლებელ ვარიანტებს, მაშინ სიტუაცია უალტერნატივოა. ასეთ შემთხვევაში თათბირი უბრალოდ არ არის საჭირო, გადაწყვეტილება კი სავსებით შესაძლებელია ხელმძღვანელობამ მიიღოს დამოუკიდებლად.

გასაგებია, რომ ყველა მონაწილეს ექნება საკუთარი კრიტერიუმები „შესაფერის“ და „არაშესაფერის“ გადაწყვეტილებებზე, ამიტომ თათბირი წარმართება დისკუსიით, კამათით. „უკეთესი“ გადაწყვეტილების ძიებისას დისკუსია რომ არ გადაიზარდოს კონფლიქტში, ასეთი თათბირის ჩატარების დროს მთავარია მკაცრი რეგლამენტი (საერთო დროის და ცალკული პროცედურების დროსაც) და ფორმალური პროცედურის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (მაგალითად, ფარული კენჭისყრა).

მეორე ტიპის თათბირის მიზანია ცუდად სტრუქტურირებული, ნაკლებ ნაცნობი პრობლემის გადაწყვეტა. ასეთი პრობლემის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ინოვაციური გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია „სამომავლო არჩევანის“ პროგნოზირებასთან. რამდენადაც „მართებული“ გადაწყვეტილება ამგვარ სიტუაციაში წინასწარ უცნობია ( ის უნდა „გამოიგონო“). ამგვარი თათბირის ჩატარების მთავარი პირობა ხდება შემდეგი პირობები: გულმოდგინედ შერჩეული წევრები და შემოქმედებითი, არაფორმალური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს „სუპერ იდეების“ ადვილად განხილვას (აქ ჩვენ ატიურად გამოგვადგება შემოქმედებითი ტექნოლოგიების, გონებრივი შტურმი და სხვა).

მესამე ტიპის თათბირი დაკავშირებულია სხვადასხვა მმართველი და წარმოებითი ინფორმაციების გაცვლასთან. ეს შეიძლება იყოს ანგარიშები და მოხსენებები შესრულებულ სამუშაოზე, ცნობა რომელიმე პროექტის შედეგზე და ა.შ

ამგვარი თათბირის წარმატებას განსაზღვრავს პირველ რიგში მოხსენების წინასწარი მომზადების ხარისხი, მისი პრეზენტაცია და აგრეთვე, თუ საჭიროა, არსებული ინფორმაციის ანალიზი და განვრცობა (უშუალოდ თათბირზე).

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი თათბირის ჩატარება საპასუხისმგებლო ნაბიჯია. ყოველთვის არის რისკი მაშინაც კი, როცა ყოველივე ზედმიწევნით კარგადაა მომზადებული, რომ რაღაც ისე არ იქნება, როგორც საჭიროა. კითხვის გარკვევაში - „საჭიროა კი საერთოდ თათბირი?“ დაგვეხმარება შემდეგი მოსაზრება: თუ თათბირის ჩატარების აუცილებლობის გადაწყვეტილება მაინც მიღებულია, თათბირის მიზანი ჩამოყალიბებულია, მაშინ აუცილებელია განვსაზღვროთ თათბირის მონაწილეთა შემადგენლობა. მთავარი პრინციპი აქ არის შემდეგი: „რაც ნაკლები ადამიანი მონაწილეობს, მით უკეთესია“, მაგრამ ვისაც უშუალოდ ეხება განსახილველი საკითხი, თათბირს უნდა ესწრებოდეს. საერთოდ, თათბირი გახსნილი იქნება თუ დახურული, ყოველთვის უნდა გადაწყვიტონ თათბირის ორგანიზატორებმა წინასწარ, მაგრამ დაამრგვალონ „უმცირესობის სასარგებლოდ“.

თათბირის მონაწილე შეიძლება იყოს:

- 1) ორგანიზატორი და წამყვანი. აუცილებელია განვსაზღვროთ ერთმანეთისგან თათბირის ინიციატორები და თათბირის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებლები. თათბირის ორგანიზება მდივნის ან ოფის-მეჯერის მოვალეობაში შედის (რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირით ხელმძღვანელობასთან). მაგრამ სასურველია წამყვანის როლში იყოს საკმაოდ მაღალი დონის მენეჯერი, რომელიც ფლობს მოდერაციის ტექნიკას. ორგანიზატორის და წამყვანის როლი არის უნივერსალური ნებისმიერი ტიპის თათბირითვის.
- 2) პასუხისმგებელი პირები მმართველობის გადაწყვეტილების მიღებისას. თუ თათბირზე მიღებულია გამგეობის გადაწყვეტილების მიღება (პირველი ტიპის თათბირი), მაშინ მასში მონაწილეობა შესაბამისი თანამდებობით აღჭურვილმა თანამშრომლებმა უნდა მიიღონ.
- 3) ექსპერტები (მათ შორის დამოუკიდებელი), სასარგებლო ინფორმაციის მატარებელი. ექსპერტები (დამოუკიდებლად თავიანთი თანამდებობისა) შეიძლება იყვნენ როგორც მუდმივი წევრები თათბირის, ისე მოწვეულები მოკლე მოხსენებისათვის. ექსპერტები მეორე ტიპის თათბირის აუცილებელი წევრები არიან.
- 4) შესაძლო პირები, რომლებიც უნდა გაეცნონ გადაწყვეტილებასა და ინფორმაციას. ისინი შეიძლება იყვნენ მენეჯერები სხვადასხვა დონის თანამდებობიდან. ისინი მომავალშიც შეასრულებენ/გააკონტროლებენ შესრულებას, ანდა ვალდებულნი არიან გაეცნონ მნიშვნელოვან მმართველ ინფორმაციას (მესამე ტიპის თათბირი).
- 5) პრესის წარმომადგენლები და პიარ - მეჯერები. ეს მონაწილეები შეიძლება დაესწრონ ნებისმიერი ტიპის თათბირს (ან რომელიმე მის ნაწილს), თუ ის ეძღვნება რომელიმე მნიშვნელოვან „პროგრამულ“ საკითხს. მაგალითად, ორგანიზაციის სტრატეგიის შეცვლა, ხანგრძლივი პერიოდის საქმიანობის შედეგების შეჯამება და ა.შ.

თუ თქვენი თანამდებობიდან გამომდინარე ან თქვენი ორგანიზაციის ტრადიციის მიხედვით, ხშირად ხართ თათბირის წამყვანების როლში, მაშინ შესაძლოა თქვენ დაგჭირდეთ ეფექტური თათბირის ჩატარების წესი.



- 1 არ შეიძლება თათბირის ჩატარება მომზადებისა და დღის წესრიგის გარეშე.
- 2 არ შეიძლება თათბირის „სპონტანურად“ ჩატარება. მისი შედეგიანობა მეტი ალბათობით იქნება დაბალი დონის.
- 3 თათბირის ჩატარებისას საკვანძო მომენტებია: დღის წესრიგი (საკითხი), თათბირის მიზანი, დროის ლიმიტი, გამომსვლელთა რიგი და სხვა.
- 4 მთავარი ამოცანა და თათბირის წამყვანის მოვალეობაა-თათბირის მსვლელობისას დადგენილი პროცედურა აკონტროლოს და დღის წესრიგი შეასრულოს, საკითხის გადახვევის დროს ოპერატიული გადაწყვეტილება მიიღოს. თათბირის დროს, წამყვანი უფლებამოსილია თათბირის ყველა წევრის საქციელი მართოს, მათი სტატუსის მიუხედავად.
- 5 ძირითადი მომხსენებლები აუცილებლად ემზადებიან თათბირებისთვის წინასწარ. თათბირის სწორი ორგანიზაცია გულისხმობს მოხსენების თემებისა და შინაარსის წინასწარ (რამდენიმე დღით, ან საათით ადრე მაინც) ცოდნას წამყვანის მიერ.
- 6 მთელი თათბირის დრო და ცალკეული ნაწილების დროც (გამოსვლები, განხილვები, გადაწყვეტილებების მიღება და ა. შ.) აუცილებლად იზღუდება დროით. როგორც კი თათბირის დროს გაჩნდება თუნდაც ერთი არარეგლამენტირებული ნაწილი თუ პროცედურა, ამ „დროის ხვრელში“ აუცილებლად შეაღწევს „დროის ქურდი“, რაც თათბირს ზედმეტად გაწელავს.
- 7 თათბირის წამყვანის მთავარი ამოცანაა- თათბირის „კონსტრუქციულ ტონს“ მიაღწევოს თვალყური. მონაწილეებისგან არაკორექტული თავდასხმების მცდელობა, ბრალდება, შეურაცხყოფა და სხვა, მკაცრად უნდა აიკრძალოს. ახალი ინფორმაციის და იდეების გადმოცემა უნდა მოხდეს კრიტიკის გარეშე. რაციონალური უნდა იყოს დისკუსია და კამათი არგუმენტირებული, მიმართული ოპტიმალური მიზნისაკენ.
- 8 წამყვანმა მომხსენებლებს უნდა მოთხოვოს განხილვისას გამოიყენონ ორგანიზაციაში არსებული ნებისმიერი მათთვის მოსახერხებელი თვალსაჩინოება (დაფა, კომპიუტერული პრეზენტაცია და სხვ.).
- 9 ოქმის შედგენა: რა თქმა უნდა, თათბირის წამყვანი არ წერს ოქმს, მაგრამ მან თვალყური უნდა ადევნოს მდივანს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითოს თათბირის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მომენტები (ფაქტები, იდეები, აზრები და მისთ.).
- 10 რაც მოკლეა თათბირი, მით უკეთესი. მაგრამ თუ თათბირის ხანგრძლივობა აჭარბებს 90 წუთს, მაშინ აუცილებელია გაკეთდეს 5-15 წუთიანი შესვენებები ყოველ 40-45 წუთში, რაც წინასწარ უნდა დაიგეგმოს და წამყვანმა თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ რეგლამენტირებული შესვენებების გარდა მონაწილეები სხვა საქმით არ დაკავდნენ.

#### **თვითმენეჯმენტის როლი დროის ეკონომიაში**

არსებობს განსხვავებული შეხედულებები თვითმენეჯმენტის არსთან და საგანთან დაკავშირებით. ფართოდ გავრცელებული განმარტების თანახმად, თვითმენეჯმენტი არის სამუშაო დროის გამოყენების ინდივიდუალური ტექნოლოგია. გერმანელი მეცნიერის ლ. ზაივერტის განმარტებით, „თვითმენეჯმენტი არის ყოველდღიურ მმართველობით საქმიანობაში გამოყენებული აპრობირებული

პრაქტიკული მეთოდებისა და ხერხების თანმიმდევრული და მიზანმიმართული გამოყენება, რათა ოპტიმალური გადაწყვეტილებების ფონზე შესაძლებელი გახდეს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება“.

ეფექტიანი თვითმენეჯმენტი ობიექტურად არის დაკავშირებული, როგორც ადამიანის ბუნებასთან, ისე გარემო ფაქტორების გავლენასთან. თვითმენეჯმენტის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ინდივიდმა შეძლოს ისწავლოს საკუთარი შესაძლებლობების უკეთესად გამოყენება და დაბრკოლებების დაძლევა როგორც სამუშაო პირობებში, ისე პირად ცხოვრებაში.

მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი საქმიანობა, პროცესული მიდგომის თვალსაზრით, ციკლური ხასიათისაა, სადაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან მისი კლასკური ფუნქციები: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი, ხოლო დამაკავშირებელი პროცესებს, კომუნიკაციას და გადაწყვეტილების მიღებას, ეს პროცესი მოქმედებაში მოჰყავს.

თვითმენეჯმენტის ციკლიც იგივე პრინციპზეა აგებული. სხვადასხვა ამოცანებსა და პრობლემებზე ყოველდღიური გადაწყვეტილებები დემონსტრირდება რიგი განხვავებული ფუნქციების ფორმით, რომლებიც, როგორც წესი, გარკვეულ თანმიმდევრულ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან. ვითარდება თვითმენეჯმენტის ციკლური პროცესი, რომელშიც შეიძლება პირობითად დაიყოს შიდა და გარე, ანუ ენდოგენური და ეგზოგენური ფუნქციები.

ყოველ ადამიანს და განსაკუთრებით მას, ვინც მენეჯერის კარიერისთვის ემზადება ან უკვე მენეჯერიცაა, თავის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და კრიტიკული სიტუაციების დარეგულირების უნარი უნდა შესწავდეს. საკუთარი თავის მართვის, პირადი დროის ეფექტიანი დაგეგმვის, შრომის რაციონალური ორგანიზაციისა თუ სხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, გამოსავლის პოვნა თვით ყველაზე რთული სიტუაციებიდანაც არის შესაძლებელი. მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ რეალური ვითარების შეცვლა ჩვენს ძალებს აღემატება, არსებობს გამოსავალი-შეეცვალოთ მიდგომა. საქმიანობის, პირადი დროის და საერთოდ, ცხოვრების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი, პიროვნების განვითარება და სრულყოფა თვითმენეჯმენტის ამოცანათა არასრული ჩამონათვალია.

კარგი მენეჯერის მიზანია ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, მინიმალური დროის დანახარჯით მაქსიმალურად ეფექტიანად განახორციელოს დასახული ამოცანები, თავიდან აიცილოს და სხვასაც ააცილოს სტრესები, აიმაღლოს კვალიფიკაცია, უზრუნველყოს თანამშრომელთა პროფესიული ზრდა და ა.შ. ამისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელია ცხოვრების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ წესად გაიხადოს მუშაობის რაც შეიძლება რაციონალური სტილი. აკონტროლოს ყველაზე დეფიციტური რესურსი დრო და, რაც მთავარია, ეფექტიანად მართოს საკუთარი თავი და აკონტროლოს დასახული ამოცანების შესრულება.

ყოველდღიური ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრის პროცესი, კონკრეტული ფუნქციების თანმიმდევრული შეფასების თვალსაზრისით, ექვს ფაზას მოიცავს. ესენია:

- 1) მიზნის დასახვა- პირადი მიზნების ანალიზი და ფორმულირება;
- 2) დაგეგმვა-კონკრეტული გეგმებისა და საკუთარი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება;

- 3) კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;
- 4) ორგანიზება და რეალიზება- დღის განრიგის შედგენა და პირადი სამუშაო პროცესის ორგანიზება დასახული ამოცანების რეალიზების მიზნით;
- 5) კონტროლი- თვითკონტროლი და შედეგების კონტროლი;
- 6) ინფორმაცია და კომუნიკაცია - ფაზა, რომელიც გარკვეულწილად ყველა ფუნქციისთვისაა დამახასიათებელი, როგორც კომუნიკაცია, ისე ინფორმაციის გაცვლა, აუცილებელია თვითმენეჯმენტის ყველა ეტაპზე.

თვითმენეჯმენტის მეთოდების ფლობა გულისხმობს: შრომის საუკეთესოდ ორგანიზებასა და შედეგებს. სამუშაოსაგან მიღებულ კმაყოფილებას, სათანადო მოტივირებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც შეიძლება ნაკლებ დატვირთვას, საკუთარი ფუნქციების შესრულების პროცესში დაშვებული შეცდომების შეცირებას, პროფესიული და ცხოვრებისეული მიზნების უმოკლესი გზით მიღწევას და ა.შ.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით არაბიძე, სტატია: „უსაფრთხო შრომა ადამიანის უფლებათა“, 2017 წელი, <http://gtuc.ge/>
2. არჩილ გამზარდია, სტატია: „როგორ ჩავატაროთ თათბირები - დროის მენეჯმენტი (მითითებები მენეჯერთათვის“, 2018 წელი, <https://archilgamzardia.wordpress.com/>
3. რ.ბერიძე, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი 2011
4. ვაჟა გურაბანიძე, სტატია „თვითმენეჯმენტი და მისი მნიშვნელობა პერსონალთან მუშაობის პროცესში“, ჟურნალი: ეკონომიკური პროფილი N8, 2010 წელი, გვ. 54-58
5. მ.ხარხელი, დროის მენეჯმენტი, თბილისი 2015
6. Raymond Le Blanc, Time Management Tips, Tools & Techniques: Learn the most important time management skills for personal life and career success, 2017

**Manana Kharkheli**

*Doctor of Economics*

**Giorgi Morchiladze**

*Doctor of Business Administration*

#### MAIN SOURCES OF TIME SAVING

##### Expanded Summary

The article discusses the main sources of time savings. People perceive the flow of time differently. For some it runs fast, for some it is very slow. However, in fact, time passes as it should. The only resource people have equally is time. successful people are those, who are able to use time effectively, or in other words, who can in one day do more tasks than others can.

The manager is a member of group. He/she is in charge of not only himself/herself but the entire collective. However, each team member and manager have equal time opportunities, the difference is that the staff member are responsible only on their own time, and manager manages - both personal and team members time.

Working conditions in the organization and Work–life balance has significant impact on the employee's job performance. It is necessary to improve working conditions in the workplace, for which it is needed to create comfort, approve well designed Infrastructure, taking into account sanitary-hygienic and socio-psychological factors. It should also be remembered that the rational use of working time is highly dependent on the individual's ability to work.

An environment where leaders are given the opportunity to influence people and enhance their image are meetings. Therefore, any attempt by a leader to create a positive reputation in the eyes of employees requires a good preparation process. Accordingly, time management trainers and specialists, give us recommendations, during meetings to be professionals, don't be uninteresting, speech should be laconic, and all attendees should respect others time and don't waste it.

As we mentioned above, the article is related to time saving topic, related to these, we should say that, management and whole organization need to give employees normal working condition, because, it will reduce time expenses, second important recommendation is, that, management should well organize meetings. Also, a human can save his/her time by improving self-management skills. Finally, we can say that when people will manage well their time, this will increase not only the level of success of the organization, but also it will be good for the entire community.

**Key words:** Working objects, Working equipment, Labor efficiency, Rational use of time, Self-management, Endogenous and exogenous functions.

---

---

## აღრიცხვა და აუდიტი - ACCOUNTING AND AUDIT

---

---

თეონა მაკალათია  
თსუ დოქტორანტი

### ევოლუცია თუ რევოლუცია აღრიცხვასა და აუდიტში

**ანოტაცია.** სტატიის მიზანია გამოიკვლიოს და ჩამოაყალიბოს თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა აღრიცხვასა და აუდიტზე. სტატიაში განხილულმა საკითხებმა აჩვენეს, რომ ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე შესაძლებელია აღრიცხვის ფუნდამენტური ცვლილება, რაც ავტომატურად გამოიწვევს თანმიმდევრულ ცვლილებებს აუდიტის სფეროშიც. აუდიტის სტანდარტები და აუდიტორული პროცედურები მთლიანად არის მორგებული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. აღრიცხვაში განსახორციელებელი იმ მიმართულებების ცვლილებები, როგორც ეს წარმოდგენილია სტატიაში, არსებით ცვლილებებს გამოიწვევს აუდიტში. კერძოდ, აღრიცხვა, თუ ისე შეიცვალა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, აუდიტიც კვალდაკვალ უნდა მიჰყვეს. სრულიად შეიცვლება მტკიცების ფორმები, აუდიტორული პროცედურები და რაც ყველაზე მთავარია, რწმუნების არსებული ხარისხი, რაც დღეს გონივრული რწმუნების დონედ მიიჩნევა. კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის, შესაძლებელია თუ არა რწმუნების უფრო მაღალი ხარისხის მიღება, იგივე ან ნაკლები ადამიანური რესურსით.

**საკვანძო სიტყვები:** ბუღალტრული აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები, აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, სამმაგი ჩაწერა, ბლოკჩეინი.

### 1. ორმაგი ჩაწერის პრინციპი

მონაცემების შენახვის ტექნოლოგიას კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგებაც ხომ მონაცემების ჩაწერის, შენახვისა და წარდგენის ერთ-ერთი სახეა. ბუღალტრულმა აღრიცხვამ დიდი ევოლუცია განიცადა, ვიდრე თეორიისა და პრაქტიკის დღევანდელ სახეს მიაღწევდა. თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვა ეფუძნება ორმაგი ჩაწერის სისტემას. რენესანსის პერიოდში ამ სისტემამ რევოლუცია მოახდინა ოპერაციების აღრიცხვის სფეროში. მან გადაწყვიტა მენეჯერების პრობლემა, შეძლებოდათ საკუთარი ჩანაწერების სისწორეზე კონტროლი.

თუმცა, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ნდობის მოსაპოვებლად, დამოუკიდებელი აუდიტორები ასევე ამოწმებენ კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას. აუდიტი ძვირადღირებული, საკმაოდ შრომატევადი და შედეგებით მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე საქმიანობის სახეა, რაც კომპანიის ბუღალტრების ჩართულობასა და დამატებით ძალისხმევასაც მოითხოვს.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა დააკისრეს პასუხისმგებლობა კომპანიის მმართველ რგოლს, მენეჯმენტს. მენეჯმენტმა დაიჭირა აუდიტორი, რათა დასკვნა გააკეთოს მენეჯმენტის მომზადებული ანგარიშგების სისწორესა და სანდოობაზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტორული დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული რწმუნების უმაღლესი დონე. ამგვარად

დამოუკიდებელია აუდიტორი, რომელიც არის ფინანსური ინფორმაციის სანდოობის დამოუკიდებელი გარანტი.

## 2. რწმუნების დღევანდელი შესაძლებელი მაქსიმალური დონე

ვის წინაშეა აუდიტორი პასუხისმგებელი: იმ მენეჯმენტზე, ვინც დაიქირავა, თუ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების წინაშე? რატომ ამდენი წარუმატებელი აუდიტი? რატომ ამდენი დაშვებული შეცდომა? რატომ ამდენი არასწორი ინფორმაცია? რატომ ამდენი შეცდომაში შეყვანილი მომხმარებელი? სად არის რწმუნების მაღალი დონე? რატომ ვერ ხდება სწორი და სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფა დღევანდელ რეალობაშიც კი?

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მენეჯმენტის მტკიცებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების წინაშე. თითოეულ ამ მტკიცებას სანდოობის და რწმუნების პრობლემა აქვს. აუდიტიც სწორედ ამ ნდობის და რწმუნების მოპოვებას ემსახურება. აუდიტორები უდიდეს შრომით დანახარჯებს ეწევიან შესაბამისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რათა შეძლონ დასკვის გამოტანა იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ეს დავალება კიდევ უფრო რთულდება, თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მიზანმიმართულად მალავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტული მიზნებისთვის. ასეთ პირობებში იკვეთება თაღლითური ქმედებები.

## 3. თანამედროვე ტექნოლოგიები/ბლოკჩეინი

დღეს ციფრული მონაცემების შენახვის ახალი სისტემაა წარმოდგენილი, რომელსაც ბლოკჩეინს (Block Chain - ბლოკების ჯაჭვი) უწოდებენ. მას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ისტორიაზე. ბლოკჩეინი ციფრული ჩანაწერების უზარმაზარი სივრცეა. მის უკან დგას მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალი ათასი კომპიუტერისგან შემდგარი დეცენტრალიზებული ქსელი.

ინფორმაცია კრიპტოგრაფიულად იბეჭდება ბლოკჩეინში. ახალი ინფორმაცია ჩანაწერებში რამდენიმე წუთში ერთხელ ემატება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა კომპიუტერი გამოაცხადებს თანხმობას ამ მონაცემის მიღებაზე. თანხმობას კი კომპიუტერი მხოლოდ მაშინ გასცემს, როდესაც ახალი მონაცემის სისწორის მტკიცებულებას მოიპოვებს. ყველამ იცის, როგორ მუშაობს სისტემა, მაგრამ არავის შეუძლია მისი წესების შეცვლა. პროცესის არცერთი ნაწილი არ საჭიროებს ადამიანის ჩარევას, ყველაფერი სრულიად ავტომატიზებულია.

ამ ჩანაწერებს რომ რომელიმე კომპანია ან სახელმწიფო სტრუქტურა განაგებდეს, იგი აღარ იქნებოდა სანდო. მაგალითად, კომპანიის გაკოტრების ან სტრუქტურის გაუქმების შემთხვევაში, მონაცემებზე პასუხისმგებელი აღარავინ დარჩებოდა. მაგრამ გაფანტულ ქსელში სისტემა დეცენტრალიზებულია. ამიტომ, ერთი კონკრეტული სუსტი წერტილი აღარ არსებობს. ხანდახან, შესაძლოა, დაირღვეს რამდენიმე კომპიუტერის ფუნქციონირება, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, რადგან სხვა კომპიუტერები, საკუთარი ასლებით და სისწორის შესამოწმებელი მეთოდებით, უზრუნველყოფენ მონაცემების უსაფრთხოებას.

ამ სისტემის სიკეთეების არდანახვა და არგამოყენება დღეს ალბათ დაუშვებელია. ბლოკჩეინი დღესდღეისობით ალბათ, ჩანაწერების შენახვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დეტალური მეთოდია, რაც აქამდე არსებობდა, მუდმივი მეხსიერების ღია სტრუქტურა, რომელიც ორგანულად იზრდება. ეს ტექნოლო-

გიური გარღვევა ციფრული ფულის სისტემა ბიტკონმა მოიტანა, მაგრამ მისი გავლენა ბევრად დიდია, ვიდრე უბრალოდ ფულის ალტერნატიულ სისტემაში გამოყენებაა.

ამ ცვლილებებს, რასაკვირველია, ფუნდამენტური გავლენა აქვს საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტზე. უდიდესი შესაძლებლობები იხსნება ბლოკჩეინის გამოყენებით ბუღალტრულ აღრიცხვაში. შემდეგ კი აუდიტშიც. თუ აღრიცხვა-ანგარიშგება ფუნდამენტურად შეიცვალა, ავტომატურად იცვლება აუდიტიც და მთელი აუდიტორული პროცედურებიც.

იქნებ დადგა დრო, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები და საფუძვლიანად გავამარტივოთ აღრიცხვა-ანგარიშგება, გადავიყვანოთ იგი სანდოობის ახალ, ბევრად უფრო მაღალ ხარისხში. ყოველდღიურად გვესმის და ვხედავთ უამრავი არასაიმედო აღრიცხვისა და აუდიტის შედეგად გამოვლენილ სავალალო შედეგებს, მათ შორის, მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების უზარმაზარ კორპორაციებში.

აღრიცხვა-ანგარიშგების ცვლილებას ავტომატურად აუდიტის პროცესის გამარტივება და ბევრად უფრო მაღალი ხარისხის რწმუნების მოპოვება მოჰყვება.

#### 4. სამმაგი ჩაწერის შესაძლებლობა

ტერმინი "სამმაგი ჩაწერა" თავდაპირველად 1986 წელს გვხვდება იუჯი იჯირის ნაშრომში. მან შემოგვთავაზა სადებეტო და საკრედიტო ჩანაწერების გარდა, გატარების მესამე მხარე, რომელსაც უწოდა ტრებიტი. როგორც იჯირი ამბობდა, ტრებიტი უნდა შეიცავდეს ახალ ანგარიშებს, შემოსავლის ცვლილების ასახვას. ასეთი სამმაგი აღრიცხვის სისტემის იდეაა ორგანიზაციისთვის უფრო მეტი იმპულსური ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილების უკეთეს მიღებას. 2005 წელს იან გრიგმა, ფინანსურმა კრიპტოგრაფმა, გამოაქვეყნა ნაშრომი თავის ვებგვერდზე სახელწოდებით "სამმაგი ჩაწერის სისტემა", რაც ამ ტერმინს სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს იუჯი იჯირის (1986) მომენტის აღრიცხვის განმარტებიდან. იან გრიგმა წამოაყენა ახალი კონცეფცია, "ქვითარი არის გარიგება", რომელშიც ციფრული ხელმოწერილი ქვითარი, რომელიც დაფიქსირებულია ორ მხარეს შორის ფინანსური კრიპტოგრაფიით, შესაძლებელია განვიხილოთ მესამე ჩანაწერად, რათა თავიდან იქნას აცილებული გარიგების თაღლითობა და შეამციროს შიდა ჩანაწერთა რაოდენობა. 2014 წელს ჯეისონ ტირამ დაწერა მოკლე სტატია Bitcoin Magazine-ში, რომელშიც მითითებულია, რომ ბიტკოინის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, გრიგის მიერ შემოთავაზებული სამმაგი აღრიცხვის კონცეფცია შესაძლებელია და სავარაუდოდ, სასურველი იქნება როგორც კომპანიებისთვის, ასევე გარე მომხმარებლებისთვის (Tyra, 2014). ამის შემდეგ, სამმაგი ჩაწერა, რომელიც დაკავშირებულია ბლოკჩეინთან, გადაიქცა საერთო ტერმინად.

აღრიცხვისა და აუდიტის ინდუსტრია უკვე სრულიად მოიცვა სამმაგი ჩაწერის პოტენციალზე მუშაობამ. 2016 წელს Deloitte-მა გამოაქვეყნა მოკლე სტატია, რომელიც blockchain –ით სამმაგი აღრიცხვის განხორციელება იქნება ფუნდამენტური ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვაში (Deloitte, 2016). იმავდროულად, blockchain- ის შემქმნელებმა უკვე მიიღეს ზომები ამ „თეორიის“ პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. ჯერჯერობით, ჩვენ ვიცით მინიმუმ 7 ბლოკჩეინის პროექტი,

რომლებიც დაკავშირებულია სამმაგ აღრიცხვასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინთან სამმაგი ჩაწერის სისტემამ შეიძლება შეცვალოს მთელი საბუღალტრო და აუდიტის ინდუსტრია, ამ თემაზე აკადემიური კვლევები/ნაშრომები ძალზე შეზღუდულია.

ხომ არ არის დრო, ორმაგი ჩაწერის სისტემიდან გადავიდეთ **სამმაგ ჩაწერაზე**?

**იქნებ, სამმაგი ჩაწერის სისტემა გავხადოთ ტრადიციული ორმაგი ჩაწერის სისტემის გაგრძელება.** კიდევ უფრო დეტალურად რომ ავხსნათ იან გრიგის ტერმინი სამმაგი ჩაწერა, რა არის ეს მესამე? მესამე მოიცავს ყველა საბუღალტრო ჩანაწერს, რომელიც მესამე მხარის მიერ არის კრიპტოგრაფიულად დალუქული. ეს მოიცავს ინვენტარისა და მარაგების შესყიდვებს, გაყიდვებს, გადასახადებს, კომუნალური გადახდებს და სხვა ხარჯებს. გვერდიგვერდ, ორივე მხარის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერები კონკრეტულ გარიგებასთან არის თანასწორი. გამყიდველი მხარე აღრიცხავს დებეტში ფულადი სახსრების მიღების ანგარიშზე, ხოლო მყიდველი აღრიცხავს კრედიტს იგივე ოპერაციისთვის, მხოლოდ საბუღალტრო ჩანაწერების თავიანთ მხარეს. სწორედ აქ შემოდის ბლოკჩეინი: ისინი ქმნიან ერთიან, ურთიერთ დამადასტურებელ, ურთიერთდაბლოკილ ჩანაწერთა სისტემას საჯარო სივრცეში. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია დადასტურდება, გადაიგზავნება და კრიპტოგრაფიულად დაილუქება, მათი გაყალბება, შეცვლა ან განადგურება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ბლოკჩეინ ტექნოლოგია იქნება შემდეგი რევოლუცია ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში: ტრანზაქციის ქვითრების საფუძველზე ცალკეული ჩანაწერების შენახვის ნაცვლად, კომპანიებს შეუძლიათ ჩაწერონ თავიანთი გარიგებები უშუალოდ ერთობლივ რეესტრში და შექმნან სააღრიცხვო ჩანაწერების მდგადი, ურთიერთჩაკეტვადი სისტემა. მას შემდეგ, რაც ყველა მასალა ვრცელდება და კრიპტოგრაფიულად ილუქება, გაყალბება ან განადგურება, რათა აქტივობა დაფარონ, პრაქტიკულად შეუძლებელია. მსგავსი გარიგება ფაქტიურად წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულის ტოლფასს მხოლოდ ელექტრონული გზით. მასივის ყველა ჩანაწერი მუდმივად ინახება, მისი შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია და ამის გარანტი ქსელში ჩართული თითოეული კომპიუტერია, რომელიც ჩანაწერების საკუთარ ასლს ინახავს. სისტემაში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ ჰაკერების მიერ ქსელის ყველა კომპიუტერში ერთდროული შეღწევით, ანუ საჭიროა ქსელის ყველა კომპიუტერის „დაჰაკვა“, რაც წარმოუდგენელია და ეს ბევრი ნიჭიერი ადამიანის, მათ შორის, აშშ-ს NASA-ს სპეციალისტების უშედეგო მცდელობებითაც დადასტურდა.

აღნიშნული ტექნოლოგიური გარღვევით კომპანიები მიიღებენ მნიშვნელოვან სარგებელს შემდეგი ფორმით:

- ) სტანდარტიზაცია საშუალებას მისცემს აუდიტორებს ავტომატურად გადაამოწმოს ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემების უდიდესი ნაწილი.
- ) აუდიტის ჩასატარებლად საჭირო ხარჯები და დრო მნიშვნელოვნად შემცირდება.



ქ) გამოთავისუფლებულ დროში მათ შეეძლებათ დამატებითი სარგებელი მოუტანონ კომპანიებს. მაგალითად, ეს დრო გამოიყენონ ძალიან რთულ ოპერაციებზე ან შიდა კონტროლის სისტემების გასაუმჯობესებლად. შედეგი არის ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და პროცედურული დებულებების ფართო სპექტრი. ყველა პრევენციული ღონისძიება უნდა იყოს შესაბამისად დოკუმენტირებული და მესამე მხარისთვის აღსაქმელი.

ბლოკჩეინის გამოყენებით მარტივად ხდება ელექტრონული ფაილების მთლიანობის და სისწორის დადასტურება. ჯერ ერთი, რომ ყველა ფაილს უნდა მიენიჭოს ინდივიდუალური „ჰაშკოდი“. „ჰაშკოდი“ წარმოადგენს ციფრულ თითის ანაბეჭდს თითოეული ფაილისთვის. მეორეც, ის, რომ „ჰაშკოდი“, როგორც თითის ანაბეჭდი არის ბლოკჩეინში უცვლელად, დროში ურყევად, წერილობითი ტრანზაქციის სახით დალუქული.

„ჰაშკოდის“ მეშვეობით ნებისმიერ დროს, შესაძლებელია დადასტურდეს კონკრეტული ტრანზაქციის ნამდვილობა ამ ანაბეჭდის შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ ანაბეჭდები იდენტურია, დოკუმენტი უცვლელი რჩება ბაზაში პირველივე ჰეშკოდის მინიჭების შემდეგ.

დროში დაბეჭდვა შეიძლება ჩატარდეს დოკუმენტების არსებობის ციკლის ნებისმიერ დროს და გამოაქვეყნდეს ნებისმიერი მომდევნო ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და პროცესუალური მთლიანობის უზრუნველყოფად. სასურველია, თითის ანაბეჭდის შედგენა მოხდეს ელექტრონული დოკუმენტის შექმნის შემდეგ, სანამ დოკუმენტი გადაეგზავნება ემიტეტისგან მიმღებს. ამგვარად, შეიძლება გამოირიცხოს დოკუმენტის შეცვლის რისკი მთელ პერიოდზე. დოკუმენტის არქივირებისთვის, ჩვეულებრივი მონაცემთა შენახვის გამოყენება შეიძლება, რათა დოკუმენტის სისწორე ადვილად დადასტურდეს.

ამ კონცეფციის დადასტურების და გავცელების მიზნით, შეიძლება გავაკეთოთ თითოეული საბუღალტრო ტრანზაქციის სიცოცხლის ციკლი ბლოკჩეინში, თავისი ყველა შესაბამისი დოკუმენტით ამგვარად კომპანიის სხვადასხვა ბიზნეს პროცესები ადვილად აღსაბეჭდი და კონტროლირებადი იქნება.

და ბოლოს, ბლოკჩეინი ტექნოლოგია „სმარტ კონტრაქტების“ იგივე „ჭკვიანი კონტრაქტების“ საშუალებას იძლევა, ანუ ეს არის წინასწარ ჩადებული პროგრამა, რომელიც ავტომატურად განხორციელდება გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მოხდება საქონლის მიღება, შესაბამისი სპეციფიკაციების შემოწმება და დადასტურდება კომპანიის საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობა, ინვოისი ავტომატურად განაღდება.

ბლოკჩეინის ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი, შეცვალოს დღევანდელი აღრიცხვის და აუდიტის სისტემა, რადგან ბლოკჩეინი ერთი მთლიანი „საბუღალტრო წიგნია“. ეს შეიძლება იყოს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროცესების მაქსიმალურად ავტომატიზირება. არსებობს უამრავი ადგილი ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებისთვის. ახალი აპლიკაციების კასკადი ერთიმეორეზე მიყოლებით საშუალებას მოგვცემს ახალი, უპრეცედენტო სერვისებისთვის.

ყოველივე ეს სერიოზული ცვლილებების წინაშე აყენებს მთლიანად აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. სრულიად სხვა მტკიცებები იქნება გამოყენებული აუდიტის პროცესში და შესაბამისად, სრულიად სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარება გახდება საჭირო. აუდიტორული რწმუნება გადავა

განვითარების ახალ ეტაპზე. დღევანდელი გონივრული რწმუნება შეიცვლება ბევრად უფრო მაღალი რწმუნების ხარისხით იმის ხარჯზე, რომ საერთოდ აღარ იარსებებს შერჩევის პროცედურები. ყველა ტრანზაქცია იქნება 100% დადასტურებული. აუდიტორები მხოლოდ მონაცემებს დაამუშავებენ და გაანალიზებენ დიდ ინფორმაციას.

## 5. დასკვნა

სამმაგი ჩაწერის სისტემის უპირატესობები მრავალფეროვანია რეკონსილაციის, გამჭვირვალების, ნდობისა და აუდიტის თვალსაზრისით. სამმაგი ჩაწერა საშუალებას გვაძლევს დავაკავშიროთ ბალანსი, ტრანზაქცია და ანგარიშგების პროცესი, რათა ორგანიზაციებმა შეძლონ საკუთარი ჩანაწერებზე დაყრდნობა. როგორც წესი, თითოეული მხარე პასუხისმგებელია საკუთარ ფინანსურ ჩანაწერებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობა ან შეცდომა. სამმაგი ჩაწერის გამოყენება ამ რისკს ამცირებს ობიექტური, დამოუკიდებელი ჩანაწერის საშუალებით.

მივიღებთ ადამიანის მიერ შესასრულებელ ნაკლებ რუტინული სამუშაოს, ნაკლებ დახარჯულ დროს და ადამიანის რესურსის უფრო ნაყოფიერ და ეფექტურ გამოყენებას, ნაკლებ დაშვებულ შეცდომას და თაღლითობას, რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, სანდოობის და გამჭვირვალობის სრულიად ახალ ხარისხს. დღესდღეისობით რწმუნების გონივრულ დონეს განაპირობებს შერჩევის პროცედურები, რაც გამოიყენება აუდიტში. სამმაგ ჩაწერაზე და ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე გადასვლა შესაძლებელს გახდის, შემოწმდეს ტრანზაქციების სრული, 100%-იანი მოცულობა, რაც ავტომატურად განაპირობებს რწმუნების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე დღეს არის შესაძლებელი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Hotch, Ripley, “Money Matters; accounting software; evaluation,” Nation’s Business, July 1990, Vol. 78, No. 7, Pg. 40.
2. Ijiri, Yuji, Studies in Accounting Research #18, “Triple-Entry Bookkeeping and Income Momentum,” (American Accounting Association, 1982).
3. Ijiri, Yuji, Studies in Accounting Research #31, “Momentum Accounting and Triple-Entry Bookkeeping: Exploring the
4. Dynamic Structure of Accounting Measurements,” (American Accounting Association, 1989).
5. Fraser, I.A.M. (1993), "Triple-entry bookkeeping: a critique." Accounting and Business Research, Vol. 23, No. 90, pp. 151–158.
6. Eric Melse, "[Accounting for trends. Relevance, explanatory and predictive power of the framework of triple-entry bookkeeping and momentum accounting of Yuji Ijiri.](#)" Dissertation, Maastricht University, 2008, ISBN 978-90-902210-5-2.
7. Melse, E. (2008), [Accounting in three dimensions. A case for momentum revisited.](#) The Journal of Risk Finance, Vol. 9, No. 4, pp. 334–350
8. Wagensveld, J. (1995), "The future of double-entry." Paper, regional conference of the Northern Accounting Group, British Accounting Association, Newcastle, UK, 13-4-1995. Published as: Ribes, Erasmus Universiteit, Rotterdam, 1995, ISBN 90-5086-215-2.

9. Melse, E. (2005), [Het verklarend en voorspellend vermogen van Momentum Accounting.](#) Kwartaalschrift Economie. Tijdschrift voor algemeen- en bedrijfseconomische vraagstukken. Vol. 2, No. 4, 2005, pp. 343–371 (in Dutch).
10. Blommaert, A.M.M. (1995). "Additional disclosure triple-entry and momentum accounting." The European Accounting Review, Vol. 4, No. 3, pp. 580–581.
11. Blommaert, A.M.M. "[Additional disclosure: triple-entry en momentum accounting: kwaliteitsverbetering van management accountingsystemen door het administreren van winstkrachten en winstnelheden.](#)" Dissertation, Maastricht University, 1994, [ISBN 90-207-2482-7](#).
12. Ijiri, Y. (1993), "Variance analysis and triple-entry bookkeeping." In: Yuji Ijiri (ed.), Creative and innovative approaches to the science of management. The IC2 Management and Management Science Series. Quorum Books, Westport, [ISBN 0-89930-642-X](#), pp. 3–25.
13. Ijiri, Y. (1988), "Momentum accounting and managerial goals on impulses." Management Science, Vol. 34, No. 2, pp. 160–166.
14. Ijiri, Y. (1987), "Three postulates of momentum accounting." Accounting Horizons, Vol. 1, March, pp. 25–34.
15. [Satoshi Nakamoto](#). [Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System.](#) — 2008. — 9 .
16. [Melanie Swan](#). [Blockchain: Blueprint for a New Economy.](#) — O'Reilly Media, Inc., 2015. — 152 .
17. [Pedro Franco](#). [The Blockchain // Understanding Bitcoin: Cryptography, Engineering and Economics.](#) — John Wiley & Sons, 2014. — 288 p. — [ISBN 978-1-119-01916-9](#).
18. [Andreas M. Antonopoulos](#). [7. The Blockchain // Mastering Bitcoin.](#) — O'Reilly Media, Inc., 2014. — [ISBN 978-1-4493-7404-4](#).
19. Hacker Noon. (2017). Why Everyone Missed the Most Important Invention in the Last 500 Years. [online] Available at: <https://hackernoon.com/why-everyone-missed-the-most-important-invention-in-the-last-500-years-c90b0151c169> [Accessed 21 Mar. 2018].
20. Bitcoin Magazine. (2018). Triple Entry Bookkeeping With Bitcoin. [online] Available at: <https://bitcoinmagazine.com/articles/triple-entry-bookkeeping-bitcoin-1392069656/> [Accessed 21 Mar. 2018].
21. Accounting for Management. (2017). Double entry system of accounting – history, definition, explanation, advantages and disadvantages | Accounting for Management. [online] Available at: <https://www.accountingformanagement.org/double-entry-system-of-accounting/> [Accessed 21 Mar. 2018].
22. Accounting, T. (2018). Triple Entry Accounting. [online] Blockchainabc.blogspot.com.es. Available at: <http://blockchainabc.blogspot.com.es/p/blog-page.html> [Accessed 21 Mar. 2018].
23. Iang.org. (2018). Triple Entry Accounting. [online] Available at: [http://iang.org/papers/triple\\_entry.html](http://iang.org/papers/triple_entry.html) [Accessed 21 Mar. 2018].
24. Grigg, I., 2005, Triple Entry Accounting

**Teona Makalatia**

*Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## EVOLUTION OR REVOLUTION IN ACCOUNTING AND AUDIT

**Annotation.** *The purpose of this article is to discuss the opportunity for accounting and auditing in new era of technology. Technology achievements and their impact on accounting and*

auditing. If it's possible to increase the current maximal level of assurance, which is reasonable assurance with much higher level.

**Keywords:** Accounting, Accounting Data, Audit Data, Auditing, Bookkeeping, Double Entry, Going Concern, Record Keeping, Triple Entry, Assurance, Blockchain, Smart Contracts.

**JEL Codes:** M40, M41, M42

### 1. Double Entry

Data storage technology has been of paramount importance at every stage of human history. Financial accounting is also one of the forms of recording, storing and presenting reports.

Accounting has undergone a great evolution before it has reached the present day of theory and practice. Modern financial accounting is based on a Double-entry system. During the Renaissance, this system revolutionized the field of financial accounting. It solved the problem of managers being able to determine the accuracy of their own records. Double-entry bookkeeping, in accounting, is a system of bookkeeping so named because every entry to an account requires a corresponding and opposite entry to a different account (Debit/Credit). The accounting equation is an error detection tool; if at any point the sum of debits for all accounts does not equal the corresponding sum of credits for all accounts, an error has occurred. However, satisfying the equation does not guarantee that there are no errors; the ledger may still "balance" even if the wrong ledger accounts have been debited or credited.

However, to gain the trust of financial reporting users, independent auditors also check the company's financial information. Each audit is an expensive process, which also requires the involvement of the company's accountants and their additional efforts.

Users of financial statement charged responsibility for financial statement to its management. Management has hired an auditor to express opinion and give reasonable assurance on financial statements. The audit report should be the highest level of credibility. Thus came the independent auditor whose role was and is an independent guarantee of the reliability of financial information.

### 2. Achievable Level of Assurance

Whom is the auditor responsible for: the management who hired or the user of the financial statement? Why so many failed audits? Why so many mistakes? Why so many misinterpretations? Why so many misleading users? Where is the high level of assurance? Why can't proper and reliable information be provided even in today's reality?

Financial statements represent the assertion of management towards the users of the financial statements.

Each of these assertions has a problem of assurance and credibility. Audit also serves to gain that assurance and credibility. Auditors have to work hard to obtain relevant evidence to conclude that a financial statement does not contain material misstatement. This task becomes even more difficult if someone intentionally hide important information for specific purposes. We are dealing with fraud at this time.

### 3. Technology today

Today, a new system for storing digital data is introduced, which is called Blockchain. It will have the big impact on history. Blockchain is a huge space for digital recordings. Behind him is

not a single person, company or state structure, but a decentralized network of many thousands of computers around the world.

The information is cryptographically printed in blockchain. New information is added to the records once every few minutes, only when all computers declare consent to receive this data. The computer will only give consent when it has obtained proof of the correctness of the new data. Everyone knows how the system works, but no one can change its rules. No part of the process requires human intervention, everything is fully automated.

If any company or government structure were to take these records, it would no longer be trusted. For example, in the event of a bankruptcy or liquidation of a company, no one would be responsible for the data. But in a scattered network, the system is decentralized. Therefore, one particular weak point no longer exists. Sometimes, some computers may mix, but that doesn't change anything, as other computers continue to provide data security with their own copies and accuracy tests.

It is probably inadmissible to have and not to benefit from this system today. Blockchain is so far the most important and detailed method of record keeping we have ever had, the open structure of permanent memory that is growing organically. This technological breakthrough has brought the digital money system to Bitcoin. But its impact is far greater than just using an alternative money system.

These changes certainly have a fundamental impact on accounting and auditing. The biggest opportunities open up using blockchain in accounting. And then of course in auditing too. If accounting has changed fundamentally, it will automatically change, and audits and entire audit procedures will change.

Is it time to take advantage of modern technological advances and fundamentally simplify accounting, move to a new, much higher degree of assurance? We hear and see the dire consequences of unnecessary accounting and auditing on a daily basis. Among the world's leading countries, huge corporations.

The change in reporting will automatically simplify the audit process and bring much higher level of assurance.

#### **4. Triple entry?**

Maybe we can make a triple recording system an extension of the traditional double recording system. What is this third? The third includes all accounting records that are cryptographically sealed by a third party. This includes inventory and supplies purchases, sales, taxes, utility payments and other expenses. Side by side, the accounting records of both parties are equal to the specific transaction. The seller's side accounts for the debit to the cash account, and the buyer side accounts for the same transaction, only on their side of the accounting records. This is where blockchain comes in: they create a unified, mutually verifiable, interlocking record system in the public space. Once the information is verified, transmitted, and cryptographically sealed, it is virtually impossible to falsify, modify, or destroy it.

Blockchain technology will be the next revolution in accounting and auditing: Instead of keeping separate records based on transaction receipts, companies can record their transactions directly in a single registry and create a standing, interlocking system of accounting records. Once all the material is circulated and cryptographically sealed, fabricated or destroyed to cover the activity it is virtually impossible. Such a transaction is in fact equivalent to a notarized

copy only by electronic means. All records in the array are permanently stored, cannot be changed or deleted, and every computer on the network that keeps a copy of their records is guaranteed to do so. It is impossible to break the system. All computers on the network need to be hacked, which is practically impossible, and this is proven by the futile efforts of many talented people, including NASA specialists.

With this technological breakthrough, companies will benefit from many things: standardization will allow auditors to automatically audit the most important financial reporting areas. The costs and time required to conduct the audit will be significantly reduced. At this time, they can bring additional benefits to companies. Spend time on very difficult operations or improve internal control systems.

The result is a wide range of organizational, technological and procedural provisions. All preventive measures must be properly documented and reported to third parties.

Blockchain makes it easy to verify the integrity and accuracy of electronic files. One, that every file be assigned an individual hash code. This hash code represents the digital fingerprint for each file. Next, this fingerprint is invariably, timely, sealed in a transaction blockchain.

At any time, it is possible to confirm the validity of this transaction by comparing it with this printout. If the printouts are identical, the document remains unchanged after the first hashcode is assigned to the database.

Time stamping can take place at any time during the existence of documents and deliver any subsequent organizational, technological and procedural integrity. It is advisable to make a fingerprint after creating the electronic document before the document is sent to the issuer. Thus, the risk of changing the document over an entire period can be excluded. Normal data storage can be used to archive a document, as the accuracy of the document can be easily verified.

To confirm and apply this concept, you can do each accounting transaction life cycle in Blockchain, with all its relevant documents. The company's various business processes will be easy to track and control.

Finally, blockchain technology enables the **smart contracts**, that is, a pre-installed program that will automatically run after certain conditions are met. For example, the invoice will be paid automatically once the goods are received, the relevant specifications will be checked, verified, and the funds in the company's bank account will be available.

Blockchain technology has the potential to change today's accounting and auditing systems. This could be maximum automation of accounting and auditing processes in line with regulatory requirements. There are many rooms and areas to use blockchain technology. The cascade of new applications one after another will allow us to deliver new, unprecedented services.

All of this will dramatically change the International Auditing Standards (ISA). Completely different assertions be needed in the audit process and therefore completely different audit procedures will be required. For today the highest form of assurance – reasonable assurance will move to a new stage, we'll receive the much higher level of assurance. There will no longer be audit sampling, all transactions will be 100% confirmed/audited. Auditors only will require the skills of big data analysis.

## **Conclusion**

The advantages of a triple entry system are numerous in terms of reconciliation, transparency, trust, and auditing. Triple-entry accounting allows us to reconcile the balance, the transaction, and the reporting process so that organizations can trust their own books. Typically, each party is responsible for maintaining their own financial records. However, this can lead to fraud or other errors. The use of triple-entry accounting reduces this risk by keeping a non-biased record.

For auditing, blockchain accounting is ideal as it creates a list of transactions, thus it creates an immutable history of all the exchanges within the system which could be mined using analytics. There is a perfect audit trail.

**What do we get?** Less routine man-made work, less wasted time, and more efficient and effective use of human resources! Less error and less fraud! The most important - completely **new level of assurance** and transparency!!!

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ  
ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**